# SUSTAINABILITY SPOTLIGHT

UN Global Compact Network Georgia

February-April 2021

**ECONOMY:** What will be the foundation of rapid recovery for post-pandemic Georgia? *14*

**SOCIETY:** A new stage in educational development *74*

**ENVIRONMENT:** Mission Possible: It's time to tackle environmental challenges *112*



# SUSTAINABILITY SPOTLIGHT





სპონსორები / **SPONSORS**

ოქროს სპონსორი / Gold Sponsor — ORIENT LOGIC

ვერცხლის სპონსორები / Silver Sponsors — MBC, EAST EUROPEAN UNIVERSITY, GBP



ჟურნალი გამოცემულია შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით.

The Magazine is published with the assistance from the Swedish Government.

შვედეთი Sverige

ჟურნალის შინაარსზე პასუხისმგებელია გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი.

The contents of the Magazine are the sole responsibility of Global Compact Network Georgia.

UN GLOBAL COMPACT Network Georgia

ჟურნალზე მუშაობდნენ
**EDITORIAL TEAM**

*ნინო კვანტრიშვილი*
*NINO KVANTRISHVILI*

*ეთუნა ცოტნიაშვილი*
*ETUNA TSOTNIASHVILI*

*ანა თავაძე*
*ANA TAVADZE*

Designer
*ნინო ჭინჭარაული*
*NINO CHINCHARAULI*

Photographer
*ზვიად როსტიაშვილი*
*ZVIAD ROSTIASHVILI*

ჟურნალში გამოყენებული ძირითადი ფოტომასალა გადაღებულია GCNG-ის დაკვეთით; ხოლო ნაწილი მოწოდებულია რესპონდენტების მიერ და გამოყენებულია მათივე თანხმობით.

Most of the photos used in the Magazine are produced on behalf of GCNG; the rest were provided by the respondents with the permission to publish.


ეკონომიკა | საზოგადოება | გარემოსდაცვა

**ECONOMY | SOCIETY | ENVIRONMENT**

Content


| | | |
|---|---|---|
| კორპორაციული მდგრადობა სწორად წარმართული ბიზნესია! | 10 | CORPORATE SUSTAINABILITY IS GOOD BUSINESS! |
| რა იქნება სწრაფი „გაჯანსაღების“ ფუნდამენტი პოსტ-პანდემიური საქართველოსთვის? | 14 | WHAT WILL BE THE FOUNDATION FOR RAPID RECOVERY IN POST-PANDEMIC GEORGIA? |
| ჩვენი სამინისტროს საქმიანობა სრულ თანხვედრაშია 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან | 22 | OUR MINISTRY IS FULLY ALIGNED WITH 2030 AGENDA FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT |
| | 28 | BANK OF GEORGIA |
| ორიენტ ლოჯიკის ტექნოლოგიური განვითარება - საწყისებიდან დღემდე | 32 | ORIENT LOGIC'S TECHNOLOGICAL DEVELOPMENT – A HISTORY SINCE INCEPTION |
| მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მდგრადი მართვა | 38 | SUSTAINABLE MANAGEMENT OF MICROFINANCE ORGANIZATIONS |
| მდგრადობა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის მამოძრავებელი ძალა | 44 | SUSTAINABILITY AS A DRIVING FORCE OF ENTREPRENEURIAL ACTIVITY |
| | 52 | TBC |
| საინვესტიციო პროექტების გზამკვლევი | 56 | GUIDE TO INVESTMENT PROJECTS |
| | 60 | EDISON TECH SOLUTIONS |
| ნამდვილი ევროპული იდეა | 64 | A TRUE EUROPEAN IDEA |
| პასუხისმგებლიანი ბიზნესი ღირსეული შრომითი პირობების შესაქმნელად | 70 | RESPONSIBLE BUSINESS FOR DECENT WORK CONDITIONS |
| განათლების განვითარების ახალი საფეხური | 74 | A NEW STAGE IN EDUCATIONAL DEVELOPMENT |
| კორპორაციული მდგრადობის აკადემია იწყებს პირველ პროფესიულ სასერტიფიკატო კურსს | 82 | CORPORATE SUSTAINABILITY ACADEMY LAUNCHES FIRST PROFESSIONAL CERTIFICATE COURSE |
| | 88 | GPI HOLDING |
| | 92 | CRYSTAL |
| ერთ ღამეში შექმნილი „ერთიანობა“ | 96 | "UNITY" BUILT IN ONE NIGHT |
| COVID-19 და ახალი მიდგომები მდგრადობის ანგარიშგების მიმართ | 102 | COVID-19 AND SHIFTED THINKING ABOUT SUSTAINABILITY REPORTING |
| | 108 | GLOVO |
| მისია შესრულებადია: დროა, გარემოსდაცვით გამოწვევებს შევეჯიდოთ | 112 | MISSION POSSIBLE: IT'S TIME TO TACKLE ENVIRONMENTAL CHALLENGES |
| ის, რაც კარგია პლანეტისთვის, კარგია მაიკროსოფტისთვის | 118 | WHAT'S GOOD FOR THE PLANET IS ULTIMATELY GOOD FOR MICROSOFT |
| | 124 | HG |
| | 126 | WOLT |

Network Georgia



# Follow Us on Social Media...

globalcompact.ge GCNGeorgia gcngeorgia CompactGeorgia
globalcompactgeorgia info@globalcompact.ge





გაეროს გლობალური შეთანხმების აღმასრულებელი დირექტორი
CEO & EXECUTIVE DIRECTOR, UN GLOBAL COMPACT

/ სანდა ოჯიამბო / SANDA OJIAMBO /

ჩემთვის დიდი პატივია გაეროს გლობალური შეთანხმების სახელით მივესალმო ჟურნალ „SUSTAINABILITY SPOTLIGHT“-ის პირველი ნომრის მკითხველებს. გასულ წელს ჩვენ აღვნიშნეთ 20 წლის იუბილე მას შემდეგ, რაც გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა ბიზნესებისა და გაეროს თანამშრომლობისათვის გლობალური შეთანხმების შექმნას ჩაუყარა საფუძველი. დღემდე ჩვენი საქმიანობა იზრდება იმის ღრმა რწმენით, რომ როდესაც ბიზნესები ერთიანდებიან გაეროს პრინციპების, ღირებულებებისა და მიზნების განსახორციელებლად, მათ შეუძლიათ იქცნენ ძლიერ ძალად პოზიტიური ცვლილებისათვის.

IT IS A PLEASURE TO CONTRIBUTE TO THE FIRST ISSUE OF THE SUSTAINABILITY SPOTLIGHT MAGAZINE ON BEHALF OF THE UN GLOBAL COMPACT. LAST YEAR WE CELEBRATED 20 YEARS SINCE THE FORMER UN SECRETARY-GENERAL KOFI ANNAN LAUNCHED THE COMPACT TO BRING BUSINESS AND THE UNITED NATIONS TOGETHER. TO THIS DAY, OUR WORK CONTINUES TO GROW FROM THE CONVICTION THAT WHEN BUSINESSES UNITE TO BRING TO LIFE THE PRINCIPLES, VALUES, AND GOALS OF THE UNITED NATIONS, THEY CAN BE A POWERFUL FORCE FOR GOOD.

მას შემდეგ, რაც 20 წლის წინ, გაეროს გლობალური შეთანხმება დაფუძნდა, კერძო სექტორმა დაამტკიცა, რომ კოფი ანანი არ ცდებოდა. 11,000-ზე მეტი კომპანია გახდა გაეროს გლობალური შეთანხმების წევრი და კორპორაციული მდგრადობის საკითხების ბიზნეს სტრატეგიებში და საქმიანობაში ინტეგრირების გზით, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მისაღწევად აქტიური მუშაობა დაიწყო. საქართველოში მდგრადი განვითარებისადმი კორპორაციული ვალდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. ქართული კომპანიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან დამაკავშირებელს გლობალური შეთანხმების იმ ჯაჭვში, რომელშიც 14,000-ზე მეტი ბიზნეს და არაკომერციული წარმომადგენელია ჩართული.

გლობალური შეთანხმების ყველა მონაწილე იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს მდგრადი, პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოების წესებს, რომლებიც თანხვედრაშია გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციული სტანდარტის მიმართ. ამ პრინციპებით ბიზნეს საქმიანობა ხელს უწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლისთვის განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიომ 17 მდგრადი განვითარების მიზნიდან, რამდენიმეს მისაღწევად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, დანარჩენ მიზნებზე პროგრესი შეჩერდა ან შედეგი გაუარესდა. COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა გამოაშკარავა ჩვენი სისტემების მყიფე ხასიათი, ნათლად აჩვენა ის მასიური სისუსტეები და დეფიციტები, რომლებიც დღეს ჩვენს მსოფლიოს განსაზღვრავს - სიღარიბისა და უთანასწორობის შემაშფოთებელი დონით, გენდერული უთანასწორობის გამაღრმავებელი ნორმებით და ჩვეულებებით დაწყებული, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირებით დამთავრებული.

ეს გამოწვევები ხშირად გადაულახავი ჩანს, მაგრამ მაინც, სწორედ ეს კრიზისი არის ბიზნესებისათვის საშუალება ხელახლა შექმნან საკუთარი თავი. კრიზისმა გვაჩვენა, რომ აუცილებელია ვიყოთ უფრო მოქნილები, რათა ერთად, უფრო ეფექტურად ვიყოთ მზად მომავალი გამოწვევებისთვის.

ბიზნესის წარმოების ტრადიციული მეთოდები უკვე არარელევანტურია. თუმცა თუ ვიმუშავებთ მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში, საბოლოოდ შევქმნით ხელშემწყობ გარემოს ბიზნესის გაძლიერებისათვის. პანდემიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბიზნესების საქმიანობის საფუძვლად მდგრადობის პრინციპების არსებობის მნიშვნელობას. COVID-19-ის საპასუხოდ, გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ გამოაქვეყნა სპეციალური მოწოდება ბიზნესებისათვის, რომ გადადგან კოლექტიური ნაბიჯები გლობალური შეთანხმების 10 პრინციპის შესასრულებლად. ჩვენი ადგილობრივი ქსელები, მათ შორის აქ, საქართველოში, უმნიშვნელოვანეს პარტნიორებს წარმოადგენენ სისტემური და ადგილობრივად ფოკუსირებული ძალისხმევების მხარდასაჭერად. სწორედ ეს ძალისხმევები აერთიანებენ

Since the UN Global Compact was founded 20 years ago, the private sector has shown that Kofi Annan was right. More than 11,000 companies became participants of the UN Global Compact, working hard to accelerate progress on the Sustainable Development Goals by mainstreaming corporate sustainability across strategies and operations around the world. Corporate commitment to sustainability in Georgia is very important. Georgian companies represent a vital link in the chain of nearly 14,000 business and non-business participants that have joined the UN Global Compact's community.

All these participants have made a commitment to adopt sustainable, responsible business policies under the UN Global Compact's Ten Principles for human rights, labour, the environment and anti-corruption. Through these policies, they are supporting the drive to fulfil the 2030 Agenda for Sustainable Development.

While the world has made great strides towards some of the 17 Sustainable Development Goals (SDGs), progress on others has stalled or even reversed. The crisis caused by the COVID-19 pandemic exposed the fragile nature of our systems, laying bare the massive fragilities and deficits that define our world today — from staggering levels of poverty and inequalities, to the persistence of norms and practices that underpin gender inequality, to a weakening of international cooperation and trust in institutions.

These challenges can feel overwhelming at times. And yet, the current crisis also presents an opportunity for businesses to re-invent themselves. It has shown us that we must become more resilient to recover better together and be ready to cope with future disruptions.



ცვლილებების წასახალისებლად ისეთ რელევანტურ სუბიექტებს, როგორებიც არიან ბიზნესები, სამოქალაქო საზოგადოება, გაერო და სახელმწიფო.

ჩვენ ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ნაწილში, ცნობიერება და აქტივობები SDG-ების მისაღწევად ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური იყო, კოლექტიური კორპორაციული პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ არ არის იმდენად ტრანსფორმაციული, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება საჭირო დროში მოხდეს. ამ გამოწვევის გადასალახად, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გასული წლის დასაწყისში გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ ინიცირება მოახდინა პროგრამის „SDG Ambition“, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს კომპანიებს იყვნენ უფრო თამამები, ამბიციურები და ცვლილებებზე ორიენტირებულები.

სწორედ ახლა არის ის დრო, დავრწმუნდეთ, რომ მდგრადი განვითარების მიზნები ბიზნესების ამოცანებისა და სტრატეგიების ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენენ მთელ მსოფლიოში. ახლა, როცა გამოვდივართ კრიზისიდან, ჩვენ გვჭირდება რწმენა, რომ კომპანიების სტრატეგიები, მიზნები და გეგმები ხელს უწყობენ უფრო თანასწორი და მდგრადი საზოგადოების შენებას, რომელიც უფრო მოქნილი იქნება მომავალში შესაძლო გლობალური გამოწვევების მიმართ.

*დიდი მადლობა!*

**სანდა ოჯიამბო**
გაეროს გლობალური შეთანხმების
აღმასრულებელი დირექტორი

Business as usual is no longer an option. But if we operate sustainably, in line with the Global Goals for Sustainable Development, we will ultimately strengthen the enabling environment for doing business and building markets. The pandemic has re-emphasized the urgency for sustainability to be at the core of business. In response to COVID-19, the UN Global Compact issued a Special Appeal for business to take collective action through implementing the Ten Principles. Our Local Networks around the world including here in Georgia are crucial partners to support systematic and nationally focused efforts to engage with all relevant actors including businesses, civil society, the UN, and Government to foster this change.

We are still a long way from delivering the goals set out by the 2030 Agenda. On the business end, while SDG awareness and action have been at all-time high over the past years, collective corporate commitments are not yet transformative enough to deliver on the SDGs quickly enough. To address this challenge, the UN Global Compact launched SDG Ambition at the World Economic Forum earlier last year to challenge and support companies in being more bold, ambitious, and transformational.

Now is the time to make sure that the SDGs are placed firmly at the core of business goals and strategies everywhere. As we emerge from these current crises, we need to ensure that business strategies, goals, and plans contribute to the building of more equal and sustainable societies, which will be more resilient to global challenges in the future.

*Thank you very much!*

**SANDA OJIAMBO**
CEO & EXECUTIVE DIRECTOR
UN GLOBAL COMPACT

*გლობალური შეთანხმების ყველა მონაწილე იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს მდგრადი, პასუხისმგებლიანი ბიზნესის წარმოების წესები, რომლებიც თანხვედრაშია გლობალური შეთანხმების ათ პრინციპთან ადამიანის უფლებების, შრომის, გარემოს დაცვისა და ანტიკორუფციული სტანდარტის მიმართ*

ALL PARTICIPANTS HAVE MADE A COMMITMENT TO ADOPT SUSTAINABLE, RESPONSIBLE BUSINESS POLICIES UNDER THE UN GLOBAL COMPACT'S TEN PRINCIPLES FOR HUMAN RIGHTS, LABOUR, THE ENVIRONMENT AND ANTI-CORRUPTION



სალომე ზურაბიშვილი
SALOME ZURABISHVILI

აღმასრულებელი დირექტორი
გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

EXECUTIVE DIRECTOR
GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA

*მდგრადი და პასუხისმგებლიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიზნით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, აქტიურად თანამშრომლობს ბიზნეს სექტორთან და სხვა მნიშვნელოვან აქტორებთან. ჩვენ ვეხმარებით კომპანიებს, რათა თანხვედრაში მოიყვანონ თავიანთი სტრატეგია და ყოველდღიური საქმიანობა ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის უნივერსალურ პრინციპებთან და გადადგან ნაბიჯები საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად.*

*FOR THE PAST FIVE YEARS, GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA HAS BEEN WORKING HARD WITH THE BUSINESS SECTOR AND OTHER MAJOR STAKEHOLDERS IN THE COUNTRY TO TRANSFORM THE MARKET ECONOMY BY MAKING IT MORE SUSTAINABLE AND RESPONSIBLE. WE HAVE BEEN ASSISTING COMPANIES TO ALIGN THEIR STRATEGIES AND OPERATIONS WITH UNIVERSAL PRINCIPLES ON HUMAN RIGHTS, LABOUR, ENVIRONMENT, ANTI-CORRUPTION AND TO TAKE ACTION THAT ADVANCES SOCIETAL GOALS.*



ჩვენი ძალისხმევის შედეგად, ვფიქრობთ, რომ საკმაოდ მოკლე პერიოდში მივაღწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს, რაც ბიზნესის მხრიდან სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მდგრადი მიდგომების გათვალისწინებაში აისახა; თვალსაჩინო იყო ქვეყანაში  პოლიტიკის დონეზე განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ახალისებს ბიზნეს სექტორის მიერ ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის საკითხების პატივისცემას; ცალკე გამოვყოფდი, ასევე, მედიის აქტიურ ჩართულობას კორპორაციული მდგრადობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში... და ეს მხოლოდ დასაწყისია.

კორონავირუსით გამოწვეულმა კრიზისმა ეკონომიკური და სოციალური სირთულეები წარმოქმნა როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში; ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ცნობიერების ამაღლებას სოციალური კეთილდღეობისა და ჯანსაღი საბაზრო ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებაზე; გავაცნობიერეთ, რომ დღევანდელ რეალობაში ბიზნესის ჩვეული მიდგომა „business as usual“ საჭიროებს ცვლილებას.

ქვეყანაში 6%-იანი ეკონომიკური ვარდნის მაჩვენებლის გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოს ეკონომიკისთვის ახალი სიცოცხლის მიცემა, რომელიც უფრო მდგრად მიდგომებზე, სოციალურ თუ გარემოსდაცვით საჭიროებებზე იქნება დამყარებული, ამასთან გაითვალისწინებს არსებულ რისკებს და სამომავლო შესაძლებლობებს.

During this relatively short period of time, we have already seen progress as businesses in Georgia take increasingly strategic decisions to integrate sustainable approaches into their operations.

Some of the most noteworthy achievements of the past years have also included the introduction of policy level developments that promote businesses' respect for human rights and the environment, in addition to the increased involvement of the media in raising the awareness of the general public on the concept and importance of corporate sustainability... and this is just the beginning.

The COVID-19 crisis, which has instigated an economic and social crisis in both Georgia and the globe over, has also triggered a better understanding of the importance of societal well-being for a healthy market economy; it has made us realise that 'business as usual' is no longer an option.

With economic growth down 6%, it is essential for Georgia to reboot the economy by taking more sustainable approaches and bold action that considers societal and environmental necessities, while measuring risks and acting upon existing challenges along with future opportunities.

The UN Global Compact, both nationally and globally, has assumed the responsibility for and leadership to mobilise business action towards the Sustainable Development Agenda 2030. The first step to achieving this goal is to foster better awareness in the business sector, among government entities, in academia, the media, civil society, and in the general public at large on the universal principles of corporate sustainability.

*ჟურნალი „Sustainability Spotlight“ - ეს არის საქართველოში კორპორაციული მდგრადობის საკითხებზე პირველი სპეციალიზებული გამოცემა. ამ ჟურნალის მიზანია პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების გამოვლენა, რომლებიც გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპს და სხვა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს ასახავს*

*SUSTAINABILITY SPOTLIGHT, THE FIRST EVER MAGAZINE IN GEORGIA DEDICATED TO CORPORATE SUSTAINABILITY ISSUES WILL AIM TO IDENTIFY THE BEST EXAMPLES OF RESPONSIBLE BUSINESS PRACTICE THAT REFLECT THE TEN PRINCIPLES OF THE UN GLOBAL COMPACT AND OTHER INTERNATIONALLY RECOGNISED STANDARDS*

გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე, აიღო პასუხისმგებლობა ბიზნესის მობილიზებაზე 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელების მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ცნობიერების ამაღლება კორპორაციული მდგრადობის საყოველთაო სტანდარტების შესახებ ბიზნეს სექტორის, სახელმწიფო სტრუქტურების, აკადემიის, მედიის და  სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებში.

ჟურნალი „Sustainability Spotlight“ - ეს არის საქართველოში კორპორაციული მდგრადობის საკითხებზე პირველი სპეციალიზებული გამოცემა. ამ ჟურნალის მიზანია პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების გამოვლენა, რომლებიც გაეროს გლობალური შეთანხმების ათ პრინციპს და სხვა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს ასახავს. ბიზნეს ქცევის კარგი მაგალითების გარდა, ჟურნალი „Sustainability Spotlight“ ასევე წარმოადგენს ხელისუფლების ხედვას, ინიციატივებსა და საქმიანობას მდგრადი განვითარების სფეროში, დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობებს ამ მიმართულებით, განიხილავს აქტუალურ თემებს, რომლებიც ეხება პასუხისმგებლიან ბიზნეს ქცევას მსოფლიოს მასშტაბით. ჟურნალი დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად: საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მიმართულებებად.

ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალი „Sustainability Spotlight“ ხელს შეუწყობს საქართველოში ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობასა და ცოდნის ამაღლებას კორპორაციული მდგრადობის საკითხებზე და უზრუნველყოფს ქვეყანაში პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის დანერგვას.

ჟურნალის პირველ ნომერში მიმოხილულია კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის გავლენა საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და გარემოზე - როგორ შეძლო ბიზნესმა კრიზისთან გამკლავება და რას უნდა ველოდოთ მომავალში?  როგორ შეგვიძლია მდგრადი მიდგომების გამოყენებით აღვადგინოთ ეკონომიკა და საიდან დავიწყოთ?

დროა, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, გავაერთიანოთ ძალები და ერთად გავუმკლავდეთ მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს. მომავალი იქნება წარმატებული, მწვანე და ინკლუზიური, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ასე გადავწყვეტთ და ამ პრინციპის შესაბამისად ვიმოქმედებთ.

Therefore, Global Compact Network Georgia is proud to present Sustainability Spotlight, the first ever magazine in Georgia dedicated to corporate sustainability issues, which will aim to identify the best examples of responsible business practice that reflect the Ten Principles of the UN Global Compact and other internationally recognised standards. Besides its focus on good corporate practice, Sustainability Spotlight will also present the government's vision, initiatives and activities around sustainability issues, the work of the diplomatic corps and international organisations in this area, and trending news related to responsible business conduct from around the world. The magazine is divided into three main sections, covering environmental, societal, and economy related topics.

We hope that the Sustainability Spotlight magazine will help increase awareness and knowledge on corporate sustainability issues of the major stakeholders in Georgia, and that it will incentivise responsible business conduct in the country. This first issue is dedicated to the impacts of the COVID-19 crisis on the society, economy, and the environment — how have businesses tackled the crisis and what is yet to come? How can we rebuild the economy in a sustainable way and where to start?

It is time for us to face the truth, unite forces and tackle sustainability challenges together. The future is prosperous, green and inclusive – but only if we decide we want it so and act upon it.





# კორპორაციული მდგრადობა სწორად წარმართული ბიზნესია!

# CORPORATE SUSTAINABILITY IS GOOD BUSINESS!



*მე მტკიცედ მჯერა საქართველოსი და მისი შემდგომი მდგრადი განვითარების*

*I FIRMLY BELIEVE IN GEORGIA, AND IN A SUSTAINABLE FURTHER DEVELOPMENT OF YOUR COUNTRY*

*- შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში,* ***ულრიკ თიდესტრომი***

***-H.E. ULRIK TIDESTRÖM,*** *AMBASSADOR OF SWEDEN IN GEORGIA*

**შვედეთი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის კუთხით. მოგვიყევით თქვენი ქვეყნის სტრატეგიაზე ამ მიმართულებით?**

შვედეთი იღწვის იყოს ლიდერი 2030 წლისთვის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, როგორც ეროვნულ ისე გლობალურ დონეზე. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა გავხდეთ მსოფლიოში პირველი საწვავისგან თავისუფალი სახელმწიფო.

“RobecoSAM”-ის მდგრადი ქვეყნების რეიტინგში (2019), შვედეთი 65 ქვეყანას შორის პირველია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინდიკატორების (ESG) მიხედვით.

ჩვენ გვსურს გავაგრძელოთ მსოფლიო ლიდერობა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. ამ ყველაფერში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემდეგი კომპონენტები:
ძლიერი დემოკრატიული და ეკონომიკური პირობები, ასევე თანამშრომლობისა და პარტნიორობის კულტურა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის სხვადასხვა სფეროში;

ძლიერი ინსტიტუტები და მმართველობა – ჯერ კიდევ 2002 წელს, შვედეთმა შეიმუშავა მდგრადი განვითარების პირველი სტრატეგია და კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ მდგრადი განვითარება, რომელიც ჯანსაღ გარემოს ქმნის არსებული და მომავალი თაობებისთვის, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი უნდა იყოს;

მოქალაქეებში ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლება;

საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობა, რომლებსაც საფუძვლად უდევთ სიღარიბის შემცირება და მდგრადი განვითარება.

**რატომ არის კორპორაციული მდგრადობა მნიშვნელოვანი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის?**

კორპორაციული მდგრადობა გულისხმობს მუშაობას ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები და ანტიკორუფციული სტანდარტი. შესაბამისად, კომპანიები, რომლებიც ამ სტრატეგიების ბიზნეს საქმიანობაში ინტეგრირებას ახდენენ, ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების კეთილდღეობასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაზე.

მდგრადობა ხშირად არის დანახული, როგორც დანახარჯი, არადა, ეს ზუსტად ის არის, რაც ღირებულებას ქმნის და ხელს უწყობს უფრო მყარი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გარემოს შექმნას ქვეყნისა და საზოგადოებისთვის. კორპორაციული მდგრადობა სწორად წარმართული ბიზნესია!

**Sweden is one of the leading countries in implementing SDG Agenda 2030. How did Sweden make it possible?**

Sweden strives for leadership in the implementation of Agenda 2030 both nationally and globally. One of our goals is to be the world's first fossil-free welfare nation.

In the latest the RobecoSAM Country Sustainability Ranking (2019), Sweden was ranked first out of 65 countries, based on environmental, social and governance (ESG) indicators. We want to continue being a world leader in fighting global warming and implementing the entire 2030 Agenda. Some key components in this are as follows:
Strong democratic and economic conditions, as well as a culture of cooperation and partnership between various actors of society and across fields;
Institutions and good governance. Back in 2002, Sweden's first national sustainable development strategy was adopted, along with an addition to the Swedish Constitution stating that sustainable development leading to a good environment for present and future generations must be promoted by the State; Increasing the knowledge and commitment of the citizens;
Cooperation and partnerships internationally, not the least through development cooperation, that places poverty reduction and sustainable development at the core.

**Why is corporate sustainability important for the country and for the society?**

Corporate sustainability entails working on issues such as environment, human rights, and anti-corruption . Thus, companies which integrate corporate responsibility impact their societies and the well-being as well as sustainable development of the country. Sustainability is sometimes seen is as cost, whilst it is the very thing that creates the value and allows more sustainable social, environmental and economic environment for the country and for the society. Corporate sustainability is good business!

*IN THE LATEST THE ROBECOSAM COUNTRY SUSTAINABILITY RANKING (2019), SWEDEN WAS RANKED FIRST OUT OF 65 COUNTRIES, BASED ON ENVIRONMENTAL, SOCIAL AND GOVERNANCE (ESG) INDICATORS*

*“RobecoSAM”-ის მდგრადი ქვეყნების რეიტინგში (2019), შვედეთი 65 ქვეყანას შორის პირველია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინდიკატორების (ESG) მიხედვით*

შვედეთის მთავრობა მოუწოდებს ყველა შვედურ კომპანიას გაითვალისწინონ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ნორმები მულტინაციონალური საწარმოებისთვის, გაეროს გზამკვლევი ნორმები ბიზნესისა და ადამიანის უფლებებისთვის და გლობალური შეთანხმების 10 პრინციპი.

**შვედეთი საქართველოში არაერთ პროექტს აფინანსებს. რა არის თქვენი პრიორიტეტები და მთავარი სამიზნე ჯგუფები ჩვენს ქვეყანაში და რას იტყოდით თქვენს სამომავლო გეგმებზე საქართველოში?**

*უკვე წლებია შვედეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი და დონორია განვითარების საკითხებში.*

სიღარიბის შემცირება და საქართველოს ევროპული ინტეგრაციისათვის საჭირო რეფორმების ხელშეწყობა ჩვენი თანამშრომლობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. ჩვენი მხარდაჭერის პრიორიტეტი ბაზრების განვითარება, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის კიდევ უფრო გაძლიერება, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაა. ჩვენ ამ საკითხებზე კერძო და საჯარო სექტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ვმუშაობთ.

Swedish Government encourages all Swedish companies to follow the Organization for Economic Co-operation and Development (OECD) Guidelines for Multinational Enterprises, the UN Guiding Principles for Business and Human Rights and the UN Global Compact's 10 principles.

**Sweden is funding a number of projects in Georgia. What are the priority areas, what are your main target groups in our country, and what could you say about future plans in this regard?**

*OVER THE YEARS, SWEDEN HAS BEEN AMONG THE LARGEST DONORS AND DEVELOPMENT PARTNERS TO GEORGIA.*

Poverty reduction and support to reforms for Georgia's European integration are at the core of our development cooperation.
Our priority areas of support are market development; the further strengthening of democracy, human rights, and rule of law; and environment and climate change. We work on these priorities in partnership with a multitude of actors in the public and private sector and in civil society.

**What are your recommendations for business and government in terms of corporate sustainability and implementation of SDG Agenda 2030? What would you say about Georgia's sustainable future? Lessons the business and governments learned from pandemic.**

*ჩვენ უნდა ვიღწვოდეთ ავაშენოთ უფრო ინკლუზიური, თანასწორი და დაბალანსებული მომავალი, როგორც ეკონომიკურად, ისე სოციალურად და ეკოლოგიურად. ამ მიზნის მისაღწევად კი, უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა სექტორებისა და საზღვრების მასშტაბებით. ერთად უფრო ძლიერნი ვართ!*

**WE SHOULD STRIVE FOR BUILDING A MORE INCLUSIVE, EQUAL AND BALANCED FUTURE ECONOMICALLY AS WELL AS SOCIALLY AND ENVIRONMENTALLY. IN DOING THIS, WE MUST JOIN EFFORTS ACROSS SECTORS AND BORDERS. WE ARE STRONGER TOGETHER!**

**რა არის თქვენი რეკომენდაციები ბიზნესისა და სახელმწიფოსათვის კორპორაციული მდგრადობისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად? რას იტყოდით საქართველოს მდგრად მომავალზე? რა ისწავლა ბიზნესმა და მთავრობამ პანდემიის დროს?**

მე მტკიცედ მწამს, როგორც თქვენი ქვეყნის, ისე მისი მდგრადი განვითარების. საქართველოს შეუძლია ჰქონდეს მუდმივი მხარდაჭერის იმედი ისეთი მეგობრებისგან, როგორიც შვედეთია.

პანდემიამ 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა და პროგრესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით საფრთხის წინაშე დააყენა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ ზეგავლენა იქონია ყველა ჩვენგანზე, მისი ზემოქმედება ღარიბ და მოწყვლად ჯგუფებზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

სწორედ ამიტომ, კრიზისი შეიძლება დავინახოთ, როგორც საშუალება გავაერთიანოთ ჩვენი ძალები, დავიწყოთ პარტნიორობა და ვიმუშავოთ ერთად იმისათვის, რომ არავინ დარჩეს მიტოვებული.

მდგრადი განვითარების მიზნების პრინციპები გზამკვლევს წარმოადგენს, როგორც პანდემიის, ისე მისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გავლენების დასაძლევად. ჩვენ უნდა ვიღწვოდეთ ავაშენოთ უფრო ინკლუზიური, თანასწორი და დაბალანსებული მომავალი, როგორც ეკონომიკურად, ისე სოციალურად და ეკოლოგიურად. ამ მიზნის მისაღწევად კი, უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა სექტორებისა და საზღვრების მასშტაბით. ერთად უფრო ძლიერნი ვართ!



I firmly believe in Georgia, and in a sustainable further development of your country. You can count on the continued support from friends like Sweden. The implementation of Agenda 2030 and the progress towards all sustainable development goals have been threatened all around the world by the ongoing pandemic. While it affects us all, it affects the poorest and most vulnerable the most. However, this crisis, can also be viewed as an opportunity to join forces, build partnerships and work together to build back better and ensure that no one is left behind. The principles in the SDGs are a guide for a recovery from the pandemic and its economic, social and environmental impact.
We should strive for building a more inclusive, equal and balanced future economically as well as socially and environmentally. In doing this, we must join efforts across sectors and borders. We are stronger together!

*საქართველოს შეუძლია ჰქონდეს მუდმივი მხარდაჭერის იმედი ისეთი მეგობრებისგან, როგორიც შვედეთია*

*GEORGIA CAN COUNT ON THE CONTINUED SUPPORT FROM FRIENDS LIKE SWEDEN*

# რა იქნება სწრაფი „გაჯანსაღების“ ფუნდამენტი პოსტ-პანდემიური საქართველოსთვის?

# WHAT WILL BE THE FOUNDATION FOR RAPID RECOVERY IN POST-PANDEMIC GEORGIA?

26 თებერვალი, 2020 წელი – საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო, საკმაოდ სპეციფიკურ გარემოებაში აღმოჩნდა. მთავრობებმა, ორგანიზაციებმა და საზოგადოებამ ერთხმად აღიარეს, რომ პანდემიამ კრიზისის დასაძლევად არსებულ მოდელებში და ეკონომიკის მასტიმულირებელ ტრადიციულ მეთოდებში რწმენა შეგვირყია. გამონაკლისი არც საქართველო და ქართული ეკონომიკა აღმოჩნდა. როგორ გაუმკლავდა ქვეყანა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირველ ეტაპებს? იმუშავა თუ არა ანტი-კრიზისულმა გეგმამ? საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ნათია თურნავა არსებულ რეალობას, პოსტ-პანდემიური ეპოქის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს მიმოიხილავს.

**როგორ შეაფასებდით პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირველი ფაზის დასაძლევად შემუშავებულ ანტი-კრიზისულ გეგმას? რა იყო მთავარი მონაპოვარი – განსაკუთრებით ბიზნესის დახმარების მხრივ და რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთ?**

FEBRUARY 26TH, 2020 - THE FIRST CASE OF CORONAVIRUS WAS RECORDED IN GEORGIA. THE WHOLE WORLD, INCLUDING GEORGIA, FOUND ITSELF IN A RATHER SPECIFIC CIRCUMSTANCE. GOVERNMENTS, ORGANIZATIONS, AND THE PUBLIC HAVE UNANIMOUSLY ACKNOWLEDGED THAT THE PANDEMIC HAS UNDERMINED BELIEF IN EXISTING MODELS FOR OVERCOMING THE CRISIS AND TRADITIONAL METHODS OF STIMULATING THE ECONOMY. THE GEORGIAN ECONOMY WAS NO EXCEPTION. HOW DID THE COUNTRY COPE WITH THE FIRST STAGES OF THE ECONOMIC CRISIS CAUSED BY THE PANDEMIC? DID THE ANTI-CRISIS PLAN WORK? THE MINISTER OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA, NATIA TURNAVA, REVIEWS THE CURRENT ECONOMIC REALITY, CHALLENGES, AND OPPORTUNITIES OF THE POST-PANDEMIC ERA.

**How would you assess the anti-crisis plan developed to overcome the first phase of the pandemic crisis? What was the main achievement - especially in terms of business assistance, and, in retrospect, what could have been done better?**

*ვმუშაობთ ევროკავშირის EU4DIGITAL ინიციატივაზე, რომლის მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით*

*WE ARE WORKING ON THE EU4DIGITAL INITIATIVE, WHICH AIMS TO EXPAND THE EU'S SINGLE DIGITAL MARKETPLACE TO CREATE MORE JOBS IN THE EASTERN PARTNERSHIP COUNTRIES, AS WELL AS IMPROVE PEOPLE'S QUALITY OF LIFE, AND SUPPORT BUSINESSES*








*BUSINESS DIGITIZATION MEASURES HAVE BEEN TAKEN IN GEORGIA'S REGIONS, AND THE WORLD-LEADING ACCELERATOR, "500 STARTUPS," HAS BEEN INTRODUCED IN GEORGIA*

*გატარდა ბიზნესის გაციფრულების ღონისძიებები რეგიონებში, საქართველოში შემოვიდა მსოფლიოში წამყვანი აქსელერატორი 500 Startup*

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის მართვის გეგმის შემუშავება წარმოადგენდა საკმაოდ დინამიურ პროცესს. ეკონომიკის მხარდაჭერის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა მიზნობრივად და მხარდაჭერილ იქნა ეკონომიკის ყველა ის სექტორი და საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელთაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით განიცადეს მნიშვნელოვანი ზიანი COVID-19 პანდემიის შედეგად.

ყველა არსებული გამოწვევის მიუხედავად, საქართველომ მოახერხა ეკონომიკური დანაკარგების მინიმიზაცია და სწრაფი ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესის დაწყება.

2020 წლის სექტემბერში ეკონომიკა მხოლოდ 0.7 პროცენტით შემცირდა, ხოლო იანვარ-სექტემბრის საშუალო კლების მაჩვენებელმა 5.0 პროცენტი შეადგინა.

2020 წლის სექტემბერში მთელ რიგ სექტორებში, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, განათლება და ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება, დაფიქსირდა ეკონომიკური აქტივობის და დამატებული ღირებულების ზრდის მაჩვენებლები.

Developing a coronavirus crisis management plan was a fairly dynamic process. The measures taken under the Economic Support Anti-Crisis Plan were targeted and supported by all sectors of the economy and public groups that suffered, directly or indirectly, significant damage as a result of the COVID-19 pandemic.

Despite all the challenges, Georgia has managed to minimize economic losses and start rapid economic recovery.

In September 2020, the economy shrank by only 0.7 percent, while the average January-September decline was 5.0 percent.

Additionally, many sectors, such as agriculture, mining, manufacturing, trade, and finance, as well as insurance, education and health, and social services, saw growth in economic activity and value.

**How did the government work with the business sector during the pandemic? What is the current state of the UN Sustainable Development Goals implementation process?**

*ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების, სტრუქტურული რეფორმების განხორციელების, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისკენ მიმართული პროგრამებისა და მიზნობრივი სოციალური დაცვის მექანიზმების საშუალებით, საქართველო უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში დასახული გეგმებისა და მაჩვენებლების მიღწევას*

## THROUGH ECONOMIC RECOVERY MEASURES, IMPLEMENTATION OF STRUCTURAL REFORMS, PROGRAMS AIMED AT THE COMPETITIVENESS OF THE PRIVATE SECTOR, AND TARGETED SOCIAL PROTECTION MECHANISMS, GEORGIA ENSURES THE SUCCESS OF PLANS AND INDICATORS SET WITHIN THE FRAMEWORK OF SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

**როგორ თანამშრომლობდა ბიზნეს სექტორთან მთავრობა პანდემიის პერიოდში და რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის პროცესში?**

პანდემიის მართვის და ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფო აქტიურად თანამშრომლობდა კერძო სექტორთან. სახელმწიფო პროგრამების დიზაინის ცვლილება და ახალი პროგრამების შემუშავება არსებული გამოწვევების საპასუხოდ სწორედ კერძო სექტორთან აქტიური კომუნიკაციით განხორციელდა.

ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ბიზნეს სექტორის მიერ გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები, რათა მოხდეს მოთხოვნადი და დეფიციტური იმპორტირებული პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით, მათ შორისაა პირბადეების, სადეზინფექციო ხსნარების, სპეცტანსაცმლისა და სხვადასხვა საკვები პროდუქტების წარმოება.

ფერმერები, რომლებიც მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანით არიან დაკავებული, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ საკრედიტო - საგარანტიო სქემაში ჩართვას შეძლებენ. კომპანიებს ან ინდმეწარმეებს, რომლებიც მრავალწლოვანი კულტურების მოსაყვანად საბანკო სესხებს იზიდავენ, სესხის პროცენტს სოფლის მეურნეობის პროგრამების ფარგლებში უსუბსიდირებენ. ამით მეწარმეებს შეეძლებათ ერთდროულად ისარგებლონ სახელმწიფოს ორივე პროგრამით, როგორც უზრუნველყოფით, ასევე ბანკის პროცენტის სესხის თანადაფინანსებით.

ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების, სტრუქტურული რეფორმების განხორციელების, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისკენ მიმართული პროგრამებისა და მიზნობრივი სოციალური დაცვის მექანიზმების საშუალებით საქართველო უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში დასახული გეგმებისა და მაჩვენებლების მიღწევას. აღნიშნულ პროცესში საქართველოს მთავრობა განაგრძობს აქტიურ კომუნიკაციას კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

At various stages of our pandemic management and the anti-crisis development plan, the state actively cooperated with the private sector. Changes in the design of state programs and the development of new programs in response to the existing challenges were carried out through active communication with the private sector.

Moreover, the Ministry of Economy and Sustainable Development and the business sector have taken effective steps in replacing the demanded and deficient imported products with local ones, including the production of face masks, disinfectants, overalls, and various food products.

Farmers who are engaged in growing perennial crops will be able to join the credit-guarantee scheme program offered by "Enterprise Georgia." Under agricultural programs, loan interest rates will be subsidized for companies and individual entrepreneurs who require bank loans to grow perennial crops. This way, entrepreneurs will simultaneously benefit from two state programs - collateral and co-financing of the bank interest loan.

Through economic recovery measures, implementation of structural reforms, programs aimed at the competitiveness



სამეწარმეო ინოვაციური ეკოსისტემის სუბიექტების და განსაკუთრებით კი ინოვაციურ მეწარმეთა წასახალისებელი ღონისძიებები პანდემიის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში დაიგეგმა და წარმატებით გრძელდება. ჩატარდა „კორონათონი“ სადაც გამოვლინდა ახალგაზრდა, მეწარმეთა წარმატებული პროექტები; გაიზარდა მეწარმეთა წვდომა საჭირო უნარებზე, გატარდა ბიზნესის გაციფრულების ღონისძიებები რეგიონებში, საქართველოში შემოვიდა მსოფლიოში წამყვანი აქსელერატორი 500 Startup.

სამინისტრო აქტიურად აგრძელებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობას. მსოფლიო ბანკთან დაიწყო „Log-in Georgia“ პროექტი, რომლის მიზანია, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროექტი ხელს შეუწყობს ციფრული სერვისების გამოყენებას, ელექტრონულ კომერციას, ისევე როგორც ელექტრონული მთავრობის სერვისებს. პროექტი ასევე ხელს შეუწყობს დისტანციური მუშაობის, სწავლებისა და ტელემედიცინის განვითარებას.

*GEORGIA HAS STRONG SUPPORT FROM DONOR ORGANIZATIONS AND OFFICIAL CREDITORS*

*საქართველოს აქვს ძლიერი მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციებისა და ოფიციალური კრედიტორების მხრიდან*

*განსაკუთრებით მინდა გამოვყო ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც IT კომპანიები, ნებადართული საქმიანობის განხორციელების ნაწილში, შეძლებენ, მიიღონ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რის შემდეგაც საშემოსავლო და მოგების გადასახადი იქნება 5%.*

ვმუშაობთ ევროკავშირის EU4Digital ინიციატივაზე, რომლის მიზანია ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მეტი სამუშაო ადგილის შექმნის, ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით. ამ ინიციატივის საშუალებით ევროკავშირთან და EaP ქვეყნებთან მიმდინარეობს მუშაობა როუმინგული ტარიფების შემცირების, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარების, კიბერუსაფრთხოების და სანდო

of the private sector, and targeted social protection mechanisms, Georgia ensures the success of plans and indicators set within the framework of sustainable development goals. In this process, the Government of Georgia actively communicates with the private sector and civil society.

Encouraging activities for the spectrum of the innovative entrepreneurial ecosystem, especially for innovative entrepreneurs, were planned, executed, and continued within a few days of the beginning of the pandemic. "Coronaton" was held, where successful projects of young entrepreneurs were revealed; entrepreneurs' access to the necessary skills has increased, business digitization measures have been taken in Georgia's regions, and the world-leading accelerator, "500 Startups," has been introduced in Georgia.

*I WANT TO HIGHLIGHT THE NEW LEGISLATIVE INITIATIVE, ACCORDING TO WHICH IT COMPANIES, IN THE FRAMEWORK OF PERMITTED ACTIVITIES, WILL BE ALLOWED TO OBTAIN THE STATUS OF AN INTERNATIONAL COMPANY, CONSEQUENTLY, THEIR INCOME AND PROFITABLE TAX WILL BE 5%.*

The Ministry actively continues to work in the field of information and communication technologies. The "Log-in Georgia" project has been launched with the cooperation of the World Bank, aiming to increase access to high-speed Internet. The project will facilitate the use of digital services, e-commerce, as well as e-government services. The project will also support the development of remote learning, teaching, and telemedicine. We are working on the EU4Digital initiative, which aims to expand the EU's single digital marketplace to create more jobs in the Eastern Partnership countries, as well as improve people's quality of life, and support businesses.

მომსახურებების, ელექტრონული ჯანდაცვის, ინოვაციების, ელექტრონული ვაჭრობის, ციფრული უნარების განვითარების საკითხებზე.

**რა არის პირადად თქვენი, როგორც მინისტრის ლიდერული მართვის სტრატეგია? რა არის ის პრიორიტეტები, რასაც, როგორც გადაწყვეტილების მიმღები სახავთ?**

კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას, ფუნდამენტურ ეკონომიკურ კავშირებს უქმნის საფრთხეს და აერთიანებს, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხარის შოკს.

შესაბამისად, აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება ერთი მხრივ ეკონომიკაზე ვირუსის უარყოფითი გავლენის შემცირების მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების ხელშეწყობა.

საქართველომ შეიმუშავა მიზნობრივი ფისკალური, მონეტარული და სტრუქტურული პოლიტიკის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორის კონკურენტუნარიანობას, საზოგადოების ყველაზე დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასა და სოციალური დაცვის მექანიზმების გაძლიერებას.

ამასთან, ჩვენ ვაგრძელებთ სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მხარდაჭერასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას. სახელმწიფო პროგრამებში განსაკუთრებულ

Through this initiative, work is underway with the EU and EaP countries on roaming tariff reduction, development of high-speed broadband internet, cybersecurity and trust services, e-health, innovation, e-commerce, and digital skills development.

**What is your personal management strategy as a minister? What are your priorities as a decision maker?**

The economic crisis caused by the coronavirus pandemic affects almost all aspects of public life, threatening fundamental economic ties and combining both demand and supply-side shocks.

Therefore, in response to these challenges, it is necessary to take complex measures to reduce the negative impact of the virus on the economy on the one hand, and on the other hand, to promote rapid economic recovery in the post-crisis period.

Georgia has developed various measures in terms of targeted fiscal, monetary, and structural policies, which will promote competitiveness in the business sector, support the most vulnerable groups in society, and strengthen social protection mechanisms.

At the same time, we continue to implement structural reforms, improve infrastructure, support innovation and technology, and develop human capital. In state programs, we pay special attention to economic activities that have a high potential for rapid economic recovery, import substitution, and productivity improvements.

Our strategy aims to advance domestic production and reduce external vulnerabilities, attract quality foreign direct investment, diversify trade, eliminate market failures, and, most importantly, maintain macroeconomic stability.

*EaP ქვეყნებთან მიმდინარეობს მუშაობა როუმინგული ტარიფების შემცირების, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის განვითარების, კიბერუსაფრთხოების და სანდო მომსახურებების, ელექტრონული ჯანდაცვის, ინოვაციების, ელექტრონული ვაჭრობის, ციფრული უნარების განვითარების საკითხებზე*

**WORK IS UNDERWAY WITH THE EAP COUNTRIES ON ROAMING TARIFF REDUCTION, DEVELOPMENT OF HIGH-SPEED BROADBAND INTERNET, CYBERSECURITY AND TRUST SERVICES, E-HEALTH, INNOVATION, E-COMMERCE, AND DIGITAL SKILLS DEVELOPMENT**





*MACROECONOMIC STABILITY IS THE MAIN FOUNDATION OF RAPID ECONOMIC RECOVERY IN THE POST-CRISIS PERIOD, AND A KEY PRIORITY OF THE GEORGIAN GOVERNMENT'S ECONOMIC POLICY*

*პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების მთავარ ფუნდამენტს მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს, რაც საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია*

ყურადღებას ვამახვილებთ ეკონომიკურ საქმიანობებზე, რომელთაც ეკონომიკური აქტივობის სწრაფი აღდგენის, იმპორტის ჩანაცვლების და პროდუქტიულობის გაუმჯობესების მაღალი პოტენციალი გააჩნიათ.

ჩვენი სტრატეგია მიზნად ისახავს შიდა წარმოების განვითარების ხელშეწყობას, და საგარეო მოწყვლადობის შემცირებას, ხარისხობრივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ვაჭრობის დივერსიფიკაციას, საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრასა და რაც მთავარია მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას.

**ცნობილია, რომ ევროკავშირისა და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით ენერგეტიკული რეფორმა ხორციელდება, რომლის მიზანიც ქვეყნის უსაფრთხო ენერგეტიკული მომავალი, მდგრადი ენერგეტიკის განვითარება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის შექმნაა. ეს საკითხი, განსაკუთრებით ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საზოგადოებისთვის ერთ-ერთ საკამათო თემად რჩება. რას გულისხმობს და რატომაა მნიშვნელოვანი დაბალანსებული ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება/წარმოება?**

ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროექტი, მითუმეტეს ენერგეტიკულ სექტორში, რომელიც მრავალი მიმართულებით ახდენს გავლენას, საჭიროებს დაბალანსებულ მიდგომას, საზოგადოების ინფორმირებას და ჩართულობას.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ენერგეტიკული რეფორმის განხორციელების საკანონმდებლო საფუძველს ხაზს უსვამს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის შემუშავების საჭიროებას.

პოლიტიკის დოკუმენტი და აღნიშნული გეგმა იქნება ის ბაზისი, რომელმაც უნდა აჩვენოს ყველა მნიშვნელოვანი მიმართულება და ოპტიმალური თანხვედრა ერთის მხრივ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობასა და მეორეს მხრივ სოციალური და გარემოსდაცვითი, მოთხოვნების დაცვის მნიშვნელობას შორის.

უკვე დაწყებულია მუშაობა ორივე დოკუმენტზე, რომლებიც დამტკიცებამდე განხილული იქნება საჯაროდ და ამ პროცესში უზრუნველყოფილი იქნება

**It is known that energy reform is being implemented with the support of the European Union and other partners, with the aim of creating a secure energy future for the country, the development of sustainable energy, and the establishment of energy independence. This issue, especially the construction of energy infrastructures, remains one of the most controversial topics for the public. What does it mean, and why is it important to acquire a balanced energy policy?**

Any important project, especially in the energy sector, impacts many aspects and requires a balanced approach, public awareness, and active involvement.

The Law of Georgia on Energy and Water Supply, which is the legal basis for implementing EU-supported energy reform, emphasizes the need to develop a national energy and climate plan.

The policy document and the mentioned plan will be the basis for showing all the important directions and optimal coexistence between the necessity of energy infrastructure development on the one hand and the importance of meeting social and environmental requirements on the other hand.

საზოგადოების ჩართულობაც, რათა მაქსიმალურად იყოს ინფორმაცია მიწოდებული ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადასადგმელ ნაბიჯებზე და ასევე მიღებულ და განხილულ იქნეს ყველა შესაძლო მოსაზრება ოპტიმალური და დაბალანსებული გადაწყვეტების ჩამოყალიბების მიზნით.

**რა იქნება ის მასტიმულირებელი ძრავი, რასაც მთავრობა პოსტპანდემიურ ეპოქაში სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვისა და მდგრადობის შექმნა / შენარჩუნებისთვის გამოიყენებს?**

პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების მთავარ ფუნდამენტს მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს, რაც საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია.

მთავრობის პოსტკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები გულისხმობს გამოწვევების ადეკვატურ გამკლავებას, კერძო სექტორის დახმარებას ძირითადი პრობლემების დაძლევაში, მათი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობას და ამ გზით მყარი საფუძვლის ჩამოყალიბებას ეკონომიკური საქმიანობის გასაგრძელებლად. აღნიშნული ღონისძიებები ასევე უზრუნველყოფს კრიზისის შედეგად და გლობალური ცვლილებებიდან გამომდინარე წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს ძლიერი მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციებისა და ოფიციალური კრედიტორების მხრიდან. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო კომპანიების შეფასებით, საქართველო ახორციელებს გონივრულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, რაც ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს.

2021 წლის ფისკალური გეგმები შეესაბამება საქართველოს გონივრულ ფისკალურ პოლიტიკას და ასევე, სრულ თანხვედრაშია ოფიციალური კრედიტორების მოთხოვნებთან. მაგალითად, სავალუტო ფონდთან არსებული მიმდინარე პროგრამის დაცვა გულისხმობს შეთანხმებული ფისკალური პარამეტრების შესრულებას, რაც ასახულია 2021 წლის ბიუჯეტში. გონივრული ფისკალური პოლიტიკა მხარდაჭერილია საქართველოს ეროვნული ბანკის თანმიმდევრული და სანდო მონეტარული პოლიტიკით, რომელიც ხელს უწყობს ფასების სტაბილურობას და ეკონომიკის გაჯანსაღებას. ეკონომიკის სტრუქტურული გაჯანსაღების მიზნით კი საქართველოს მთავრობა აგრძელებს სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, შრომის ბაზრის გაუმჯობესებისა და ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს და ბიზნეს გარემოს შემდგომი განვითარებისკენ მიმართულ კომპლექსურ აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში, 2021-2025 წლებში საშუალოდ საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა რეგიონის ქვეყნებს შორის. IMF-ის პროგნოზების მიხედვით, რეგიონის ქვეყნებს შორის 2021-2022 წლებში საქართველოს ეკონომიკა ყველაზე სწრაფად გაჯანსაღდება.

Work has already begun on both documents, which will be discussed publicly before approval, and public involvement will be ensured in this process to maximize information on important steps forward for the country, and adopt and reflect on all possible considerations for optimal and balanced solutions.

**What will be the stimulus engine that the government will use in the post-pandemic era for rapid economic development and the creation/ maintenance of sustainability?**

Macroeconomic stability is the main foundation of rapid economic recovery in the post-crisis period, a key priority of the Georgian government's economic policy.

The measures envisaged by the government's post-crisis plan include addressing challenges rationally, assisting the private sector in overcoming key problems, promoting their competitiveness, and thus laying a solid foundation for continued economic activity. These measures also ensure the use of new opportunities arising from the crisis and global change.

It should be noted that Georgia has strong support from donor organizations and official creditors. According to international financial institutions and rating companies, Georgia pursues a prudent macroeconomic policy, which is the main basis for economic recovery.

The 2021 fiscal plans are in line with Georgia's prudent fiscal policy and are also in full compliance with official lenders' requirements. For instance, adherence to the current program with the International Monetary Fund (IMF) requires compliance with agreed fiscal parameters, as reflected in the 2021 budget. The reasonable fiscal policy is supported by the consistent and credible monetary policy of the National Bank of Georgia, contributing to price stability and economic recovery. To improve the economic structure, the Government of Georgia implements structural reforms, measures to improve the labor market and human capital development, and complex activities to further develop the business environment.

It should be noted that the International Monetary Fund forecasts that in the medium term, between 2021-2025, Georgia will have the highest economic growth among the countries in the region. According to the IMF forecasts, the Georgian economy will recover the fastest among the region's countries, starting in 2021-2022.

*ჩვენი სტრატეგია მიზნად ისახავს შიდა წარმოების განვითარების ხელშეწყობას, და საგარეო მოწყვლადობის შემცირებას, ხარისხობრივი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ვაჭრობის დივერსიფიკაციას, საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრასა და რაც მთავარია მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას*

**OUR STRATEGY AIMS TO ADVANCE DOMESTIC PRODUCTION AND REDUCE EXTERNAL VULNERABILITIES, ATTRACT QUALITY FOREIGN DIRECT INVESTMENT, DIVERSIFY TRADE, ELIMINATE MARKET FAILURES, AND, MOST IMPORTANTLY, MAINTAIN MACROECONOMIC STABILITY**

*THE MEASURES TAKEN UNDER THE ECONOMIC SUPPORT ANTI-CRISIS PLAN WERE TARGETED AND SUPPORTED BY ALL SECTORS OF THE ECONOMY AND PUBLIC GROUPS THAT SUFFERED, DIRECTLY OR INDIRECTLY, SIGNIFICANT DAMAGE AS A RESULT OF THE COVID-19 PANDEMIC*

*ეკონომიკის მხარდაჭერის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსაზღვრა მოხდა მიზნობრივად და მხარდაჭერილ იქნა ეკონომიკის ყველა ის სექტორი და საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელთაც პირდაპირ თუ არაპირდაპირი გზით განიცადეს მნიშვნელოვანი ზიანი COVID-19 პანდემიის შედეგად*

*ინტერვიუ ჩაწერილია 2020 წლის ნოემბერში.*
*INTERVIEW WAS RECORDED IN NOVEMBER, 2020.*

# ჩვენი სამინისტროს საქმიანობა სრულ თანხვედრაშია 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან



გლობალური პანდემიის შედეგად წარმოქმნილმა უნივერსალურმა კრიზისმა, ეკონომიკურად და სოციალურად სპეციფიკური საჭიროებები გააჩინა. უპრეცედენტოდ არაპროგნოზირებად პირობებში, სახელმწიფო უწყებებს მყისიერი და ეფექტური რეაგირების ვალდებულება დაეკისრათ. სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვითი საკითხების განვითარების სტრატეგიაზე, გლობალური პანდემიის უარყოფითი გავლენების მიღმა არ დარჩენილა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ლევან დავითაშვილი განმარტავს თუ რა პრობლემების წინაშე დადგა სოფლის მეურნეობის სექტორები, რა პრიორიტეტების იდენტიფიცირება მოხდა გარემოსდაცვით საკითხებში და როგორ შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკური დღის წესრიგი.

THE CRISIS CAUSED BY THE GLOBAL PANDEMIC HAS GIVEN RISE TO ECONOMICALLY AND SOCIALLY SPECIFIC NEEDS. IN UNPRECEDENTEDLY UNPREDICTABLE CONDITIONS, GOVERNMENT AGENCIES HAVE BEEN REQUIRED TO ACT PROMPTLY AND EFFECTIVELY. THE MINISTRY RESPONSIBLE FOR DEVELOPING AGRICULTURAL AND ENVIRONMENTAL STRATEGIES HAS NOT BEEN LEFT OUT OF THE NEGATIVE IMPACT OF THE GLOBAL PANDEMIC. THE MINISTER OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA, LEVAN DAVITASHVILI, DISCUSSES THE CHALLENGES AGRICULTURAL SECTORS FACED, THE ENVIRONMENTAL PRIORITIES IDENTIFIED, AND HOW THE COUNTRY'S ECONOMIC AGENDA CHANGED.

"OUR MINISTRY IS FULLY ALIGNED WITH 2030 AGENDA FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT"

*პირდაპირი სუბსიდირება - შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო აბსოლუტურად გამართლებული ნაბიჯი*

*THE DIRECT SUBSIDY PROGRAM WAS AN ABSOLUTELY JUSTIFIED INITIATIVE*

**ანტიკრიზისული გეგმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი და მიზანი იყო რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების სამუშაო ადგილები შენარჩუნებულიყო. როგორ შეაფასებდით პანდემიის პირველ ფაზას და მასთან გასამკლავებლად შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმას კონკრეტულად თქვენი სამინისტროს მიმართულებით? რა იყო მთავარი მონაპოვარი და, რეტროსპექტიულად, რისი გაკეთება შეიძლებოდა უკეთ?**

პანდემია გლობალური გამოწვევაა. ის შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს და ეკონომიკის ყველა დარგს. პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც მთავრობამ გადადგა იყო გამოწვევაზე სწრაფი რეაგირება ანტიკრიზისული საბჭოს შექმნის სახით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა. ამ საბჭოს ფარგლებში მიღებული იყო იმ მომენტისთვის ვირუსის მართვასთან დაკავშირებული, კონკრეტული სიტუაციური გადაწყვეტილებები. პანდემია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე მოვლენაა და ცხადია, სოფლის მეურნეობა გავლენის მიღმა არ დარჩენილა.

მკაცრი ჩაკეტვების პირობებში, ვირუსის შეჩერების პირველ ფაზაში, მოვახერხეთ ის, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები, ფერმერები და მეურნეობები არ გაჩერებულან. ეს იყო განსაკუთრებულად მძიმე პერიოდი სოფლის მეურნეობისთვის, რადგან საგაზაფხულო სამუშაოები მთლიანი წლის შედეგებს განაპირობებს. როგორც ვთქვი, გარკვეული პრობლემები სასოფლო-სამეურნეო სექტორსაც შეექმნა. ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების პირობებში ბანკები და ძირითადი დამფინანსებლები, თავს იკავებდნენ (და შეიკავებენ) ახალი კრედიტების გაცემისგან. ჩვენ დავიწყეთ რამდენიმე პროგრამის ინიცირება; პირდაპირი სუბსიდირება – შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო აბსოლუტურად გამართლებული ნაბიჯი. საჭიროებების იდენტიფიცირებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით რეაგირება, სახელმწიფოს ვალდებულება და პასუხისმგებლობა იყო. ჩვენი ფერმერების დიდმა ნაწილმა, ფაქტობრივად, ჰექტარზე 200 ლარი მიიღო. დღეისთვის, ამ დახმარებით უკვე 130 000-მა ფერმერმა ისარგებლა.

*A SPECIAL COORDINATED MONITORING SYSTEM WAS DEVELOPED. THE SYSTEM ENSURED THAT THE FARMERS WOULD NOT HAVE A SALES PROBLEM, AND THERE WOULD BE NO DELAY IN SUPPLY*

*გაკეთდა სპეციალური კოორდინირებული მონიტორინგის სისტემა. კოორდინაციამ უზრუნველყო, რომ ერთი მხრივ, ფერმერებს რეალიზაციის პრობლემა არ ჰქონოდათ, მეორე მხრივ კი მიწოდების კუთხით შეფერხება არ ყოფილა*

**One of the central aims of the anti-crisis plan was to maintain people employed in agriculture. How would you assess the first phase of the pandemic and the anti-crisis plan developed to deal with it? What was the main achievement and, retrospectively, what could have been done better?**

The pandemic is a global challenge. Its impact covered all aspects of life, and the economy. The government's first important step was to respond quickly to the challenge by setting up an anti-crisis council headed by the Prime Minister. Specific situational decisions related to the management of the virus, at that time, were taken. The pandemic comes with a significant economic impact, and obviously, agriculture has not been left unaffected.

Under the conditions of a strict lockdown, in the first phase of fighting against the spread of the virus, we managed to ensure that agricultural activities, farmers, and farms would not stop working. This was a tough period for agriculture, as the work done in spring determines the whole year's results. In the face of deteriorating economic conditions, banks and major lenders have refrained (and will refrain) from issuing new loans. We started initiating several programs; one was the direct subsidy program - an absolutely justified initiative. After identifying farmers' most important needs, responding in this direction was an obligation and responsibility of the state. Most of our farmers received 200 GEL per hectare. To date, 130,000 farmers have benefited from this assistance.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხალხმა სოფლის მეურნეობაში ჩართვა გადაწყვიტა. ჩვენ დავინახეთ რომ წელს, 2019 წელთან შედარებით, 40%-ით მეტი ფართობი დამუშავდა. ადამიანები მიუბრუნდნენ სოფელს იმიტომ, რომ ჩაკეტვის პირობებში სოფელში უფრო მეტი თავისუფლება იყო. დავინახეთ, რომ მათ სჭირდებოდათ საბრუნავი კაპიტალი. გარდა პირდაპირი სუბსიდირებისა, ჩვენ გარანტიაში ჩავდექით ბანკებთან და თანადაფინანსების შესაბამისი ინსტრუმენტი გავაჩინეთ. 6 თვის განმავლობაში პროცენტი მთლიანად სახელმწიფომ დაფარა და ამ 6 თვეში, მოსავლის მიღების შესაძლებლობა გაჩნდა.

**როგორი მდგომარეობაა ახლა? რა არის სამინისტროს მოლოდინები მეორე ტალღის ეფექტებთან დაკავშირებით? იდენტიფიცირებადია თუ არა ზიანის პრევენციის გარკვეული მექანიზმები?**

მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღეთ იმ კუთხით, რომ სამინისტროს მანდატი არ არის მხოლოდ ფერმერული მეურნეობის წახალისება ან მიწათმოქმედების ხელშეწყობა. გაზაფხულზე, ჩვენმა სამინისტრომ, ფაქტობრივად 24 საათიან რეჟიმში იმუშავა. მობილიზებული იყო სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რათა ქვეყანაში მარაგების მონიტორინგი განხორციელებულიყო. მიღწევაა, რომ დახლები არ ყოფილა ცარიელი, ფასები იყო მეტ-ნაკლებად სტაბილური, სურსათი და პირველადი მოხმარების პროდუქტები მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო. ჩვენ ეს მოვახერხეთ კერძო სექტორთან მაღალ დონეზე კოორდინაციით. გაკეთდა სპეციალური კოორდინირებული მონიტორინგის სისტემა. კოორდინაციამ უზრუნველყო, რომ ერთი მხრივ, ფერმერებს რეალიზაციის პრობლემა არ ჰქონდათ, მეორე მხრივ კი მიწოდების კუთხით შეფერხება არ ყოფილა. ეს არის გამოცდილება, რომელმაც მეორე ტალღისთვის შეგვამზადა.

**მდგრადი განვითარების დღის წესრიგზე ვისაუბროთ – რა ვალდებულებები აქვს საქართველოს? რისი გაკეთება გვევალება სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით?**

*PEOPLE RETURNED TO THE VILLAGE BECAUSE THERE WAS MORE FREEDOM THERE, DURING THE LOCKDOWN*

*ადამიანები მიუბრუნდნენ სოფელს იმიტომ, რომ ჩაკეტვის პირობებში სოფელში უფრო მეტი თავისუფლება იყო*

It should definitely be noted that people have decided to get involved in agriculture. We have seen that this year, compared to 2019, 40% more area has been cultivated. People returned to the village because there was more freedom in the village, during the lockdown. In addition to direct subsidies, we have secured guarantees with banks and developed an appropriate co-financing instrument. Within 6 months, the interest rate was fully covered by the state, during which opportunities to harvest arose.

**What is the situation now? What are the Ministry's expectations regarding the effects of the second wave? Are certain harm prevention mechanisms identifiable?**

The Ministry's mandate is not only to encourage farming or promote agriculture. We have gained significant experience in this regard. In the spring, our ministry worked on a 24-hour basis. A special working group was mobilized to monitor food stocks and other resources in the country. The main achievement was that the counters were not empty, prices were more or less stable, and food, as well as necessities were available to the population. We have achieved this through high-level coordination with the private sector. A special coordinated monitoring system was developed. The system ensured that the farmers would not have a sales problem, and there would be no delay in supply. This is the experience that prepared us for the second wave.

**Let's talk about the current sustainable development agenda – What obligations does Georgia have? What do we have to do in the field of agriculture and environmental protection?**

*მნიშვნელოვანია ახალ თაობას ადრეულ ასაკშივე გავუჩინოთ ინტერესი, რათა შემდგომ აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებები და სპეციალობები აირჩიონ*

**IT IS IMPORTANT TO INVITE THE NEW GENERATION TO BECOME MORE ENGAGED AND INTERESTED IN AGRARIAN AND ENVIRON-MENTAL SPECIALTIES**

ჩვენი სამინისტროსთვის, მდგრადი განვითარების მიზნები, მთავარი სამოქმედო არეალი და მთავარი განმსაზღვრელი მიმართულებებია. 17 მიზნიდან, ძირითადი 9 ჩვენი სამინისტროს პირდაპირი მანდატის ქვეშაა – ის რომ დედამიწაზე აღარ იყოს შიმშილი; ის რომ ადამიანებს ჰქონდეთ ნორმალური საარსებო გარემო; ის, რომ უნდა შევინარჩუნოთ საცხოვრებელი გარემო, სუფთა წყალი, ნიადაგის ნაყოფიერება, და დედამიწა, როგორც ჩვენი სახლი. ბოლო წლებში, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიიდან გადავედით სოფლის განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც 2020-2025 წლებში, სოფლად ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნას და სოფლის მეურნეობასთან მჭიდრო კავშირში არსებული სხვა დარგების განვითარებას გულისხმობს, იმისთვის, რომ სოფლად მცხოვრები ადამიანების საარსებო გარემო იყოს სოციალურად სტაბილური, ეკონომიკურად ხელსაყრელი და ეკოლოგიურად მისაღები.

ამავე დროს, ჩვენი სამინისტრო, კლიმატის ცვლილებაზე, მათ შორის სუფთა წყლის რესურსებზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე და სხვა რესურსების შენარჩუნებაზე ზრუნავს. ჩვენი გარემოსდაცვითი დღის წესრიგი არის ძალიან კომპლექსური. ამ მიმართულებით, რამდენიმე რეფორმას აღვნიშნავ: მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, მიმდინარე წელს, საქართველოს პარლამენტმა დაასრულა პროცესი და შექმნა ახალი საკანონმდებლო ჩარჩო ტყის ახალი კოდექსის სახით, რომელიც განაპირობებს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს. კლიმატის ცვლილების შემარბილებელი მთავარი მექანიზმი ქვეყანაში არის ტყის რესურსების სწორი მართვა, ტყის ეკოსისტემის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

Our ministry fully acknowledges and acts in accordance with the Sustainable Development Goals (SDGs). 9 out of 17 SDGs are under the direct mandate of our Ministry. To name a few: there should be no more poverty or hunger; people should have a normal living environment; we must maintain a balanced habitat, clean water, and soil fertility, etc. The central message is that the earth is our home. In recent years, the ministry has moved from the Agricultural Development Strategy to the Rural Development Strategy. The latter aims to create rural economic prosperity in 2020-2025 and develop other sectors closely related to agriculture to make rural people's living environment socially stable, economically viable, and environmentally friendly.

Our ministry cares about climate change, including clean water resources, soil fertility, and the preservation of other resources. Our environmental agenda is very complex. In this regard, I would like to mention a few reforms: after many years of work, this year, the Parliament of Georgia completed the process and created a new legislative framework in the form of a new Forest Code, which sets out the principles of sustainable forest management. The main mechanism for mitigating climate change in the country is the proper management of forest resources, maintenance, and forest ecosystem improvement.

We have also started working on water legislation and have prepared a new legislative act, which will soon be submitted to the government. We have also developed a standard for ambient air that is fully in line with the European directives. We have launched an informational portal about ambient air available to the public. We have also

ჩვენ ასევე დავიწყეთ წყლის კანონმდებლობაზე მუშაობა და მომზადებული გვაქვს ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელსაც მალე მთავრობას წარვუდგენთ. ასევე, ატმოსფერულ ჰაერთან დაკავშირებით შევიმუშავეთ სტანდარტი, რომელიც სრულად თანხვედრაშია ევროპის დირექტივასთან. გავხსენით პორტალი, რომელიც მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომს ხდის ატმოსფერულ ჰაერზე ინფორმაციას. ასევე, დავიწყეთ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონმდებლობის შემუშავება, რაც განსაზღვრავს კონკრეტული ბიზნეს ოპერატორებისა და საწარმოების პასუხისმგებლობას ისე, რომ მოვახდინოთ ერთი მხრივ, დაბინძურების პრევენცია და მეორე მხრივ, მსხვილ სამრეწველო კომპანიებთან დაკავშირებულ ზიანთან გამკლავების მდგრადი მექანიზმების შემუშავება.

**ჩამოთვლილი პრიორიტეტული საკითხების განვითარების პროცესებში, რა შეფერხებები გამოიწვია პანდემიამ?**

ბუნებრივია პანდემიამ ბევრი პროცესი შეაფერხა, მათ შორის დაცული ტერიტორიების განვითარება. რომ არა ჩვენი უცხოელი პარტნიორების, დონორების მხარდაჭერა, დაცულ ტერიტორიებში ჩვენი აგროშემადგენლობის შენარჩუნება გაგვიჭირდებოდა. დაცული ტერიტორიების სააგენტო ზრუნავს ბუნების შენარჩუნებაზე, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რადგან ეს არის შემოსავლის დიდი წყარო. წინა წლებში მილიონზე მეტი ვიზიტორი გვყავდა, თანხები კი ისევ დაცვისთვის, ბუნების კონსერვაციისთვის და ამ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვისაა საჭირო. ეს შემოსავლები ფაქტიურად განულდა. ბევრი რეფორმა, რომლის განხორციელებაც დაგეგმილი გვქონდა, მათ შორის, გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტის

started working on new legislation on environmental liability, which defines the responsibilities of specific business operators and enterprises to prevent pollution on the one hand and develop sustainable mechanisms to deal with the damage caused by large industrial companies on the other hand.

**What delays did the pandemic cause in the development of the priority issues listed?**

Naturally, the pandemic has hampered many processes, including the development of protected areas. Were it not for the support of our foreign partners and donors, it would have been difficult for us to maintain agro-composition in protected areas. The Agency of Protected Areas works on nature conservation and ecotourism infrastructure development, as it is a great source of income. We had more than a million visitors in previous years. Funds are still needed for nature conservation and the development of the aforementioned infrastructure. These revenues have, unfortunately, vanished. Many of the reforms we planned to implement, including the Department of Environmental Oversight strengthening, have been somewhat hindered. Currently, our work practice is maximally adapted to the remote working style. The pandemic has had its negative impact, but we hope to move forward with the adaptation stages.

**What remains the main challenge in terms of knowledge and education in the field? Is the government going to spend more resources in this direction?**

Education is paramount. No matter what project we think of or spend money on, no matter what policy we develop - nothing can be done without properly trained staff. The Ministry has an Environmental and Agrarian Education Center.

*ცენტრმა 7 სახელმძღვანელო გამოუშვა, რომელიც პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით ბავშვებში, გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების დონეს გაზრდის*

**THE CENTER HAS PUBLISHED 7 TEXTBOOKS TO ASSIST IN ENVIRONMENTAL AND AGRARIAN EDUCATION FOR CHILDREN FROM FIRST TO SEVENTH GRADE**



გაძლიერება, გარკვეულწილად შეფერხდა. ამჟამად, ჩვენი სამუშაო პრაქტიკა მაქსიმალურად მორგებულია დისტანციურ მუშაობაზე. პანდემიამ იმოქმედა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ადაპტაციის ეტაპებზე წინსვლას მოვახერხებთ.

**რა რჩება მთავარ გამოწვევად ცოდნისა და განათლების მიმართულებით? აპირებს თუ არა მთავრობა დახარჯოს მეტი რესურსი?**

განათლება არის უმთავრესი. როგორი პროექტიც არ უნდა მოვიფიქროთ, ფული დავხარჯოთ, პოლიტიკა შევიმუშაოთ, ეს ყოველივე ვერ განხორციელდება შესაბამისად მომზადებული კადრების გარეშე. სამინისტროში არსებობს გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ცენტრი. ცენტრმა 7 სახელმძღვანელო გამოუშვა, რომელიც პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით ბავშვებში, გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების დონეს გაზრდის. მნიშვნელოვანია ახალ თაობას ადრეულ ასაკშივე გავუჩინოთ ინტერესი, რათა შემდგომ აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებები და სპეციალობები აირჩიონ. პროფესიული განათლება არის ის ხიდი, რომელიც მოგვცემს საშუალებას გვყავდეს სპეციალისტები. მაგალითად, აგრონომები და აგროინჟინრები ძალიან ცოტა გვყავდა. თუმცა, დავინახეთ, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალა და უკვე რამდენიმე წელია ახალგაზრდები ამ მიმართულებებს აქტიურად ირჩევენ.

ჩვენ 2014 წლიდან შევქმენით ქსელი, რომლის მეშვეობითაც ყველა მუნიციპალიტეტში სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების რამდენიმე სპეციალისტია დასაქმებული, რომელთა პასუხისმგებლობაც ფერმერებისთვის ტრენინგებისა და კონსულტაციების უზრუნველყოფაა. იმ ფერმერებისთვის, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ, ფერმერობა ტრადიციული საქმიანობაა. მათ შეიძლება სჭირდებოდეთ თანამედროვე, ახალ ტექნოლოგიებთან ურთიერთობა და ახალი ინფორმაციის მიღება. ეს ქსელი გვაძლევს საშუალებას ფერმერებს საჭირო კონსულტაციები გავუწიოთ. თავად სპეციალისტებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები, რათა მათ მიერ გაწეული საკონსულტაციო სერვისები ხარისხობრივ თანხვედრაში იყოს განათლების სამინისტროს მიერ გატარებულ სერვისებთან. ჩვენ მთავარ პრიორიტეტად და ამოცანად, სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივის დაფინანსება, დარგის წახალისება და პოპულარიზაცია რჩება.

The center has published 7 textbooks to assist in environmental and agrarian education for children from first to seventh grade. It is important to invite the new generation to become more engaged and interested in agrarian and environmental specialties. Vocational education is one way to do that. We had very few agronomists and agro-engineers before. However, we have seen that the attitude towards these professions has changed, and for several years now, young people have been actively pursuing careers in the mentioned fields.

Since 2014, we have created a network through which several specialists of the Ministry's Information and Consulting Services are employed in all municipalities, whose responsibility is to provide training and consulting to farmers. For the farmers who work today, farming is a traditional activity. They may need to keep up with the latest, new technologies and get new information. This network allows us to provide the necessary advice to farmers. The specialists themselves are constantly trained so that the consulting services are of good quality and aligned with that of the Ministry of Education. Our main priority remains to fund various educational initiatives, encourage, and popularize the field.

*ინტერვიუ ჩაწერილია 2020 წლის ოქტომბერში.*
*INTERVIEW WAS RECORDED IN OCTOBER, 2020.*

*IN ADDITION TO DIRECT SUBSIDIES, WE HAVE SECURED GUARANTEES WITH BANKS AND DEVELOPED AN APPROPRIATE CO-FINANCING INSTRUMENT*

*გარდა პირდაპირი სუბსიდირებისა, ჩვენ გარანტიაში ჩავდექით ბანკებთან და თანადაფინანსების შესაბამისი ინსტრუმენტი გავაჩინეთ*

# BANK OF GEORGIA

*საქართველოს ბანკი წლებია კორპორაციული პასუხისმგებლობის მქონე ერთ-ერთ წამყვან ორგანიზაციად პოზიციონირებს. შესაბამისად, პანდემიის პერიოდში, კომპანიისთვის დიდ გამოწვევად იქცა რიგი კორპორაციული მდგრადობის აქტივობებისა და პროექტების განხორციელება. ბანკისთვის განათლება და ბიზნესის მხარდაჭერა კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებებად დარჩა ვინაიდან, მათი ხედვით, პანდემიის პერიოდში, სწორედ ამ სექტორებს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება.*

**BANK OF GEORGIA (BOG) HAS BEEN POSITIONING ITSELF AS ONE OF THE LEADING CORPORATE RESPONSIBILITY ORGANIZATIONS FOR YEARS. CONSEQUENTLY, DURING THE PANDEMIC, IMPLEMENTING SEVERAL CORPORATE SUSTAINABILITY ACTIVITIES AND PROJECTS BECAME A TOP CHALLENGE FOR THE COMPANY. SUPPORTING BUSINESSES AND EDUCATION IS STILL A PRIORITY FOR THE BANK, AS IT BELIEVES THAT THESE SECTORS NEED SPECIAL ATTENTION DURING THE CRISIS.**



*WITHIN THE PARTNERSHIP FRAMEWORK, BETWEEN THE BANK OF GEORGIA AND THE COMPANY "TSIGNEBIS TARO", AN ONLINE NON-FORMAL EDUCATION SCHOOL WAS ESTABLISHED, WHICH OFFERED FREE EXTRACURRICULAR LESSONS TO PRIMARY SCHOOL STUDENTS DURING THE QUARANTINE*

*საქართველოს ბანკისა და კომპანია „წიგნების თაროს“ პარტნიორობის ფარგლებში, მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნვისთვის არაფორმალური განათლების ონლაინ სკოლაც შეიქმნა, რომელმაც იზოლაციის პერიოდში დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უფასო კლასგარეშე გაკვეთილები შესთავაზა*

*პანდემიის პერიოდმა ბანკს ნათლად დაანახა, რომ უმნიშვნელოვანესია 'Soft Skill'-ის შეძენა და ახალი პროფესიების დაუფლება*

**THE PANDEMIC MADE THE BANK MORE AWARE THAT WORKING TOWARDS ADVANCING SOFT SKILLS AND MASTERING NEW PROFESSIONS IS ESSENTIAL**

ციფრულმა სამყარომ მრავალი შესაძლებლობა შექმნა. საქართველოს ბანკმა, პარტნიორების ჩართულობით, აღნიშნული შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენა და დისტანციურად განაგრძო ისეთი საგანმანათლებლო და ბიზნესის მხარდასაჭერი პროექტების განხორციელება, როგორიცაა: სასტიპენდიო პროგრამები (Fulbright, Chevening, Miami Ad School Europe), Impact Hub Tbilisi - თან ერთად ყოველწლიური Social Impact Award-ის ჩატარება, რომლის მიზანი სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საუკეთესო პროექტების გამოვლენაა. ასევე, იყო განათლების სფეროში პანდემიით გამოწვეულ საჭიროებებზე წერტილოვანი რეაგირება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის Zoom Education - ის პლატფორმის შეძენა, პროექტ „ჩართეს“ 300 ბენეფიციარისთვის (რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვები) ერთი წლის განმავლობაში ინტერნეტის გადასახადის დაფინანსება.

The digital world has created many opportunities. Bank of Georgia, along with the involvement of their partners, made the most of these opportunities and remotely continued to implement educational and business support projects, such as scholarship programs (Fulbright, Chevening, and Miami Ad School Europe,) and held the annual Social Impact Award with Impact Hub Tbilisi, which aims to identify the best projects in the field of social entrepreneurship. There was also a point-by-point response to the posed educational needs caused by the pandemic: the acquisition of the Zoom Education platform for Tbilisi State University students, and funding one-year internet fees for the 300 beneficiaries (socially vulnerable children in the regions) of the project "Charte." Within the partnership framework, between the Bank of Georgia and the company "Tsignebis Taro," an online non-formal education school was established, which offered free extracurricular lessons to primary school students during the quarantine.




## ციფრულმა სამყარომ მრავალი შესაძლებლობა შექმნა

## THE DIGITAL WORLD HAS CREATED MANY OPPORTUNITIES

საქართველოს ბანკისა და კომპანია „წიგნების თაროს“ პარტნიორობის ფარგლებში, მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნვისთვის არაფორმალური განათლების ონლაინ სკოლაც შეიქმნა, რომელმაც იზოლაციის პერიოდში დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უფასო კლასგარეშე გაკვეთილები შესთავაზა.

ეპიდ-სიტუაციას არ შეუფერხებია ბანკის მიერ ქართული წიგნის ინსტიტუტთან ერთად პანდემიამდე დაწყებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის დასრულება. ოთხ რეგიონულ საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკები (იდეათეკები) გაიხსნა და ბანკის ძალისხმევით მას დისტანციური გამოყენების დატვირთვაც მიეცა. აღნიშნულ სივრცეს პედაგოგები და მოსწავლეები დისტანციური სწავლების გამრავალფეროვნებისთვის იყენებენ.

The pandemic has not hindered the completion of one of the most important projects launched by the bank, together with the Georgian Book Institute, before the pandemic. With the start of the new school year, multifunctional libraries (idea libraries) were launched in four regional public schools. Through the efforts of the Bank, libraries were allowed to function remotely. Teachers and students use this space to diversify remote-learning processes.

Bank of Georgia has been cooperating with the Caucasus Wildlife Fund since 2017. BOG makes financial investments in Georgia's eleven protected areas.

One of the Bank's notable projects in terms of business support is "500 Startups", the first phase of which was successfully completed. Fifteen companies participating in this phase attracted more than $5 million.

The technological advances of the last decade have created new career opportunities. Many professions that did not exist ten years ago are the most in-demand today, and this demand is growing worldwide. As for the old traditional professions, the demand for them is decreasing, and some of them are disappearing altogether.

According to professionals, skills and experience are very important; however, they're not enough for long-term success. Acquiring soft skills and selecting a job accordingly can create a successful career for a person. The pandemic made the bank more aware that working towards advancing soft skills and mastering new professions is essential. In response to this challenge, the "Professions of the Future" project was created, which became an incentive for many people to not lose motivation, think more about self-development, and discover the skills needed to develop, which will help them acquire new professions.

*THE TECHNOLOGICAL ADVANCES OF THE LAST DECADE HAVE CREATED NEW CAREER OPPORTUNITIES. MANY PROFESSIONS THAT DID NOT EXIST TEN YEARS AGO ARE THE MOST IN-DEMAND TODAY, AND THIS DEMAND IS GROWING WORLDWIDE*

*ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხორციელდება, ახალი კარიერული შესაძლებლობები შექმნა. უამრავი პროფესია, რომელიც უახლოესი 10 წლის წინ საერთოდ არ არსებობდა, დღეს ყველაზე მოთხოვნადია და ეს მოთხოვნა მზარდია მთელი მსოფლიოს მასშტაბით*

საქართველოს ბანკი 2017 წლიდან თანამშრომლობს კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF) და ფინანსურ ინვესტიციას ახორციელებს საქართველოს თერთმეტ დაცულ ტერიტორიაში.

ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით ბანკის მიერ განხორციელებული პროექტებიდან ერთ-ერთი განსაკუთრებული პროექტი „500 Startups“-ია, რომლის პირველი ეტაპი წარმატებით ჩატარდა და ამ ფაზაში მონაწილე თხუთმეტმა კომპანიამ 5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოიზიდა.

ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხორციელდება, ახალი კარიერული შესაძლებლობები შექმნა. უამრავი პროფესია, რომელიც უახლოესი 10 წლის წინ საერთოდ არ არსებობდა, დღეს ყველაზე მოთხოვნადია და ეს მოთხოვნა მზარდია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

რაც შეეხება ძველ ტრადიციულ პროფესიებს, მათზე მოთხოვნა კლებულობს და ზოგიერთი მათგანი საერთოდ ქრება. პროფესიონალთა აზრით, უნარები და გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ის მაინც არ არის საკმარისი გრძელვადიანი წარმატებისა და მოტივაციისთვის. ე.წ. soft skill-ების შეძენას და შემდგომ ამის მიხედვით სამსახურის შერჩევას კი შეუძლია ადამიანის წარმატებული კარიერის შექმნა. პანდემიის პერიოდმა ბანკს ნათლად დაანახა, რომ უმნიშვნელოვანესია ზუსტად აღნიშნული Soft Skill-ის შეძენა და ახალი პროფესიების დაუფლება. ამ გამოწვევის საპასუხოდ, შეიქმნა „მომავლის პროფესიების“ პროექტი, რომელიც თავის მხრივ იქცა სტიმულად ბევრი ადამიანისთვის არ დაკარგონ მოტივაცია, იფიქრონ თვითგანვითარებაზე და აღმოაჩინონ ის უნარები, რომელთა განვითარებაც დაეხმარებათ ახალი პროფესიების შესწავლაში.

# ორიენტ ლოჯიკის ტექნოლოგიური განვითარება - საწყისებიდან დღემდე




# ORIENT LOGIC'S TECHNOLOGICAL DEVELOPMENT – A HISTORY SINCE INCEPTION

ბიზნესის მხარდაჭერა და განვითარება, ინოვაციური, თანამედროვე IT გადაწყვეტილებების შექმნა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში წვლილის შეტანა დროული და ბიუჯეტური IT პროექტების მენეჯმენტის საშუალებით - კომპანია „ორიენტ ლოჯიკი" უკვე 25 წელზე მეტია სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. კომპანიის გენერალური დირექტორი - ლევან ახვლედიანი განიხილავს ქართული IT სფეროს განვითარების ეტაპებს, დაგროვებულ გამოცდილებასა და საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისთვის გასავლელ მნიშვნელოვან ნაბიჯებს.

**„ორიენტ ლოჯიკი" ქართულ ციფრულ სამყაროში ერთ-ერთი პირველი კომპანიაა. უკვე 25 წელია ქვეყნის ბაზარზე ოპერირებთ. ტრანსფორმაციის რა ეტაპები გაიარა IT სფერომ საქართველოში? როგორ მოერგო „ორიენტ ლოჯიკი" სფეროსა და მომხმარებლის განვითარებას?**

BUSINESS SUPPORT AND DEVELOPMENT, CREATING INNOVATIVE, MODERN IT SOLUTIONS, AND CONTRIBUTING TO THE GEORGIAN ECONOMY'S DEVELOPMENT, BY MANAGING FINANCIALLY FLEXIBLE AND TIMELY IT PROJECTS - THE COMPANY, ORIENT LOGIC, HAS BEEN SERVING THESE GOALS FOR MORE THAN 25 YEARS. THE CEO OF THE COMPANY, LEVAN AKHVLEDIANI, DISCUSSES THE STAGES OF DEVELOPMENT OF THE GEORGIAN IT FIELD, THE ACCUMULATED EXPERIENCE, AND IMPORTANT STEPS TO ESTABLISH INTERNATIONAL STANDARDS.

**Orient Logic is one of the first companies in the Georgian digital world. You have been operating in the country's market for 25 years. What stages of transformation did the IT sector go through in Georgia? How did Orient Logic adapt to the development of the field and customer behavior?**

*ახლა ვართ იმ ეპოქაში, რომელშიც ნებისმიერი კომპანიის არსებობა ტექნოლოგიური განვითარების გარეშე წარმოუდგენელია*

**WE ARE NOW IN AN ERA WHERE ANY COMPANY WITHOUT TECHNOLOGICAL DEVELOPMENT IS UNTHINKABLE**



*THE PANDEMIC HAS SHOWN US THE NEED TO DO THINGS MORE EFFICIENTLY AND ACADEMICALLY*

*პანდემიამ, საქმის უფრო ეფექტურად და აკადემიურად განხორციელების საჭიროება დაგვანახა*

არსებობის მანძილზე, კომპანიამ მომუშავე პერსონალის 2-3 თაობა გამოიცვალა. შეიცვალა აზროვნება, ტექნოლოგიები, მომხმარებლის ქცევა, დამოკიდებულება ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიმართ და ბიზნესების დამოკიდებულება გაციფრულების მიმართ. ახლა ვართ იმ ეპოქაში, რომელშიც ნებისმიერი კომპანიის არსებობა ტექნოლოგიური განვითარების გარეშე წარმოუდგენელია - ცხადია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია თავის ბედს ფართო მასებისთვის მომსახურების მიწოდებას უკავშირებს. ამ დიდი პროცესის თანამონაწილეები და, ხშირ შემთხვევაში, პიონერები ვართ.

**თქვენი დაკვირვებით, რა კონკრეტული მახასიათებლებით შეიცვალა მომხმარებლის ქცევა?**

როცა ბიზნესის კეთება დავიწყეთ, მაშინ ინტერნეტი არ არსებობდა. ხალხს ჰქონდა პერსონალური კომპიუტერი, მაგრამ საერთაშორისო ქსელთან წვდომა შეზღუდული იყო. მთავარი ცვლილება სწორედ ესაა - შეიქმნა ინტერნეტი და მისმა ფართოდ გამოყენებამ, ქცევითი და კულტურული ღირებულებების ცვლილება განაპირობა. ინტერნეტი გახდა ახალი საცხოვრებელი ადგილი, ე.წ. ბუდე, სადაც ადამიანები ვიკრიბებით, ვსაუბრობთ, ვამაყობთ ჩვენი მიღწევებით. ინტერნეტი კომერციის წარმოების ადგილიც გახდა.

**-„ორიენტ ლოჯიკს," როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად გარდამტეხ პერიოდებში არსებობა მოუწია - როგორ უმკლავდებოდით ამ გამოწვევებს? რა იყო კომპანიის წარმატების გარანტი?**

პირველ რიგში ჩვენი ბაზარზე დარჩენის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჩვენ კომპეტენციას და სფეროს არასდროს გავცდენილვართ. ყოველთვის მნიშვნელოვნად ორიენტირებულები ვიყავით ჩვენი საქმის კეთებაზე, არასდროს ვცვლიდით პოლიტიკას საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, არასდროს ჩავრთულვართ პროცესებში, რომლებიც არ უკავშირდებოდა ბიზნესს. ვთვლი, რომ ის კონცენტრირებული ენერგია, რომელიც მიდიოდა ჩვენი ინდუსტრიის განვითარებაში, იყო მთავარი სათქმელი, რასაც ჩვენს მომხმარებლებს ვეუბნებოდით და მომავალშიც ვეტყვით. ჩვენ ვართ კომპანია, რომელიც ზრუნავს ბიზნესების ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რომლის უნიკალური საჭიროებაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

**რა გავლენა იქონია პანდემიამ ციფრულ სამყაროზე?**

პანდემიამ დაგვანახა სწრაფი ცვლილებების საჭიროება. პანდემიამ შეცვალა მუშაობის სტილი. აქამდე, მომხმარებლებთან აქტიური კომუნიკაცია და ტექნოლოგიების ტესტირება ფიზიკურ სივრცეში ხდებოდა.

During its existence, the company has changed 2-3 generations of staff. Thoughts, technologies, consumer behavior, attitudes towards technology solutions, and businesses' attitudes toward digitization have changed. We are now in an era where any company without technological development is unthinkable if its plans are linked to providing services to the masses. We are contributors to this great process and, in many cases, pioneers.

**Based on your observations, what specific characteristics have changed in terms of consumer behavior?**

Back when we started doing business, there was no internet. People had personal computers, but access to the international network was limited. This is the main change - the internet was created, and its widespread use has led to a change in behavioral and cultural values. The internet has become a new place of residence, the so-called "nest," where people gather, talk, and take pride in achievements. The internet has also become a place of commercial production.

**Orient Logic had to maintain its operations during economic and political transition periods - how did you deal with these challenges? What was the guarantee of the company's success?**

First of all, the main reason for staying on the market was that we have never gone beyond our competence and scope of action. We have always been significantly focused on doing our job. We have never changed our case management policy nor been involved in processes that were not related to our business. I believe that the concentrated energy that went into our industry's development was the key message we were telling our customers and will continue to

*ინდუსტრიიდან გამომდინარე, ჩვენთვის მთავარია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისთვის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების და კანის ფერისა*

# IT IS IMPORTANT TO CREATE EQUAL EMPLOYMENT OPPORTUNITIES FOR DIFFERENT GROUPS OF PEOPLE, REGARDLESS OF GENDER, RACE, NATIONALITY, AND SKIN COLOR

ამ ყველაფერმა ვირტუალურ სამყაროში გადაინაცვლა. ბიზნესის კეთების ალგორითმი და ტექნოლოგიების გამოყენების მოთხოვნები დღითიდღე იცვლება. ჩვენმა კლიენტმა ორგანიზაციებმა, უფრო ეფექტური საინფორმაციო სისტემის მშენებლობაზე დაიწყეს ზრუნვა. თუ აქამდე უპირატესობას ანიჭებდნენ სტანდარტული ტიპის მოწყობილობების შეძენას, დღეს ისინი ფიქრობენ თუ რა საშუალებით მიიღონ უფრო ეფექტიანი და ეკონომიკურად გამართლებული გადაწყვეტილებები.

**თქვენი კომპანია რა გამოწვევების წინაშე დადგა?**

დისტაციურ რეჟიმზე გადასვლის პირველი კვირა, ყველასთვის სასიხარულო იყო. თუმცა, ორი კვირის შემდეგ, თანამშრომლების ნაწილი მიხვდა რომ სახლში ყოფნით პროდუქტიულობის სასურველ დონეს ვერ აღწევდა. რა თქმა უნდა, არსებობდა გამონაკლისებიც – იმ ადამიანების სახით, ვინც სახლიდან უფრო ეფექტურად გაუმკლავდა სამუშაოს. სწორედ ამიტომ, ადამიანებს თავისუფალი არჩევანის საშუალება მივეცით. ვინც თვლის, რომ უფრო ეფექტურად მუშაობს სახლიდან და, ამასთან, მათი ოჯახის წევრებისთვის პანდემია მაღალ რისკებს ატარებს, მივეცით საშუალება თვითონ გადაწყვიტონ მოვლენ თუ არა სამსახურში. მთავარი პირობაა, რომ დისტანციური საქმიანობის შემთხვევაში არ დაზარალდეს არც ორგანიზაცია და არც დასაქმებული. ვთვლი, რომ ბევრი ორგანიზაცია მსგავს გადაწყვეტილებამდე მივა.

უნდა აღვნიშნო, რომ პანდემიამ უამრავი ღონისძიება გააუქმა. შესაბამისად, ღონისძიებების ვირტუალურ სივრცეში გადასატანად გამოვიყენეთ სხვადასხვა ვირტუალური არხი, მათ შორის აპლიკაციები Zoom, Microsoft Teams, და სხვა. ეს ღონისძიებები ვებინარების სახით ტარდებოდა. ამ გამოცდილებამ ადამიანის ჩვევაში ცვლილებას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

თავიდან აქტიური ჩართულობა აღინიშნებოდა, შემდეგ ადამიანები იგივე ტემპით აღარ ერთვებოდნენ, რადგან მობეზრდათ შეხვედრებში ამ ფორმით მონაწილეობის მიღება. თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ ფორმატთანაც მოვახერხეთ სრული ადაპტაცია. პანდემიამ, საქმის უფრო ეფექტურად და აკადემიურად განხორციელების საჭიროება დაგვანახა.

**რა როლი უჭირავს კორპორაციულ პასუხისმგებლობას თქვენი კომპანიის ბიზნეს ფილოსოფიაში და რა მიღწევები გაქვთ ამ მიმართულებით?**



say in the future. We are a company that cares about the technological development of businesses whose unique needs will become more intense in the future.

**What impact did the pandemic have on the digital world?**

The pandemic has shown us the need for rapid change. The pandemic changed the style of work. Until now, active communication with users and testing of technologies took place in the physical space. All of this has been moved into the virtual world. The algorithm for doing business and the requirements for using technology are changing daily. Our client organizations have started building a more efficient information system. If previously they preferred buying standard types of devices, today they are thinking about making more efficient and economically viable solutions.

**What challenges has your company faced due to the pandemic?**

The first week of switching to remote work was a joy for everyone. However, two weeks later, part of the staff realized that working from home did not help them achieve the desired level of productivity. Of course, there were exceptions - in the form of people who could handle work more efficiently from home. That is why we have given people a free choice. For those who work more efficiently from home or their families are in the high risks groups of infection, we have allowed them to decide for themselves whether to come to the office or not. The main condition is that neither the organization's activities nor the employee's job responsibilities can be harmed. I believe that many organizations will come to a similar decision.

Numerous events were canceled due to the pandemic. Accordingly, we used various digital channels and moved the events to the virtual space, including the Zoom app, Microsoft Teams, and more. These events were held in the form of webinars. This experience once again highlighted the behavior change. At first, active involvement was noted, then people got tired of participating in meetings in this format. However, in the end, we managed to adapt to operating in the digital space fully. The pandemic has shown us the need to do things more efficiently and academically.

კორპორაციული პასუხისმგებლობა, როგორც ცნება, ამ ფორმით არ არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი კომპანია აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთებაში. მაშინაც და დღესაც, ჩვენთვის კორპორაციული პასუხისმგებლობა უკავშირდება საზოგადოებაზე ზრუნვას, იმდენად რამდენადაც ჩვენი საქმიანობა მთლიანად უკავშირდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ტექნოლოგიების ინდუსტრიაში.

ჩვენთვის ცნობილია გაეროს პრინციპები. ვცდილობთ ამ პრინციპების საქმიანობაში იმპლემენტაციას. ინდუსტრიიდან გამომდინარე, ჩვენთვის მთავარია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისთვის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების და კანის ფერისა.

*შესაძლებლობების თვალსაზრისით, ჩვენთვის ნებისმიერი ადამიანი თანაბარია. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი კორპორაციული ფილოსოფიის მთავარ ღერძს.*

პანდემიის დასაწყისში, სახელმწიფოს სპეციალურ ფონდში გადავრიცხეთ თანხა, თუმცა არ ვთვლით, რომ სახელმწიფოს დავეხმარეთ, დავეხმარეთ ჩვენივე თანამემამულეებს – იმ ადამიანებს, რომლებსაც ამის საჭიროება ნამდვილად ჰქონდათ. ორგანიზაციულ ინიციატივებს რაც შეეხება, შევქმენით პლატფორმა – supportit.ge, რომლის მიზანიც იყო ჩვენი კვალიფიკაციის გადანაწილება და გუნდში არსებული ცოდნის გადაცემა იმ ორგანიზაციებისთვის, ვისაც ამის ყიდვის საშუალება არ ჰქონდათ. პლატფორმა იყო იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ ინფრასტრუქტურული საჭიროებები და, მეორე მხრივ, არ ჰქონდათ კიბერუსაფრთხოების დაცვის ინსტრუმენტების შეძენის საშუალება.

ცხადია, ქველმოქმედება არ არის კორპორაციული პასუხისმგებლობა, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ მნიშვნელოვანია ბიზნესი დაეხმაროს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენი დახმარება ფიზიკურად სჭირდება. სწორედ ამას მიეკუთვნება ჩვენს მიერ ბოლოს განხორციელებული პროექტი, რომლითაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს დავეხმარეთ. კერძოდ, მათ გადავეცით კომპიუტერული ტექნიკა. ვთვლით, რომ ადამიანებს ინფორმაციასთან შეუზღუდავი წვდომა უნდა ჰქონდეთ, რადგან სწორედ ინფორმაცია წარმოადგენს ყველაზე ღირებულ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს დღევანდელ სამყაროში.

**რას ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ქართულ კომპანიებში და რამდენად მნიშვნელოვანია ისეთი პლატფორმების წევრობა, როგორიც არის „გაეროს გლობალური შეთანხება?" თქვენ, როგორც გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის გამგეობის თავმჯდომარე, რას ეტყოდით ბიზნესს, რატომ უნდა გაწევრიანდნენ კომპანიები ამ ინიციატივაში?**

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ფურცელზე ერთია და პრაქტიკაში მეორე. საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა ქართულ კომპანიაში გულისხმობს ბიზნესის გამჭვირვალედ კეთების გზაზე გადასვლას. ყველა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას – ევროპულს და ამერიკულს ვერ გავითვალისწინებთ და ვერ

**What is the role of corporate responsibility in your company's business philosophy, and what are the company's achievements in this regard?**

Corporate responsibility, as a concept, did not exist back when our company was actively involved in doing important work for the community. For us, corporate responsibility is linked to caring for the community, as our work is entirely related to raising public awareness in the technology industry.

We acknowledge and follow UN principles. We strive to implement these principles in practice. It is important to create equal employment opportunities for different groups of people, regardless of gender, race, nationality, and skin color.

*IN TERMS OF CAPABILITIES, ANY PERSON IS EQUAL TO US. THIS IS THE MAIN AXIS OF OUR CORPORATE PHILOSOPHY.*

At the beginning of the pandemic, we donated money to the state's special COVID-fund . Although, we do not think that we helped the state, we helped our citizens - the people who really needed it the most. As for organizational initiatives, we created a platform - www.supportit.ge, which aimed to redistribute our qualifications and share knowledge within the team to organizations that could not afford it. It was a platform for organizations that had infrastructural needs and could not afford to purchase cybersecurity tools.

Clearly, charity is not a corporate responsibility. However, I want to emphasize how it is important for businesses to help the community that needs it the most. One of the recent projects we have implemented was designed to help socially vulnerable families. In particular, we provided the necessary computer equipment. We believe that people should have unrestricted access to information because it is the most valuable and important tool today.

გავყვებით მარტივი მიზეზის გამო – ჩვენი ბიზნესი და დამოუკიდებლობა მხოლოდ სამ ათეულ წელს ითვლის, შესაბამისად ყველაზე ძველი და წარმატებული ქართული ბიზნესი სამი ათეული წლის არის. თუ შევადარებთ საშუალო ევროპულ კომპანიებს, რომელთა ასაკიც 150-200 წელია, გვესმის რომ მათი გამოცდილება განსხვავდება ჩვენი ცოდნისგან და გამოცდილებისგან.

ჩვენ, როგორც ქართულ ბიზნესს, მოგვიწევს კიდევ ბევრი შეცდომის დაშვება განვითარების გზაზე, იმისათვის რომ მივხვდეთ რა ღირებულებები და ფასეულობებია ნამდვილად მნიშვნელოვანი ჩვენთვის, რომელსაც შემდეგ დავნერგავთ პრაქტიკაში. თუმცა, რა თქმა უნდა არსებობს ისეთი სტანდარტები, რომლებიც სადაო არ არის და რომელზეც თავიდანვე ვთანხმდებით, რომ მათი დანერგვა მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს კომპანიის განვითარების სწორ სტრატეგიას.

ჩემთვის, გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებისა და მდგრადი განვითარების მიზნების საქმიანობაში ინტეგრირება ნიშნავს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას საქართველოში, რომელიც დაგვეხმარება გავხდეთ კიდევ უფრო წარმატებულნი და პასუხისმგებლიანები. ამბიცია, რომ ჩვენ ვართ ყველაზე ჭკვიანები, განვითარებულები და განათლებულები – გადაჭარბებულია. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება გავიზიაროთ და ვისწავლოთ ის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც დაგვეხმარება ორგანიზაციულ წინსვლასა და თანამშრომლების კმაყოფილების გაზრდაში. ყველა ჩემ კოლეგას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ბიზნესის პასუხისმგებლიანად წარმართვა და ამავდროულად საზოგადოებისა და ქვეყნის კეთილდღეობა, მოვუწოდებ შემოუერთდნენ გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივას, რათა დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად ჩვენც შევიტანოთ წვლილი იმ სამყაროს შექმნაში, როგორშიც გვსურს რომ ვიცხოვროთ.

*I URGE ALL MY COLLEAGUES, WHO CARE ABOUT RUNNING A RESPONSIBLE BUSINESS AND AT THE SAME TIME THE WELL-BEING OF THE COMMUNITY AND THE COUNTRY, TO JOIN THE UN GLOBAL COMPACT INITIATIVE*

*ყველა ჩემ კოლეგას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ბიზნესის პასუხისმგებლიანად წარმართვა და ამავდროულად საზოგადოებისა და ქვეყნის კეთილდღეობა, მოვუწოდებ შემოუერთდნენ გაეროს გლობალური შეთანხმების ინიციატივას*

**What does the introduction of international standards in Georgian companies mean, and how important is the membership of platforms such as the “UN Global Compact”? As the Chairman of the GCNG board, what would you say to the businesses, why should they join this initiative?**

The introduction of international standards on paper is one thing and, in practice, another. The introduction of international standards in Georgian companies means moving towards doing business transparently. We won't be able to acquire all the best international practices - European and American - for simple reasons - our business and independence are only three decades old; therefore, the oldest and most successful Georgian business is three decades old. If we compare the average European companies, which are 150-200 years old, we understand that their knowledge and experience are different.

We, Georgian businesses, will have to make many more mistakes on the path of development in order to understand what values are fundamental to us, which we will then put into practice. However, there are certain standards, the importance of which are not up for debate, that we agree are important and contribute to the right strategic development of the overall business climate.

Integrating the UN Global Compact principles and the UN Sustainable Development Goals means sharing and introducing the best international experiences in Georgia, which will help us become even more successful and responsible.

The ambition that we are the smartest, most developed, and most educated is exaggerated. Consequently, we decided to acknowledge and implement international standards to help us in organizational advancement and increase employee satisfaction. I urge all my colleagues, who care about running a responsible business and at the same time the well-being of the community and the country, to join the UN Global Compact initiative so that we, along with the rest of the world, can contribute to building the kind of world we want to live in.



ORIENT LOGIC®
25
Opportunity Platform
Since 1995
www.ol.ge

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მდგრადი მართვა



# SUSTAINABLE MANAGEMENT OF MICROFINANCE ORGANIZATIONS

7 წელი, 14 ფილიალი და 200-მდე თანამშრომელი - ეს სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია MBC-ის მონაცემებია. როცა კომპანია ბაზარზე პირველად გამოჩნდა და ფუნქციონირება დაიწყო, ქვეყანაში ასამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებდა. ახლა ეს რიცხვი განახევრებულია. როგორ შეძლო MBC-იმ ბაზრის წამყვან მოთამაშედ პოზიციონირება და როგორი ღირებულებითი ჩარჩო აქვს კომპანიას დღეს? კომპანიის ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი და ოპერაციების დირექტორი, ეთო ჩაჩიბაია, განმარტავს კორპორაციული პასუხისმგებლობის გავლენას MBC-ის ბიზნეს-სტრატეგიებსა და მოქმედების ძირითად მიმართულებებზე.

**რა ფუნდამენტზე დგას MBC-ის წარმატება? რა არის ის სტრატეგიული მიმართულებები, რამაც განაპირობა კომპანიის მდგრადი გაძლიერება?**

მთავარი მიღწევა - კომპანიის ორგანიზაციული კულტურა, კორპორაციული მართვის სტილი, ფასეულობები და ღირებულებებია, რომელიც არამხოლოდ თანამშრომლებს, არამედ კომპანიის დამფუძნებლებსაც გათავისებული აქვთ. ვფიქრობ, ჩვენი გუნდის წარმატება ასევე განპირობებულია კომპანიაში არსებული დასაქმების თანაბარი პირობებით, ჯანსაღი კონკურენციით, გამჭვირვალობითა და გენდერული თანასწორობით. კომპანიაში დასაქმებულთა 52% ქალია. მენეჯერულ პოზიციებზე კი 5 დირექტორიდან 3 ქალია. გამორჩეულ მიღწევად მივიჩნევთ სანდო და გამჭვირვალე რეპუტაციას, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენი კომპანია ფინანსურ რესურსებს საერთაშორისო ორგანიზაციებისგანაც იზიდავს და აღნიშნული გარემოება საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან ნდობის მკაფიო გამოხატულებაზე მიუთითებს. გასულ წელს საერთაშორისო ორგანიზაცია "Scope Ratings-მა" საკრედიტო რეტინგი B+(სტაბილური) მოგვანიჭა, რაც ჩვენთვის დიდი წარმატებაა. პანდემიის მიუხედავად, ჩვენი კომპანია რეიტინგში წამყვან პოზიციას და მიკროსაფინანსო ბაზარზე ყველაზე მაღალ საკრედიტო რეიტინგს ინარჩუნებს.

**რას ნიშნავს და რა მნიშვნელობას ატარებს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ქართულ კომპანიებში?**

მიკროსაფინანსო ბაზარი, სექტორისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ სტანდარტებზე დგას. ჩვენი კომპანიის საქმიანობაში, საერთაშორისო სტანდარტების არსებობა პირველ რიგში ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიხატება, რომელსაც აღნიშნული სტანდარტების აბსოლუტური დაცვით ვაწარმოებთ. ამ სტანდარტების დაცვის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. საერთაშორისო სტანდარტებით, პრინციპებითა და პრაქტიკით ვხელმძღვანელობთ ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ჩვენს თანამშრომლებთან, მომხმარებლებსა და პარტნიორებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე.

რაც შეეხება ზოგად სიტუაციას, ვფიქრობ ქვეყნის შიგნითაც იცვლება ტენდენციები - თავად მომხმარებელი უფრო გათვითცნობიერებული, დაკვირვებული და მომთხოვნი ხდება. იზრდება მოთხოვნა ხარისხზე და, შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების პოზიტიური გავლენა შიდა ბაზარზე.

**რა ფაქტორების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა MBC-ის კორპორაციული ფილოსოფია? რამდენად თვალსაჩინოა არსებული ბიზნეს-ფასეულობები?**

7 YEARS, 14 BRANCHES, AND UP TO 200 EMPLOYEES. THESE ARE THE MAIN NUMBERS FOR THE MICROFINANCE ORGANIZATION, MBC. WHEN THE COMPANY FIRST APPEARED ON THE MARKET, THERE WAS ABOUT A HUNDRED MICROFINANCE ORGANIZATIONS OPERATING IN THE COUNTRY. NOW THAT NUMBER IS CUT IN HALF. HOW HAS MBC BEEN ABLE TO POSITION ITSELF AS A MARKET LEADER, AND WHAT VALUE SYSTEM DOES THE COMPANY HAVE? ETO CHACHIBAIA, ONE OF THE FIRST EMPLOYEES AND THE CURRENT OPERATIONS DIRECTOR FOR THE COMPANY, EXPLAINS THE IMPACT OF CORPORATE RESPONSIBILITY ON MBC'S CORE OPERATIONAL AND BUSINESS STRATEGIES.

**What is the foundation of MBC's success? What are the strategic directions that led to the sustainable strengthening of the company?**

The company's main achievement is rooted in its organizational culture, corporate governance style, and values, which employees and the founders embrace. I think our team's success is also due to equal employment conditions in the company, healthy competition, transparency, and gender equality. 52% of the employees in the company are women. 3 out of 5 directors in managerial positions are women. We consider a reliable and transparent reputation as an outstanding achievement because these elements are essential for a microfinance organization. Our company attracts parts of its financial resources from international organizations. This fact alone indicates a clear expression of trust from international partners. Last year, the international organization "Scope Ratings" gave us a credit rating of B+ (stable,) which is a vast achievement. Despite the pandemic, our company maintains a leading position in the ratings and has the highest credit rating in the microfinance market.

**What does the introduction of international standards in Georgian companies mean, and what is the significance of this process?**

The microfinance market is based on specific standards for each sector. The existence of international standards in our company is primarily reflected in the financial statements we produce in absolute compliance with these standards. It is impossible to maintain competitiveness in the international market without adhering to these standards. International standards, principles, and practices guide us in our day-to-day operations, directly impacting our relationships and collaborations with employees, customers, and partners.

As for the general overview of the current climate, I think the country's trends are also changing. Consumers are becoming more aware, observant, and demanding. Demand for quality and, consequently, the positive impact of international standards on the domestic market is growing.

**What factors led to the formation of MBC's corporate philosophy? How visible are the existing business values?**

*ჩვენი კომპანიის საქმიანობაში, საერთაშორისო სტანდარტების არსებობა პირველ რიგში ფინანსურ ანგარიშგებაში გამოიხატება*

*THE EXISTENCE OF INTERNATIONAL STANDARDS IN OUR COMPANY IS PRIMARILY REFLECTED IN THE FINANCIAL STATEMENTS*

*I THINK OUR TEAM'S SUCCESS IS ALSO DUE TO EQUAL EMPLOYMENT CONDITIONS IN THE COMPANY, HEALTHY COMPETITION, TRANSPARENCY, AND GENDER EQUALITY*

*ვფიქრობ, ჩვენი გუნდის წარმატება ასევე განპირობებულია კომპანიაში არსებული დასაქმების თანაბარი პირობებით, ჯანსაღი კონკურენციით, გამჭვირვალობითა და გენდერული თანასწორობით*

## გასულ წელს საერთაშორისო ორგანიზაცია "SCOPE RATINGS-მა" საკრედიტო რეიტინგი B+ (სტაბილური) მოგვანიჭა, რაც ჩვენთვის დიდი წარმატებაა

## LAST YEAR, THE INTERNATIONAL ORGANIZATION "SCOPE RATINGS" GAVE US A CREDIT RATING OF B+(STABLE), WHICH IS A VAST ACHIEVEMENT

ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობა და შესაბამისი ღირებულებითი ჩარჩოები, აბსოლუტურ თანხვედრაშია ჩვენს ბიზნეს-ფილოსოფიასთან. ეს ღირებულებები არის გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ეთიკური კორპორაციული მართვა, პარტნიორობა და ინოვაცია. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში გამოვყავით რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება - გარემოს დაცვა, ქალთა გაძლიერება, ფინანსური განათლებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერა, და შრომითი უფლებები.

აღვნიშნავ მომხმარებლებთან ურთიერთობას და თანამშრომელთა მხრიდან მათდამი დამოკიდებულებას. ემბისი ზედმიწევნით მიჰყვება მომხმარებელთა დაცვის საერთაშორისო კამპანიის „Smart Campaign" პრინციპებს და შესაბამისად, გამჭვირვალე, სამართლიან, პასუხისმგებლიან და გონივრულ ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს.

ქალთა გაძლიერების საკითხებზე აქტიურად ვთანამშრომლობთ გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისთან.  მათი დახმარებით მდგრადი ცვლილების უზრუნველყოფისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმატებით ხორციელდება. გარემოს დაცვის საკითხებზე სიდასთან/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან ვთანამშრომლობთ. აქტიურად მიმდინარეობს ჩვენი შიდა პოლიტიკის გადახედვა. მენეჯმენტი დიდ ბიძგს აძლევს კორპორაციულ მოხალისეობრივ პასუხისმგებლობას, რაც მათ შორის საერთაშორისო დღეების აღნიშვნაში გამოიხატება. მაგალითად, ჩავატარეთ ყველაზე ეკომეგობრული ფილიალის კონკურსი, რაც ენერგიის ყველაზე ეფექტურად მოხმარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გამოვლინებას ემსახურებოდა. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება - ახალგაზრდების მხარდაჭერაა. პანდემიამ კიდევ

Our corporate responsibilities and relevant value frameworks are in absolute harmony with our business philosophy. These values are transparency, accountability, ethical corporate governance, partnership, and innovation. Over the last 2-3 years, we have identified several priority areas - environmental protection, women's empowerment, financial education, youth support, and labor rights.

I want to highlight the relationship with customers and the attitude of employees towards them. MBC strictly adheres to the principles of the global campaign, "Smart Consumer Protection" and therefore, offers transparent, fair, responsible, and reasonable financial services to its customers.

We actively cooperate with the UN Women Georgia on issues related to women's empowerment. With their help, we have developed an action plan to ensure sustainable change and create an environment conducive to women's economic empowerment, which is being successfully implemented.

We cooperate with CIDA / Global Compact Network Georgia on environmental issues. We are actively reviewing our domestic policies. Management gives a big push to corporate volunteer responsibility, which, for instance, is reflected in the celebration of international days. We held a competition for the most eco-friendly branch, which served to identify the most pressing issues. Efficient energy consumption is one of them.

One of our priorities is to support young people. The pandemic has shown that children living in rural areas do not have the means to continue their education through remote learning. In response, we funded several months of internet access for them.

In terms of labor rights initiatives, I would emphasize the importance of a mechanism created for managing complaints and ideas.



ერთხელ დაგვანახა, რომ სოფლად მცხოვრებ ბავშვებს არ აქვთ დისტანციურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების საშუალება. ამის საპასუხოდ მათ ინტერნეტთან რამდენიმეთვიანი წვდომა დავუფინანსეთ.

შრომითი უფლებების მხრივ განხორციელებულ ინიციატივებში, პრეტენზიებისა და იდეების მართვისთვის შემუშავებულ მექანიზმს გამოვყოფდი.

*ჩვენ გვაქვს ციფრული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ თანამშრომელს, (კონფიდენციალურობის დაცვით) შეუძლია თავისი იდეა ან საჩივარი გამოაგზავნოს და შესაბამისი უკუკავშირიც დროულად მიიღოს.*

**მსოფლიო უპრეცენდენტო კრიზისშია. კომპანიები მრავალშრიანი ფინანსური კრიზისისა და ფუნქციური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდენ. თუმცა, გაჩნდა უამრავი ახალი შესაძლებლობა და ბიზნეს-რესტრუქტურიზაციის გზა. ამ მოცემულობების გათვალისწინებით, რა გავლენა მოახდინა პანდემიამ MBC-ზე?**

პირველი გამოწვევა ჩვენი თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო. მარტში, მანამ სანამ რეგულაციები ოფიციალურად შევიდოდა ძალაში, თითოეული ფილიალი უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარით იყო უზრუნველყოფილი. იმ პერიოდში, კორონავირუსზე ბევრი არაფერი ვიცოდით, შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ვირუსთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება იყო. ყველა საკომუნიკაციო არხი კორონავირუსთან დაკავშირებული მასალების გასავრცელებლად გამოვიყენეთ - როგორც თანამშრომლების, ისე მომხმარებლების ინფორმირებისთვის.

საფინანსო სექტორისთვის გარდამტეხი პერიოდი დადგა. ბუნებრივია, პანდემიამ განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩვენს მომხმარებლებზე. კრიზისმა მათ შემოსავალს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, შესაბამისად გადახდასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სექტორი სრულიად აჰყვა სახელმწიფოს ინიციატივას სესხების გადავადებასთან დაკავშირებით, მიკროსაფინანსო ბაზარზე იგივე სულ რამდენიმე ორგანიზაციამ გაიმეორა.  გადახდების გადავადების თხოვნით ჩვენ  მომხმარებლების 70%-მა მოგვმართა. უკლებლივ ყველა განაცხადი დავაკმაყოფილეთ და ყველას საშეღავათო პერიოდი შევთავაზეთ. მიუხედავად რთული ვითარებისა, შევძელით კომპანიის თანამშრომლებისა და მათი ხელფასების შენარჩუნება.

პანდემიის პერიოდში  გავაგრძელეთ მუშაობა ჩვენს პროექტზე - "ფინანსური მრჩეველი," რომლის მეშვეობითაც ჩვენი  მომხმარებლები და სხვა დაინტერესებული პირები, აბსოლუტურად უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებსა და ტრენინგებში. მეტი ფინანსური განათლება ნიშნავს მეტ სასარგებლო გადაწყვეტილებას. ეს პროექტი განსაკუთრებით გამოადგათ ქალ მეწარმეებს,  რადგან მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ბიზნესის  გაგრძელებასთან და კრიზისთან ადაპტაციის პროცესთან დაკავშირებული რჩევები.

*WE HAVE A DIGITAL PLATFORM THROUGH WHICH ANY EMPLOYEE CAN SEND THEIR IDEA OR COMPLAINT CONFIDENTIALLY AND RECEIVE RELEVANT FEEDBACK ON TIME.*

**The world is in an unprecedented crisis. Companies are facing a multifaceted financial crisis and operational challenges. However, many new opportunities and ways of business restructuring have emerged. Given these circumstances, what impact did the pandemic have on MBC?**

The first challenge was to maintain a safe environment for our employees and protect their health and well-being. Before the regulations officially entered into force in March, each branch was provided with the necessary inventory for safety. At that time, we did not know much about the coronavirus, so one of the main challenges was to raise awareness about the virus. We have used all communication channels to disseminate coronavirus-related materials - to inform both employees and users.

A turning point has come for the financial sector. Naturally, the pandemic had a particular impact on our consumers. The crisis has caused significant damage to their income, resulting in payment problems. While the banking sector has fully followed the countries  initiative to defer loans, only a few organizations in the microfinance market did the same. 70% of our customers have asked us to defer payments. We satisfied all the applications and offered everyone a relief period. Despite a challenging situation, we were able to maintain all  employees and their salaries.

We continued to work on our project during the pandemic. The "Financial Advisor" project allowed our customers and other stakeholders to participate in financial education training, free of charge. More financial education means more beneficial decisions. This project was helpful for women entrepreneurs, as they needed advice on business continuity and the crisis adaptation process.

*თანამშრომლობა, როგორც ბიზნესისთვის ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის თანაბრად მომგებიანია, რადგან სწორედ ერთობლივი ძალისხმევით შექმნილ პროექტებს მოაქვთ მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები საზოგადოებისთვის*

**PARTNERSHIP IS EQUALLY BENEFICIAL FOR BOTH BUSINESSES AND CIVIL SOCIETY ORGANIZATIONS BECAUSE IT IS THE PROJECTS CREATED THROUGH JOINT EFFORTS THAT BRING SIGNIFICANT POSITIVE CHANGES TO SOCIETY**

**რა არის MBC-ის პოზიცია გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებსა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ბიზნეს-ფილოსოფიაში ინტეგრაციაზე? მაგალითად, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანი ბიზნესის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობაა. რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი პარტნიორობები სხვადასხვა სექტორში?**

ბიზნეს-ფილოსოფიაში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაცია ზოგჯერ რთულად განსახორციელებლად ჟღერს, თუმცა პრაქტიკაში, ეს ასე არ არის. შესაბამისი მუშაობისა და მონდომების შემთხვევაში, კომპანიის საქმიანობის მოცემულ მიზნებთან ადაპტირება ნამდვილად არის შესაძლებელი. რაც შეეხება პარტნიორობას – ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ჩემი დაკვირვებით, როცა სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის თანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, პირველი ასოციაცია, ბიზნესის მიერ ფინანსური რესურსების სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიწოდებაზე ჩნდება. რეალურად პარტნიორობისთვის სხვა ალტერნატიული საშუალებებიც არსებობს, თუნდაც ადამიანური რესურსების, ცოდნის, ექსპერტიზისა და გამოცდილების გაზიარება. თანამშრომლობა, როგორც ბიზნესისთვის ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის თანაბრად მომგებიანია, რადგან სწორედ ერთობლივი ძალისხმევით შექმნილ პროექტებს მოაქვთ მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები საზოგადოებისთვის.

**- What is MBC's take on integrating the UN Global Compact principles and the UN Sustainable Development Goals into the business philosophy? For example, one of the sustainable development goals is active cooperation with civil society. How important are these types of partnerships in different sectors?**

Integrating the UN Sustainable Development Goals into the business philosophy sometimes sounds difficult to achieve, although, in practice, this is not the case. With proper work and diligence, it is possible to fit the company's activities into the given goals. As for the partnership - I think it is a quite strategic direction of development for our country.

Based on my observations, when we talk about civil society and business cooperation, the first association is the supply of financial resources by businesses to civil society. There are other alternative ways to cooperate, for instance, sharing human resources, knowledge, expertise, and experience. Partnership is equally beneficial for both businesses and civil society organizations because it is the projects created through joint efforts that bring significant positive changes to society.

**- While it is impossible to measure the long-term effects of the pandemic at this stage, the current reality allows us to say that the culture of doing business, customer behavior, and consumer needs are clearly changing. What are your expectations regarding the forecasted changes in the microfinance sector?**



**მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გრძელვადიანი ეფექტების გაზომვა ამ ეტაპზე შეუძლებელია, არსებული რეალობა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ბიზნესის კეთების კულტურა, მომხმარებლის ქცევა და საჭიროებები მკაფიოდ შეიცვლება. რა არის თქვენი მოლოდინები მიკროსაფინანსო სექტორში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით?**

ბიზნესი უკვე შეიცვალა. შეიცვალა მომხმარებელიც, მისი ქცევაც და მყიდველუნარიანობაც, თუმცა ყველა კრიზისის დროს ჩნდება ახალი შესაძლებლობები. ვიმედოვნებ, რომ ქართული კომპანიების ნაწილი ამ პერიოდს თავის სასიკეთოდ გამოიყენებს. ბაზარზე აუცილებლად შეიქმნება ახალი ბიზნესები და დაჩქარდება გაციფრულების პროცესები. ამ ეტაპზე, ჩვენ ბევრად სწრაფად გვიწევს დისტანციური პროდუქტების დანერგვა. ის, რისი აღსრულებაც ორი წლის ვადაში გვქონდა დაგეგმილი, მიმდინარე შესასრულებელ ამოცანებში გადმოვიტანეთ. აღნიშნული ცვლილებები კარგია ჩვენი მომხმარებლისთვის, რადგან სერვისები მათთვის უფრო კომფორტული გახდება. ვფიქრობ, ეტაპობრივად სიტუაცია დასტაბილურდება და ჩვენი სეგმენტიც სწრაფად მოერგება ცვლილებებს.

The business has changed. Consumers, their behavior, and their purchasing power have also changed. However, with every crisis, new opportunities arise. I hope that some Georgian companies will use this period to their advantage. New businesses will definitely be created in the market, and digitization processes will be accelerated. At this stage, we have to introduce remote products much faster. What we had planned to accomplish in two years, needs to be done now. These changes are good for our customers because the services will become more comfortable for them. I think the situation will gradually stabilize, and our sector will adapt to the changes quickly.



## მდგრადობა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის მამოძრავებელი ძალა

# SUSTAINABILITY AS A DRIVING FORCE OF ENTREPRENEURIAL ACTIVITY

საქართველოში ბაზრის გამორჩეულმა ლიდერმა, ლუდისა და ლიმონათის მწარმოებელმა – „ეფეს საქართველომ“ – სოციალური პასუხისმგებლობა კორპორაციული ფილოსოფიის ქვაკუთხედად აქცია. განვითარების უზრუნველსაყოფად მდგრადობაში ინვესტირება, და მოწყვლადი ჯგუფებისთვის რესურსების მიწოდება – კომპანიის მამოძრავებელი ძალა გახდა. „ეფეს საქართველოს“ გენერალური დირექტორი, ერთან კურტი, კომპანიის მიღწევებსა და გამოწვევებზე საუბრობს და COVID-19-ის გავლენის შესამცირებლად მიღებული ზომების მნიშვნელობას განმარტავს.

**კოპანიის არსებობის მანძილზე, რა გახდა Efes Georgia-ს, როგორც პასუხისმგებლიანი და წარმატებული ბიზნესის ძირითადი მონაპოვარი?**

Efes Georgia არის Anadolu Group-ის ნაწილი, რომელიც 19 ქვეყანაში, 9 სექტორში 66 წარმოების ობიექტით და დაახლოებით 80,000 თანამშრომლით ოპერირებს. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა კომპანიას იცნობს, როგორც ლუდისა და ლიმონათის პოპულარულ მწარმოებელს სახელწოდებით „ნატახტარი“. ამჟამად, Efes Georgia-ს ლუდისა და ლიმონათის ექსპორტი

A DISTINGUISHED MARKET LEADER AND A WELL-KNOWN PRODUCER OF BEER AND LEMONADE - EFES GEORGIA HAS SET SOCIAL RESPONSIBILITY AS A PROFOUND CORNERSTONE OF ITS CORPORATE PHILOSOPHY. HELPING THE UNDERPRIVILEGED, PROVIDING RESOURCES FOR THE MOST VULNERABLE, AND INVESTING IN SUSTAINABILITY TO GUARANTEE ADVANCEMENT HAS BEEN THE COMPANY'S STRATEGIC DRIVING FORCE. ERTAN KURT, THE GENERAL DIRECTOR AT EFES GEORGIA, OVERVIEWS A WIDE SPECTRUM OF THE COMPANY'S ACHIEVEMENTS AND CHALLENGES, AS WELL AS THE IMPORTANT MEASURES TAKEN TOWARDS HANDLING THE IMPACT OF COVID-19.

**During its existence, what has become the main achievement of Efes Georgia, as a responsible and successful company?**

Efes Georgia is a part of the Anadolu Group, operating in 19 countries, with 66 production facilities in 9 sectors and close to 80.000 employees. Most of Georgia's population knows the company as the producer of the popular beer and lemonade called Natakhtari. We also produce other popular beer brands, such as Kasris, Karva, and several well-known foreign brands, including Staropramen and Lowenbrau, in accordance with special licensing conditions. Moreover, Efes Georgia

*WE LISTEN TO OUR CONSUMERS IN ORDER TO UNDERSTAND WHAT THEY NEED FROM SPECIFIC BRANDS*





*ჩვენ ვუსმენთ ჩვენს მომხმარებლებს და ვიგებთ თუ რა სჭირდებათ მათ კონკრეტული ბრენდებისგან*

23 ქვეყანაში ხდება. ჩვენს კომპანიაში, ექსპორტი წლების განმავლობაში ვითარდებოდა, როგორც მოცულობის, ისე ბაზრების რაოდენობის თვალსაზრისით. ჩვენ ვაპირებთ ინვესტიციების გაზრდას და ქართული პროდუქციის სხვა ქვეყნებში გატანას.

**რა მნიშვნელობას ატარებს ბიზნესის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ქართულ კომპანიებში?**

Efes Georgia დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და ხარისხის მენეჯმენტს. მინდა გამოვყო ჩვენი ლიცენზირებული ბრენდები და აღვნიშნო, რომ ლიცენზირება დიდი პასუხისმგებლობაა. ჩვენ ამ პასუხისმგებლობას სრულყოფილად ვასრულებთ, რაც სალიცენზიო ბრენდების მიერ მკაცრად კონტროლირებადი სტანდარტების დაცვაში აისახება.

ჩვენ, როგორც საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული კომპანია, გამოვირჩევით რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:

produces Karva Radler - the first beer mix in Georgia with lemon and lime. Currently, Efes Georgia beer and lemonade are being exported to 23 countries. The direction of exports in our company has been developing for years, both in terms of volume and number of markets, and is one of our highest priorities and most promising areas for business growth. We are going to increase investments in this direction and export Georgian products to more countries.

**What is the significance of introducing international business-making standards in Georgian companies?**

Efes Georgia pays much attention to the implementation of international standards and quality management. I want to highlight our licensed brands and mention that licensing is a big responsibility. We fulfill this responsibility comprehensively, which is reflected in the observance of standards strictly controlled by licensing brands.

Several main factors distinguish us as a company tailored to international standards:

**თანამედროვე ტექნოლოგია:** ინვესტიციები ხორციელდება საწარმოო ხაზებისა და უახლესი ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენისთვის. კომპანიის წარმოების პროცესი ემყარება ბოლოდროინდელი და მოწინავე ჩამოსასხმელი ხაზების მუდმივ განახლებასა და გაუმჯობესებას.

**სტაბილური ხარისხი:** კომპანიის პროდუქტი გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რომლის შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის თანამედროვე სისტემა.

**კვალიფიციური პერსონალი:** კომპანიის ნებისმიერი განყოფილება, წარმოებიდან – მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტამდე, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივად ვზრუნავთ.

**ინოვაციური მენეჯმენტი:** თანამშრომელთა ინიციატივები მაქსიმალურად ხორციელდება მენეჯმენტის თანამედროვე, დასავლური სტილის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით.

**როგორ გაუმკლავდა კომპანია პანდემიით გამოწვეულ გამოწვევებს?**

პირველ რიგში, ჩვენ დავადგინეთ სამი ძირითადი, მკაფიო პრიორიტეტი, რომელიც სრულ თანხვედრაში მოდის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს მთავრობის რეკომენდაციებთან:

*1) ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა;*

*2) საწარმოო პროცესში ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების კონტროლი;*

*3) ქართული საზოგადოების, ჩვენი პარტნიორებისა და თანამშრომლების დახმარება.*

**Modern Technology:** Investments are made for production lines and acquisition of the latest laboratory equipment. The company's production process is based on the latest and advanced bottling lines, being permanently renewed and improved.

**Stable Quality:** The company's product is distinguished by its high quality, the maintenance of which is ensured by the modern system of quality control.

**Qualified Personnel:** Any unit of the company, from production to the customer relations department, is staffed with highly qualified personnel, whose professional development is constantly being cared upon.

**Innovative Management:** Employee initiatives in Efes Georgia are being promoted to a maximum extent, based on the best traditions of the modern western style of management.

**What impact did the pandemic have? What challenges did it pose? How did the company cope with these challenges?**

Firstly, we have identified three primary, clear priorities regarding our employees, consumers, and business partners' health and safety during the COVID-19 pandemic. Following the recommendations and regulations of the World Health Organization and the Government of Georgia, they are the following:

*1)PROTECTING THE HEALTH AND WELL-BEING OF OUR EMPLOYEES;*

*2)TIGHTLY MONITORING HEALTH AND SAFETY STANDARDS IN THE PRODUCTION PROCESS;*

*3)SUPPORTING THE GEORGIAN SOCIETY, OUR PARTNERS, AND EMPLOYEES.*

In early March, those employees who do not need to work in the field or production moved to remote working. The production process became automated to the greatest possible extent, without human participation. Additionally, the company reduced working hours and travel areas for field groups. External visitors were prohibited from entering the factory and administrative offices. The complete disinfection of industrial equipment, workshops, manufactured products, and vehicles took place daily, for which special mobile groups were set up. Remote thermal screening of all employees is still being conducted.

Field workers, including distributors, were provided with gloves, masks, and hand sanitizers. Moreover, information posters regarding preventive measures against COVID-19 were placed in our brewery and other spaces, and special educational training was provided to the staff. These consistent measures minimized possible complications. During this remote work period,

*კომპანიის ნებისმიერი განყოფილება, წარმოებიდან – მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტამდე, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივად ვზრუნავთ*



**MOST OF GEORGIA'S POPULATION KNOWS THE COMPANY AS THE PRODUCER OF THE POPULAR BEER AND LEMONADE CALLED NATAKHTARI**

*საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა კომპანიას იცნობს, როგორც ლუდისა და ლიმონათის პოპულარულ მწარმოებელს სახელწოდებით „ნატახტარი“*

**ANY UNIT OF THE COMPANY, FROM PRODUCTION TO THE CUSTOMER RELATIONS DEPARTMENT, IS STAFFED WITH HIGHLY QUALIFIED PERSONNEL, WHOSE PROFESSIONAL DEVELOPMENT IS CONSTANTLY BEING CARED UPON**

მარტის დასაწყისში, ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ წარმოების პროცესებში არ იყვნენ ჩართულნი, დისტანციურ სამუშაოზე გადავიდნენ. წარმოების პროცესი მაქსიმალურად ავტომატიზირდა – ადამიანის ჩართულობის საჭიროება, შეძლებისდაგვარად შემცირდა. კომპანიამ საველე ჯგუფებისთვის სამუშაო საათები და სამგზავრო ლოკაციების რაოდენობები შეამცირა. ყოველდღიურად ხდებოდა სამრეწველო აღჭურვილობის, საამქროების, წარმოებული პროდუქტებისა და მანქანების სრული დეზინფექცია, რისთვისაც სპეციალური ჯგუფები შეიქმნა.

საველე ჯგუფებს, მათ შორის დისტრიბუტორებს, ხელთათმანები, ნიღბები და ხელის დასაბანი საშუალებები გადაეცათ. ჩვენს

ჩვენ დავადგინეთ სამი ძირითადი, მკაფიო პრიორიტეტი, რომელიც სრულ თანხვედრაში მოდის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს მთავრობის რეკომენდაციებთან

**WE HAVE IDENTIFIED THREE PRIMARY, CLEAR PRIORITIES FOLLOWING THE RECOMMENDATIONS AND REGULATIONS OF THE WORLD HEALTH ORGANIZATION AND THE GOVERNMENT OF GEORGIA**

სივრცეებში COVID-19-ის წინააღმდეგ პრევენციული ზომების შესახებ შექმნილი საინფორმაციო პოსტერები განთავსდა, პერსონალისთვის კი სპეციალური საგანმანათლებლო ტრენინგი ჩატარდა. ამ თანმიმდევრულმა ზომებმა შესაძლო გართულებები შეამცირა.

დისტანციური სამუშაო პერიოდის განმავლობაში, ჩვენს თანამშრომლებთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად და მათი მოტივაციის შესანარჩუნებლად რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა. მე ჩავატარე დისტანციური, ე.წ „1to1" შეხვედრები ყველა მენეჯერთან, რათა მქონოდა პირდაპირი კომუნიკაცია და დეტალურად მესაუბრა ყველა არსებულ გამოწვევაზე; გუნდური სულისკვეთების შესანარჩუნებლად და ინფორმაციის მიწოდების გასაუმჯობესებლად, რეგულარული ონლაინ შეხვედრები დღემდე ტარდება. Efes Georgia კორპორაციული პასუხისმგებლობის დატვირთვის მქონე აქტივობებს 2008 წლიდან ახორციელებს. პანდემიამ შინაარსობრივი განახლებისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს-განვითარების საჭიროებას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. რაც შეეხება საზოგადოების მხარდაჭერას, COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ ყველაზე დაუცველ ჯგუფებს ვეხმარებოდით. საერთო ჯამში, კომპანიამ 200 ათას ლარზე მეტი დახარჯა CR პროგრამებში. ფინანსური დახმარება გავუწიეთ STOPCOV ფონდს და სადეზინფექციო საშუალებები მივაწოდეთ საავადმყოფოებს; პრევენციული ზომების მისაღებად, მთავრობას სწრაფი ტესტები (SARS-CoV-2) გადავეცით.

ნატახტარის ფონდი ჩვენ ბენეფიციარებს ეხმარება ფსიქოლოგიური კონსულტაციით, ქირის ანაზღაურებით, აუცილებელი მედიკამენტებითა და დისტანციური სწავლებისთვის საჭირო რესურსებით. კომპანიამ დააფინანსა ფონდის ის ბენეფიციარები, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს.



we had several initiatives to improve communication with our employees and keep their motivation high. I held remote 1 on 1 meetings with all the managers and supervisors to keep the personal touch and discuss all relevant business topics in detail. To keep the team spirit high and facilitate the information flow, we have regular Online Happy Hours and Online Town Hall Meetings. Efes Georgia has been implementing projects in the field of corporate social responsibility since 2008. However, I think the pandemic represented another stage, a period of restart and responsible business development for our company. As for public support, we have been assisting the most vulnerable groups in the fight against COVID-19. In total, the company has spent more than 200,000 GEL for the implementation of pandemic support projects under the auspices of the CSR program. We provided financial assistance to the STOPCOV Fund and a 2-month supply of disinfectants to the Infectious Diseases, AIDS, and Clinical Immunology Research Center. We handed over rapid tests (SARS-CoV-2) to the government for preventive measures.

The Natakhtari Fund supports beneficiaries (such as adolescents without parental care) according to their individual needs and supports them with psychological consultation, rent, essential medicines, and resources required for remote learning. The company financed the fund's beneficiaries who lost their jobs. Moreover, in cooperation with the Georgian Bartender's Association, its partner organization, the company provided financial assistance to t bartenders. Around 500 bartenders, who were left unemployed, received supermarket vouchers. Efes Georgia also distributed free products to people over 70, families below the poverty line, employees of the government's 'Hotline 144' Center, quarantined citizens, and our distinguished doctors.

**ჰქონია თუ არა კომპანიას მსგავსი კრიზისი?**

არა. ეს იყო სრულიად ახალი და საკმაოდ რთული გამოცდილება. თუმცა, გლობალური პანდემიის პირობებში, ბიზნესის შენარჩუნებასა და განვითარებაზე მუშაობამ, თანამშრომლების საჭიროებებზე ზრუნვამ და პარტნიორების დახმარებამ – გაგვზარდა და გაგვაძლიერა. გასული წელი ყველასთვის მძიმე იყო. ვფიქრობ, კომპანიებმა უფრო მეტი დრო უნდა დახარჯონ იმაზე ფიქრში, თუ როგორ მოუტანონ მეტი სარგებელი თავიანთ მომხმარებლებს. ჩვენ ვუსმენთ ჩვენს მომხმარებლებს და ვიგებთ თუ რა სჭირდებათ მათ კონკრეტული ბრენდებისგან.

**ჟურნალი მიზნად ისახავს პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკის მნიშვნელობის ხაზგასმას. რა როლს ასრულებს კორპორაციული პასუხისმგებლობა ბიზნესის მდგრადობაში და, კიდევ უფრო დეტალურად, როგორია თქვენი კომპანიის ზოგადი გამოცდილება ამ მხრივ?**

მინდა გამოვყო კორპორაციული პასუხისმგებლობის ის ნაწილი, რომლითაც განსაკუთრებით ვამაყობთ. თითქმის 10 წლის წინ, ნატახტარის ფონდი დავაფუძნეთ, რომლის მიზანია მზრუნველობის გარეშე დარჩენილი მოზარდების გაძლიერება, მათი მოვლა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება. 2011 წლის შემდეგ, ფონდი 600-მდე ბენეფიციარს დაეხმარა, მათგან 300-ზე მეტი დასაქმდა, ხოლო 270-ზე მეტმა განათლება მიიღო. ამ შედეგამდე მივედით იმ უნიკალური მეთოდოლოგიით, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი სახლი – საქართველო" ერთ-ერთ პროექტში იყენებდა.

2012 წელს შევქმენით ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესში გამოყენებული წყლის რესურსების მაღალხარისხიან დამუშავებას და მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას. საწყისმა ინვესტიციამ 6 მილიონ ლარს მიაღწია. წლიური საოპერაციო ხარჯები, დაახლოებით 400 000 ლარს შეადგენს. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ეს ტექნოლოგია, მსოფლიოში ერთ–ერთი საუკეთესოა. ის იძლევა მაღალხარისხიანი დამუშავების

*WITHOUT COOPERATION, PARTICIPATION, AND CONSULTATION WITH THE CIVIL SECTOR, COMPANIES WILL NOT BE SUCCESSFUL*

*თანამშრომლობის, მონაწილეობისა და სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციის გარეშე, კომპანიები წარმატებულნი ვერ იქნებიან*

**Has the company had similar crises?**

No. It was completely new and quite a difficult experience. However, working to maintain and grow a business in a global pandemic, while keeping in mind the needs of our employees and helping our partners, I think, has grown and strengthened us as a business organization. Last year has been hard for everyone. I think companies need to spend more time thinking about how to benefit their customers. We listen to our consumers in order to understand what they need from specific brands.

**The magazine aims to highlight the importance of responsible business practice. What role does corporate responsibility play in business sustainability, and what is your company's experience in this regard? What role does CSR play in the business philosophy of Efes Georgia? What are the main achievements in this regard?**

I want to start by highlighting this part of our CSR, since we are especially proud of it. We established the Natakhtari Fund almost 10 years ago, and the fund aims to empower and take care of adolescents without parental care and prepare them for their independent life. Since 2011, the fund has helped around 600 beneficiaries. Of these 600, more than 300 of them gained employment, and about 270 received an education. These results were achieved through the unique methodology used by a project implemented by the NGO Association, "Our Home – Georgia." An individual development plan is being created for each beneficiary, and the amount is allocated according to his/her specific needs. According to the goals of the fund, adolescents and young people receive care until they are fully independent .

## I THINK COMPANIES NEED TO SPEND MORE TIME THINKING ABOUT HOW TO BENEFIT THEIR CUSTOMERS

*ვფიქრობ, კომპანიებმა უფრო მეტი დრო უნდა დახარჯონ იმაზე ფიქრში, თუ როგორ მოუტანონ მეტი სარგებელი თავიანთ მომხმარებლებს*

შესაძლებლობას, რაც ნიშნავს, რომ გამოყოფილი ჩამდინარე წყლის ხარისხი აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

გარემოსდაცვითი სტანდარტების გაუმჯობესებასა და ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვაში ჩადებულმა ინვესტიციებმა შედეგი გამოიღო. 2018 წელს, კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოს კონკურსში გავიმარჯვეთ, ხოლო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა ინდუსტრიაში საუკეთესო მაგალითი გახდა.

ეს კარგი დასაწყისი იყო. შემდეგ წლებში, კორპორაციული პასუხისმგებლობის მიმართულებით, 3 განსხვავებული ჯილდო მივიღეთ.

**რამდენად მნიშვნელოვანია ინტერსექტორული თანამშრომლობა ბიზნესისთვის? უნდა თანამშრომლობდეს თუ არა ბიზნესი სამოქალაქო საზოგადოებასთან?**

ნატახტარის ფონდის წარმატება, მოზარდებსა და ახალგაზრდებთან დაკავშირებით, ვერ იქნებოდა შედეგიანი ჩვენი პარტნიორების ჩართულობისა და ძალისხმევის გარეშე. ის სამუშაო, რომელიც ორგანიზაციამ ,,ჩვენი სახლი - საქართველო" 2010 წლიდან შეასრულა და რასაც დღემდე აკეთებს, ფასდაუდებელია. თანამშრომლობის, მონაწილეობისა და სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციის გარეშე, კომპანიები წარმატებულნი ვერ იქნებიან.

When a beneficiary above the age of 18 does not have a shelter and/or a job, the fund grants him or her a scholarship to cover rent, utilities, and travel expenses. Since 2017, the Fund, in cooperation with the Coalition of Children and Youth Organizations, has been involved in a campaign to advocate for young people's needs out of the public care system at both national and local levels.

In 2012, we launched a wastewater treatment plant, which provides high-quality treatment of water resources used in the production process and significantly reduces the environment's impact. The initial investment reached GEL 6 million, while annual operating costs equal to GEL 400,000. This wastewater treatment technology is recognized in the world as one of the best for breweries. It allows high-quality treatment, which means that discharged wastewater quality satisfies the EU requirements and significantly reduces harmful environmental impact.

Finally, our investment in improving environmental standards and implementing an effective waste management system have borne fruit. In 2018, we received a special CSR award in the field of environmental protection, and our wastewater treatment system has become a showcase for the Georgian bottling industry.

It was a good start, but in the following years, in terms of corporate responsibility, we received 3 different awards.



*პასუხისმგებლობას სრულყოფილად ვასრულებთ, რაც სალიცენზიო ბრენდების მიერ მკაცრად კონტროლირებადი სტანდარტების დაცვაში აისახება*

**-როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს პანდემია საქართველოში ბიზნეს კულტურაზე? რა მოლოდინები გაქვთ ამ მხრივ?**

პანდემია ყველაზე დიდი გლობალური გამოწვევაა. გარდა იმისა, რომ ხალხის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება, COVID-19-ის ეფექტები, ინტენსიურად უარყოფითად აისახება ცხოვრების მრავალ ასპექტზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით როდის ან როგორ დასრულდება პანდემია და რა ეკონომიკური შედეგები მოჰყვება ამ კრიზისს, ერთი პროგნოზი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის მდგრადი განვითარების მნიშვნელობის ზრდა. მდგრადი განვითარება არ ნიშნავს ხარჯების დაზოგვას ან მსგავს მიდგომას. აქ იგულისხმება მდგრადობა, როგორც სამეწარმეო საქმიანობის პოზიტიური შედეგების უზრუნველყოფის მექანიზმი. მდგრადი განვითარების მნიშვნელობის რეალიზაციის ერთ-ერთი მაგალითი იყო ის, რომ გაიზარდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების მასშტაბი. სასიამოვნოა, რომ COVID-19 პანდემიის ფონზე კომპანიები ამ მიმართულებით უფრო აქტიურდებიან.

## WE FULFILL THIS RESPONSIBILITY COMPREHENSIVELY, WHICH IS REFLECTED IN THE OBSERVANCE OF STANDARDS STRICTLY CONTROLLED BY LICENSING BRANDS

**-How can businesses collaborate with civil society, and how important are such partnerships in different sectors?**

The success of the Natakhtari Fund and the results we have achieved regarding careless adolescents and young people could not have happened without our partners' involvement and efforts. The work that the association "Our Home - Georgia" has done since 2010 and what the association is still doing is invaluable. Without cooperation, participation, and consultation with the civil sector, companies will not be successful in terms of corporate responsibility, and this type of cooperation is something that everyone in Georgia should get used to.

**Finally, what do you think will be the influence of the pandemic on the business culture in Georgia? What are your expectations in this regard?**

The new coronavirus pandemic has been the biggest challenge ever faced by the world. Apart from threatening peoples' health, COVID-19 changed and negatively affected many aspects and areas of our lives. While we do not know when or how the pandemic will end and what the economic outcomes will be, there is one thing we can make a forecast about; the growing importance of sustainable development. In this case, sustainable development does not mean cost saving or a similar approach. Here, sustainability, as the mechanism for ensuring positive results of entrepreneurial activity, is implied. One example of realizing sustainable development's significance was that the scale of activities related to corporate social responsibilities increased. The companies are awakening in this regard in the light of the COVID–19 pandemic.

# TBC

FOR MORE CONVENIENCE AND EFFECTIVE USE OF REMOTE SERVICES, THE BANK HAS CREATED A WEBSITE - WWW.TBCFORYOU.GE

მეტი კომფორტისთვის და დისტანციური სერვისებით ეფექტურად სარგებლობისთვის, ბანკმა ვებ-გვერდი შექმნა – www.tbcforyou.ge

კორონავირუსის გავრცელებამ გლობალური შოკი გამოიწვია. შოკი მრავალმხრივია – დაავადების გაჩენისა და გავრცელების, შემდეგ უკვე მასთან ბრძოლისა და გავლენების შემსუბუქების მცდელობებით სავსე. ფინანსური სექტორი, განსაკუთრებით კი ბანკები, არსებულ კრიზისთან გამკლავებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. თიბისი ბანკი თავად აღმოჩნდა რთული გამოწვევების წინაშე, თუმცა არაპროგნოზირებად ეკონომიკურ გარემოში მაინც შეძლო სტრატეგიული და ეფექტური ნავიგაცია.

**THE SPREAD OF THE CORONAVIRUS HAS CAUSED A GLOBAL SHOCK. SHOCK IS MULTIFACETED - FULL OF ATTEMPTS TO STOP THE SPREAD OF THE VIRUS AND MITIGATE ITS HARMFUL EFFECTS. THE FINANCIAL SECTOR PLAYS A VITAL ROLE IN DEALING WITH THE CURRENT CRISIS. DURING THIS PERIOD, TBC BANK FACED MANY DIFFICULT CHALLENGES BUT STILL MANAGED TO NAVIGATE STRATEGICALLY AND EFFICIENTLY IN AN UNPREDICTABLE ECONOMIC CLIMATE.**




ბანკმა კოვიდ-ინფიცირების დადგენისთვის საჭირო 10,000 ტესტი შეიძინა და ჯანდაცვის სამინისტროს გადასცა. „თიბისი დაზღვევამ“ კი 300,000 ლარი გამოყო, რომელიც პაციენტების მოვლის პროცესში დაინფიცირებული მედპერსონალის მკურნალობას მოხმარდა

TO SUPPORT AFFORDABLE HEALTHCARE, THE BANK PURCHASED 10,000 TESTS TO DETECT CORONAVIRUS AND HANDED THEM OVER TO THE MINISTRY OF HEALTH. TBC INSURANCE ALLOCATED 300,000 GEL, WHICH WAS SPENT ON TREATING DOCTORS AND PARAMEDICS WHO WERE INFECTED DURING PATIENT CARE

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა თანამშრომლებისა და კლიენტების ინფიცირების რისკის ზრდა იყო, რასაც ბანკმა პანდემიის პირველი დღეებიდანვე ახალი ინიციატივით უპასუხა – 2020 წლის მარტიდან „ბექოფისის“ თანამშრომლები დისტანციურ მუშაობაზე გადავიდნენ, მათგან 95% კი დღემდე დისტანციურად მუშაობს. „ფრონტოფისის“ თანამშრომლების სამუშაო სივრცეებში დეზობარიერები დაემატა. სადეზინფექციო ხსნარები და პირბადეები  კი ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომი გახდა.  შეიქმნა კლიენტების მიღებისა და მომსახურების განსაზღვრული წესი, რისი მიზანიც, როგორც თანამშრომლების, ისე, კლიენტების ჯანმრთელობის დაცვაა. ბანკი დღესაც აწყობს დისტანციურ შეხვედრებს, სადაც გუნდის წევრებს საშუალება აქვთ ეპიდემიოლოგებს მოუსმინონ და მათგან პანდემიის პირობებში აუცილებელი, უსაფრთხო ცხოვრებისა და მუშაობისთვის საჭირო რჩევები მიიღონ.

One of the biggest threats was the increased risk of infecting employees and customers, to which the bank responded with a new initiative. Since the beginning of the pandemic in March 2020, back-office employees have been working remotely, with 95% of them still doing so. Necessary equipment has been added to the front office workspaces. Disinfectant solutions and wipes have become available to all employees. A defined rule of customer reception and service has been established, the purpose of which is to protect the well-being of both employees and customers. The bank still conducts remote meetings that allow team members to listen to epidemiologists and receive advice on creating and maintaining safe living and working conditions.

Continuity of business processes was of fundamental importance for the bank, which meant maintaining high-quality customer service, hiring new employees, and advancing their qualifications.

ბანკისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო საქმიანი პროცესების უწყვეტობა, რაც კლიენტების მაღალხარისხიან მომსახურებას, ახალი თანამშრომლების მიღებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობდა. იმისათვის, რომ ეს პროცესები ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებულიყო, ონლაინ რეჟიმში გადავიდა შემდეგი აქტივობები: თიბისი აკადემია, რომელიც ბანკის გუნდის წევრებს, ბიზნესის სხვადასხვა სფეროში ცოდნის გაღრმავების საშუალებას აძლევს, მათ TBC ბანკის ექსპერტი თანამშრომლები ასწავლიან; ახალი თანამშრომლების გუნდში ინტეგრაციის პროგრამა - ტრენინგი „გამარჯობა“ და სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის.

მეტი კომფორტისთვის და დისტანციური სერვისებით ეფექტურად სარგებლობისთვის, ბანკმა ვებსაიტი შექმნა - tbcforyou.ge, სადაც თავი მოუყარა ყველა ციფრულ პროდუქტს და შეთავაზებას, როგორც ფიზიკური პირებისთვის, ისე ბიზნესებისთვის; გაზარდა უპაროლოდ გადახდის ლიმიტები ისეთი უკონტაქტო გადახდის საშუალებებიდან, როგორებიცაა ბარათი და სამაჯური, რის შედეგადაც მომხმარებლებს ნაღდი ფულის გამოყენებისა და ფიზიკური კონტაქტის გარეშე ანგარიშსწორების შესაძლებლობა მიეცათ.

ბანკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება ორი თვის განმავლობაში ტრანზაქციებზე გაუქმებული საკომისიო, რითაც ბანკმა თავის მომხმარებლებს ჯამურად სამი მილიონი ლარი დაუზოგა.

თიბისი ბანკის როლი პანდემიასთან გამკლავებაში, კომპანიის შიგნით განხორციელებული ინიციატივებით არ ამოწურულა. ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მხარდასაჭერად, ბანკმა კოვიდ-ინფიცირების დადგენისთვის საჭირო 10,000 ტესტი შეიძინა და ჯანდაცვის სამინისტროს გადასცა. „თიბისი დაზღვევამ“ კი 300,000 ლარი გამოყო, რომელიც პაციენტების მოვლის პროცესში დაინფიცირებული მედპერსონალის მკურნალობას მოხმარდა. აღნიშნული მხარდაჭერა 90-მა ექიმმა და სანიტარმა მიიღო.

ხარისხიანი განათლების მხარდასაჭერად, თიბისი ბანკმა შეიძინა ლეპტოპები იმ მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, რომლებიც არ ფლობდნენ საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას და, შესაბამისად, ვერ ერთვებოდნენ დისტანციური სწავლების პროცესში. ორგანიზაცია „ჩართეს“ და თიბისი ბანკის პარტნიორი უნივერსიტეტების დახმარებით კი სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ჯამურად 200 ლეპტოპი გადაეცათ.

*THE MORE AWARE AND DEMANDING THE PUBLIC IS, THE GREATER THE ROLE OF CORPORATE RESPONSIBILITY IN THE COMPANY'S PROGRESS*

For these purposes, the following activities were moved online: TBC Academy, which allows bank team members to deepen their knowledge in various business areas (taught by TBC Bank expert staff); a new staff integration program - "Hello"; and an internship program for students.

For more convenience and effective use of remote services, the bank has created a website - www.tbcforyou.ge - which brings together all digital products and offers, both for individuals and businesses, increased payment limits from non-contact payment methods, such as card and digital bracelets, allowing customers to make payments without using cash and physical contact. Another important achievement is the cancellation of transaction fees for two months, which saved the customers a total of 3 million GEL.

The role of TBC Bank in dealing with the pandemic did not stop at implementing initiatives within the company. To support affordable healthcare, the bank purchased 10,000 tests to detect coronavirus and handed them over to the Ministry of Health. TBC Insurance allocated 300,000 GEL, which was spent on treating 90 doctors and paramedics who were infected during patient care.

*რაც უფრო გათვითცნობიერებული და მომთხოვნია საზოგადოება, მით მეტია კორპორაციული პასუხისმგებლობის როლი კომპანიის მდგრადობაში*





*წამყვანი კომპანიები მუდმივად უნდა უსწრებდნენ საზოგადოების მოთხოვნებს და თავად ნერგავდნენ პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტებს, რათა საზოგადოებამ დაინახოს, აღიქვას, მოიწონოს და შესაბამისი მიდგომები ყველა სხვა კომპანიას მოსთხოვოს*

**LEADING COMPANIES MUST CONSTANTLY TRY TO FORECAST THE PUBLIC'S DEMANDS AND SET HIGH ACCOUNTABILITY STANDARDS TO ENSURE THAT THE PUBLIC CAN PERCEIVE, APPROVE, AND DEMAND THE SAID STANDARDS FROM OTHER COMPANIES**

სიღარიბის აღმოფხვრაში წვლილის შესატანად, ბანკმა პანდემიის პირობებში განსაკუთრებით დიდი რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფები - სოციალურად დაუცველი მოხუცები - საკვებითა და მედიკამენტებით მოამარაგა.

ბანკმა, როგორც ფიზიკური პირებისთვის ისე ბიზნესებისთვის სესხები 3 თვით გადაავადა. ეს პროექტი დამატებით სამი თვე გაგრძელდა, რამაც მოსახლეობას საშუალება მისცა გადაენაწილებინა სესხის გადასახადი შემოსავლების ცვლილების შესაბამისად.

დაარსების დღიდან, თიბისი ბანკისთვის, როგორც განსაკუთრებით დიდი მასშტაბის მქონე კომპანიისთვის, კორპორაციული პასუხისმგებლობა ორგანული ნაწილია, რადგან „თიბისის“ დიდი გავლენა აქვს როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ ცხოვრებაზე, დამკვიდრებულ სტანდარტებსა და ტენდენციებზე.

კომპანიის მდგრადობისთვის, მისი რეპუტაციისა და საზოგადოებასთან ფორმირებული ნდობის საკითხი ტოპ-პრიორიტეტია. გარდა უშუალოდ ბიზნესის წარმოებისა, თიბისი ბანკი მუდმივად ზრუნავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, უფრო კონკრეტულად კი ისეთი პრობლემების აღმოფხვრაზე, რაც განვითარებას აფერხებს. რაც უფრო გათვითცნობიერებული და მომთხოვნია საზოგადოება, მით მეტია კორპორაციული პასუხისმგებლობის როლი კომპანიის მდგრადობაში. თუმცა, ეს ორმხრივი პროცესია - წამყვანი კომპანიები მუდმივად უნდა უსწრებდნენ საზოგადოების მოთხოვნებს და თავად ნერგავდნენ პასუხისმგებლობის მაღალ სტანდარტებს, რათა საზოგადოებამ დაინახოს, აღიქვას, მოიწონოს და შესაბამისი მიდგომები ყველა სხვა კომპანიას მოსთხოვოს. თიბისი ბანკი კი მუდამ მზადაა საზოგადოების კეთილდღეობას ემსახუროს და კორპორაციული პასუხისმგებლობის ღირსეული სტანდარტი დაამკვიდროს.

To support quality education, TBC Bank purchased laptops for pupils and students who did not have the necessary equipment and could not engage in remote learning processes. A total of 200 laptops were distributed among schoolchildren and students of higher education institutions with the help of TBC Bank's partner universities and the organization "Charte."

To help alleviate poverty, the bank has provided food and medicine to vulnerable elderly groups, specifically to those affected by the pandemic.

The bank postponed loans for individuals and businesses for 3 months. The project lasted for an additional 3 months, which allowed the population to redistribute the loan funds in line with the change in income.

Since its foundation, corporate responsibility has been an integral part of TBC Bank. As a particularly large-scale company, TBC Bank has a major impact on establishing standards and trends, as well as shaping the social and economic affairs of the country.

The company sets the notion of trust as a top priority for business sustainability. In addition to conducting business directly, TBC Bank actively contributes to solving crucial societal problems and eliminating issues that hinder development. The more aware and demanding the public is, the greater the role of corporate responsibility in the company's progress. Leading companies must constantly try to forecast the public's demands and set high accountability standards to ensure that the public can perceive, approve, and demand the said standards from other companies. TBC Bank is always ready to serve social welfare and establish decent standards of corporate responsibility.

# საინვესტიციო პროექტების გზამკვლევი

# GUIDE TO INVESTMENT PROJECTS

ბიზნესების მხარდამჭერი კომპანია - GEORGIAN BUSINESS PLATFORM (GBP), მიზნად ისახავს, სხვადასხვა ბიზნეს მომსახურების შეთავაზებით, საქმიანი ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობას და განვითარებას ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის.

BUSINESS SUPPORTING COMPANY- GEORGIAN BUSINESS PLATFORM (GBP) AIMS TO ADVANCE BUSINESS RELATIONSHIPS BETWEEN GEORGIAN AND FOREIGN COMPANIES, BY OFFERING VARIOUS BUSINESS SERVICES.

პლატფორმის დამფუძნებელი, სოფიო ტაბატაძე განმარტავს თუ როგორ იქმნება ბიზნეს მომხმარებელთა ინტერესებზე დაყრდნობით შექმნილი ინდივიდუალური სერვისები და რა როლი აქვს პლატფორმის მიერ შემუშავებულ საქართველოს საინვესტიციო რუკას - მდგრადი, საიმედო და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნაში.

**Georgian Business Platform საქართველოში 2017 წლიდან ოპერირებს. როგორ გაჩნდა პლატფორმის შექმნის იდეა და რა იყო მთავარი მიზანი?**

GBP-ის დაფუძნების მთავარ მიზანს წარმოადგენდა შექმნილიყო ერთი საერთო სივრცე, რომელშიც სხვადასხვა ბიზნეს სერვისი გაერთიანდებოდა. ამ სერვისების სისტემატიზირებამ გაუმარტივა დაინტერესებულ პირებს მათთვის საინტერესო ბიზნესის მოძიება, როგორც ინვესტიცირების, ისე სავაჭრო ბიზნეს პარტნიორის მოძიების კუთხით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის სამუშაო, რაც მცირე და საშუალო ზომის მეწარმეების გაძლიერების მხრივ გავწიეთ.

**თქვენი სერვისების ოთხი ძირითადი მიმართულებაა 1) საქართველოში ბიზნეს პარტნიორის პოვნა 2) საქართველოში ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა 3) საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციის განთავსება და 4) ბიზნეს აქტივობების ორგანიზება საქართველოში. თქვენი კომპანიის არსებობის განმავლობაში, რომელ მთავარ მიღწევებს გამოყოფდით?**

Sophio Tabatadze, the founder of the platform, explains how individual services based on clients' interests are created and impacts the role of the investment map (developed by GBP) by creating a sustainable, reliable, and attractive business environment.

**Georgian Business Platform (GBP) has been operating in Georgia since 2017. How did the idea of creating the platform come about, and what was the main purpose?**

The main purpose of establishing the GBP was to create a common space that combined various business services. The systematization of these services has made it easier for stakeholders to find businesses of interest, for partnerships in investing and trading. The work we did to empower small and medium-sized entrepreneurs was vital to us.






*WE STARTED WORKING ON THE IDEA AND CREATED A DIGITAL INVESTMENT MAP OF GEORGIA, WHICH CAN BE ACCESSED BY ANYONE FROM ANYWHERE IN THE WORLD*

*შევქმენით საქართველოს ციფრული საინვესტიციო რუკა, რომელზე წვდომაც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს*

ბაზარზე დიდი კონკურენციაა. შესაბამისად, სანდოობისა და ცნობადობის მოსაპოვებლად დიდი დრო და ძალისხმევაა საჭირო. ჩვენ მცირე ზომის კომპანია ვართ. განვითარების კუთხით, ჯერ კიდევ ბევრი მიმართულებაა დასახვეწი. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებულ მოცემულობაში ჩვენი ინოვაციური და თანამედროვე მიდგომა, გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს და კონკურენტუნარიანს გვხდის ბიზნეს მომსახურებების გამწევ სხვა ორგანიზაციებთან მიმართებაში.

მთავარ მიღწევად კი გამოვყოფდით საქართველოს ციფრულ საინვესტიციო რუკას, რომელიც ბაზარზე პირველია და საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ პირებს დიდ შესაძლებლობას აძლევს მოიკვლიონ მათთვის სასურველ სფეროში არსებული საინვესტიციო პროექტი.

**როგორ მუშაობს ეს სისტემა?**

აღნიშნული რუკა, ცოტა ხნის წინ შეიქმნა ჩვენს ვებგვერდზე. ამ პროექტის ცნობადობის გასაზრდელად ჯერ-ჯერობით მცირე მარკეტინგული აქტივობაა ჩატარებული. თუმცა, ამის მიუხედავად, დროის მცირე მონაკვეთში, დაინტერესება ორივე მხრიდან მოსალოდნელზე ბევრად მეტია. სისტემა კი შემდეგნაირია - ნებისმიერი პირი საქართველოში, რომელსაც აქვს საინვესტიციო პროექტი, სრულიად უფასოდ არეგისტრირებს მას ჩვენს ვებგვერდზე. იმის გათვალისწინებით, რომ რუკა ციფრულია, ინვესტორის მაძიებლებს და პოტენციურ ინვესტორებს დიდი დროის, ხარჯის და რესურსის დაზოგვის საშუალებას აძლევს, რადგან სექტორების და საინვესტიციო ბიუჯეტის მიხედვით სეგმენტირებული პროექტების

**The four main areas of your services are 1) Finding a business partner in Georgia, 2) Promoting doing business in Georgia, 3) Maintenance of Investment Map of Georgia, and 4) Organizing business activities in Georgia. What are the company's main achievements in this regard?**

There is much competition in the market. Consequently, it takes a lot of time and effort to gain credibility and awareness. We are a small company. There are still many areas to be refined in terms of development. However, our innovative and modern approach gives us certain competitive advantages compared to other organizations providing similar business services.

As for the main achievement - I would certainly say that the digital investment map of Georgia (the first on the market) is a unique tool that provides a great opportunity for those interested in investing in Georgia, as a way to explore the investment project in their preferred field.

**How exactly does the digital investment map work?**

We recently launched the map on our website. To date, only several marketing activities have been conducted to increase awareness of this project. Nevertheless, in a short span of time, the interest from both sides has been much higher than expected.

დეტალები პირდაპირ მოცემულია თითოეული პროექტის დეტალურ ინფორმაციაში.

**რა გავლენა იქონია პანდემიამ ქართულ ბიზნეს გარემოზე (განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციების მიმართულებით) – რა გამოწვევები გაჩნდა?**

არ იქნება ახალი თუ ვიტყვი, რომ პანდემიამ არა მხოლოდ ქართულ ბაზარს, არამედ ზოგადად მსოფლიოს ბიზნეს სამყაროს გაუჩინა დიდი თავსატეხი. პანდემიამ სრულად შეცვალა ტრადიციული ბიზნესი. თუმცა, ინტენსიურად ნეგატიური გავლენის მიუხედავად, ახალი ბიზნეს ეპოქის შენებაში პანდემიამ საინტერესო და თანაბარი შესაძლებლობები შესთავაზა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს.

**რა როლი უჭირავს კორპორაციულ პასუხისმგებლობას თქვენს ბიზნეს ფილოსოფიაში?**

როდესაც დავსვით კითხვა – რისთვის ვაკეთებთ იმას რასაც ვაკეთებთ? რა არის ჩვენი მიზანი? პასუხად მივიღეთ – მეტი განხორციელებული საინვესტიციო პროექტი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის და სოციალური კეთილდღეობისთვის; შესაბამისად, იდეაზე მუშაობა დავიწყეთ და საბოლოოდ შევქმენით საქართველოს ციფრული საინვესტიციო რუკა, რომელზე წვდომაც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს. რუკის საშუალებით მათ შეუძლიათ სრულიად უფასოდ ნახონ პროექტების ნუსხა სხვადასხვა სექტორში, რაც, ცხადია, პირდაპირ აისახება უცხოური ინვესტიციების ზრდაზე და გრძელვადიან მდგრად განვითარებაზე.

კორპორაციულ პასუხისმგებლობას ბიზნესის მდგრადობაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. დღის ბოლოს, ყველა კომპანიის წარმატებას ის სოციალური კეთილდღეობა განაპირობებს, სადაც ის არსებობს. ჩვენ გამოცდილებას რაც შეეხება, მხოლოდ ქალები გვყავს დასაქმებული, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე, რომელიც გრაფიკული დიზაინის მომსახურებას გვიწევს. გეგმები დიდია, სამომავლოდ კიდევ უფრო საინტერესო და მდგრადი განვითარების პრინციპებზე მორგებულ ახალ ინიციატივებს შევთავაზებთ საზოგადოებას.

**–როგორ შეუძლია ბიზნესს სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა აქტორებთან თანამშრომლობა და რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი პარტნიორობები სხვადასხვა სექტორში?**

*THE MAIN PURPOSE OF ESTABLISHING THE GBP WAS TO CREATE A COMMON SPACE THAT COMBINED VARIOUS BUSINESS SERVICES*

*GBP-ის დაფუძნების მთავარ მიზანს წარმოადგენდა შექმნილიყო ერთი საერთო სივრცე, რომელშიც სხვადასხვა ბიზნეს სერვისი გაერთიანდებოდა*

The system is as follows: any person in Georgia who has an investment project registers on our platform completely free of charge. Given that the map is digital, it saves a lot of time, money, and resources for investor seekers and potential investors, as the details of the projects (segmented by sectors) and investment budgets can be viewed directly.

**What impact did the pandemic have on the Georgian business climate, especially in terms of foreign investment? What were the main challenges?**

The pandemic has created a large puzzle for businesses in Georgia, as well as abroad. It has changed the traditional modes and ways of doing business completely. Despite the intensely negative impact, these challenging times have offered us exciting and equal opportunities for building a new business era in both developed and developing countries.

**What is the role of corporate responsibility in your business philosophy?**

When we asked the question - why do we do what we do? What is our goal? We got to the answer - more implemented investment projects for sustainable development and social welfare of the country. Accordingly, we started working on the idea and created a digital investment map of Georgia, which can be accessed by anyone from anywhere in the world. The platform has made information about the aforementioned projects more accessible. Therefore, we believe that increased accessibility and awareness will directly impact the growth of foreign investment and long-term sustainable development.

Corporate responsibility plays an important role in business sustainability. At the end of the day, every company's success depends on the social well-being of its surroundings. As for our experience, one important fact to note is that 100% of our employees are women (the gender balance has been slightly disturbed), including a woman with disabilities, who



თანამედროვე სამყაროში, საერთო მიზნებისთვის თანამშრომლობა უმთავრესია, ყველა ნათლად ვხედავთ არსებულ პრობლემებს და ვფიქრობთ, რომ გადარჩენის შესაძლებლობა მხოლოდ ერთად განხორციელებულ კეთილ საქმეებშია.

**და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, რა გავლენა ექნება არსებულ კრიზისს ბიზნესის კეთებაზე საქართველოში? რა არის თქვენი მოლოდინები?**

ჩვენი მოლოდინით, პოსტ-პანდემიურ საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა მკაფიოდ თქვას თავისი სათქმელი ახალი ბიზნეს კულტურის ჩამოყალიბებაში. ვინ იცის, იქნებ სამაგალითოც კი აღმოვჩნდეთ განვითარებული ქვეყნებისთვის.

works on graphic design. In the future, we plan to create new initiatives adapted to the UN principles.

**How can businesses collaborate with civil society? How important are such partnerships in different sectors?**

In a modern world, cooperation for the common good is paramount. We observe key issues and think that the only way to survive is through good deeds done together.

**What will be the impact of the current crisis on doing business in Georgia? What are your expectations?**

As a developing country, post-pandemic Georgia will be given an equal opportunity to have a clear say in establishing a new business culture. Who knows, maybe we will even be an example for developed countries.

*ახალი ბიზნეს ეპოქის შენებაში პანდემიამ საინტერესო და თანაბარი შესაძლებლობები შესთავაზა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს*

**THESE CHALLENGING TIMES HAVE OFFERED US EXCITING AND EQUAL OPPORTUNITIES FOR BUILDING A NEW BUSINESS ERA IN BOTH DEVELOPED AND DEVELOPING COUNTRIES**



Edison

# EDISON TECH SOLUTIONS

ტექნოლოგიური ევოლუცია ახალ ფაზაში გადადის. პანდემიამ ადამიანების კომუნიკაციის ფორმები, ჩვევები და ქცევა თითქმის მთლიანად ციფრულ სამყაროში გადაიტანა. პანდემიის გავლენების ზუსტი სოციო-ეკონომიკური ანალიზი საკმაოდ რთული გასაკეთებელია. თუმცა, ერთი რამ ნათელია: ტექნოლოგიებთან ეფექტური ადაპტაცია თითოეული ინდივიდისა და ორგანიზაციის პრიორიტეტი გახდება.

**TECHNOLOGICAL EVOLUTION HAS ENTERED A NEW PHASE. THE PANDEMIC HAS CHANGED COMMUNICATION FORMS, HABITS, AND BEHAVIORS, WHICH HAVE NOW BEEN ALMOST ENTIRELY SHIFTED TO THE DIGITAL WORLD. AN ACCURATE SOCIO-ECONOMIC ANALYSIS OF THE CURRENT CRISIS OR PROJECTIONS OF THE IMMEDIATE, SHORT-TERM, AND LONG-TERM IMPACTS OF THE PANDEMIC ARE QUITE DIFFICULT TO MAKE. HOWEVER, ONE THING IS CLEAR, EFFECTIVE ADAPTATION TO TECHNOLOGICAL ADVANCES WILL BECOME A TOP PRIORITY FOR EVERY PERSON AND ORGANIZATION.**

## TECHNOLOGICAL EVOLUTION HAS ENTERED A NEW PHASE

„Edison Tech“, 2017 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ, საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ბიზნესისთვის Hardware და Software პროდუქტებს ქმნის – ჭკვიან მოწყობილობებს, ავტომატიზაციის სისტემებს, ვებ-საიტებს, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ნებისმიერი ტიპისა და სირთულის პროგრამულ უზრუნველყოფას. ედისონის პორტფოლიოში ერთიანდება ათობით პროდუქტი, რომლებიც მსოფლიოში არსებული ისეთი ბიზნესებისთვის და წამყვანი ორგანიზაციებისთვისაა შექმნილი, როგორებიცაა: World Bank, UNESCO.

პანდემიამდე „ედისონი“ საზღვარგარეთის ბაზარზეც იყო წარმოდგენილი. გამომდინარე იქიდან, რომ web და mobile აპლიკაციების გარდა კომპანია hardware-ზე, ანუ მაღალტექნოლოგიური მოწყობილობების შექმნაზეა ორიენტირებული, პანდემიამ პროექტების უდიდესი ნაწილი სრულად შეაჩერა და კომპანიაც საკმაოდ რთული ფინანსური გამოწვევების წინაშე დააყენა. პანდემიის გამო კომპანიის ელექტრონული კომპონენტების მაღაზია და ტექნოლოგიური სკოლა დაიკეტა. თუმცა, კომპანიამ უცხო გამოწვევებით სავსე ბაზართან მორგება მალევე შეძლო და COVID-19-ის საწინააღმდეგო მოწყობილობების შექმნა დაიწყო.

შეიქმნა სასუნთქი აპარატის სარქველები და სადეზინფექციო კაბინა, რომელიც ტემპერატურას უზომავს ობიექტში შემსვლელს და ახდენს მის დეზინფექციას. „ედისონმა“ ასევე შექმნა სასუნთქი აპარატის პროტოტიპი, რომელიც ხელოვნურ ფილტვზე მუშაობს, თუმცა ამ ეტაპზე მისი ცოცხალ ორგანიზმებზე ტესტირება ჯერ არ მომხდარა. კომპანია, რამდენიმე ბიზნესს, სტერილიზაციისა და სხვადასხვა ტიპის ANTI-COVID-19 ტექნოლოგიების შექმნაში დაეხმარა.



ტექნოლოგიური ევოლუცია ახალ ფაზაში გადადის

Founded in 2017, Edison Tech creates hardware and software products for various businesses in Georgia, as well as worldwide. Their products include smart devices, automation systems, websites, mobile applications, and software of any type or complexity. Edison's portfolio includes dozens of products created for businesses and leading organizations around the world, such as World Bank, UNESCO, etc.

Before the pandemic, Edison was well represented in many foreign markets. In addition to web and mobile applications, the company focuses on creating high-tech devices. Unfortunately, the pandemic has caused most of their projects to stop entirely, which has created many financial issues. Additionally, the company's electronics store and technology school have also closed due to the pandemic. However, the company has found the strength to adapt to a market full of unknown challenges and started developing ANTI-COVID-19 devices.

# ტექნოლოგიებთან ეფექტური ადაპტაცია თითოეული ინდივიდისა და ორგანიზაციის პრიორიტეტი გახდება

# EFFECTIVE ADAPTATION TO TECHNOLOGICAL ADVANCES WILL BECOME A TOP PRIORITY FOR EVERY PERSON AND ORGANIZATION

კომპანიის საქმიანობა ფოკუსირდება არაორდინალური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შექმნაზე და ბაზარზე ინოვაციური პრაქტიკებისა თუ პროდუქტების დანერგვაზე. ერთ-ერთ ასეთ პროექტს წარმოადგენს „გალერია თბილისში“ დადგმული „ჭკვიანი ლოქერი“, რომელმაც ხელი შეუწყო ANTI-COVID-19 ტექნოლოგიების დანერგვას საქართველოში. „ლოქერის“ გამოყენებით, კურიერებსა და ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ შეინახონ ნივთები ან დაუტოვონ ამანათები სხვას - პირდაპირი კონტაქტის გარეშე. ეს ინოვაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული ფოსტების, საკურიერო სერვისების, ბიზნეს ცენტრებისა და სავაჭრო ცენტრების შესაბამისი ფორმით ადაპტირებისთვის.

კომპანიას კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე მკაფიო პოზიცია აქვს და თვლის, რომ ეს უკანასკნელი, მდგრადი ბიზნესის ჩამოყალიბების ერთ-ერთი შეუცვლელი კომპონენტია. სწორედ ამიტომ, „ედისონი“ გაეროს პრინციპებს სრულად იზიარებს და ამ პრინციპებზე აფუძნებს კომპანიის მთავარ მამოძრავებელ ძრავს - საზოგადოების მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებზე მორგებული ტექნოლოგიური პროდუქტების შექმნას.

Respiratory valves and a disinfection chamber have been set up to disinfect and measure a person's temperature after they enter a facility. Edison has also developed a prototype breathing apparatus that works on an artificial lung. However, it has not yet been tested on living organisms. The company has assisted several businesses in creating sterilization technologies and various types of ANTI-COVID-19 devices.

The company's activities are focused on creating extraordinary technological solutions and introducing innovative practices and products to the market. One such project is the Tbilisi-based "Smart Locker," which facilitated the introduction of ANTI-COVID-19 technologies in Georgia. By using the "Smart Locker," couriers and visitors have the ability to store items or leave parcels without direct contact. This innovation is vital for existing post offices, courier services, business centers, and shopping malls in Georgia to appropriately adapt.

The company has a clear position on corporate responsibility and believes that it is one of the essential components of building a sustainable business. That is why Edison recognizes the principles set by the United Nations and continues to build its main driving force upon those principles, in order to create tech products tailored to society's current and future needs.





# ნამდვილი ევროპული იდეა



# A TRUE EUROPEAN IDEA

*დისკრიმინაცია ხშირად უხილავია. შესაბამისად, დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის გაძლიერებული მექანიზმები ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რადგან ფართოდ და საინტერესოდ აყალიბებს დისკრიმინაციის ცნებას*

2020 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებს. თავისი არსით, კანონპროექტი, შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტების დახვეწასა და გაუმჯობესებას ემსახურება. საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთი ინიციატორი, პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი, განმარტავს თუ რა გამოწვევებია თანამედროვე შრომით ურთიერთობებსა და შრომით კულტურაში და რა ფუნდამენტურ ცვლილებებს მოიტანს განახლებული კანონმდებლობა.

**რამდენად ჯანსაღია საქართველოში ბიზნეს გარემო, როგორც დასაქმებულისთვის, ისე დამსაქმებლისთვის?**

კითხვაზე რადიკალური პასუხი არ მაქვს. არსებობს ბიზნესსა და დასაქმებულებს შორის ჯანსაღი ურთიერთობები. თუმცა, ასევე არსებობს აბსოლუტურად საპირისპირო ურთიერთობები, რომლებიც ინდუსტრიული რევოლუციის პირველი ეტაპის მსგავსია, სადაც

IN SEPTEMBER 2020, THE PARLIAMENT OF GEORGIA APPROVED AMENDMENTS TO THE LABOR CODE. AT ITS CORE, THE BILL SERVED TO REFINE AND IMPROVE LABOR RIGHTS PROTECTION STANDARDS. ONE OF THE LEGISLATIVE PACKAGE INITIATORS, FORMER MP DIMITRI TSKITISHVILI, EXPLAINS THE CHALLENGES IN MODERN LABOR RELATIONS AND LABOR CULTURE AND DISCUSSES THE FUNDAMENTAL CHANGES UPDATED LEGISLATION WILL BRING.

**How healthy is the business environment in Georgia, both for the employee and the employer?**

I do not have a radical answer to this question. There are some cases of healthy relations between businesses and employees. However, there are absolutely cases of the opposite , in which these relations are similar to those of the first phase of the industrial revolution, when

**DISCRIMINATION IS OFTEN INVISIBLE. CONSEQUENTLY, ENHANCED MECHANISMS TO COMBAT DISCRIMINATION ARE A MEANINGFUL ACHIEVEMENT AS THEY BROADLY FORMULATE THE NOTION OF DISCRIMINATION**



ხდება შრომითი რესურსების გამოყენების არასწორი მაქსიმალიზაცია. ზოგადად, საკანონმდებლო დონეზე აქამდე არსებული ნორმები კომპანიებს შრომითი ურთიერთობების მიმართულებით ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისაკენ არ უბიძგებდა. შესაბამისად, ვფიქრობ საკანონმდებლო ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია და, გარკვეულწილად, დაგვიანებულიც. ბიზნესები უნდა შეთანხმდნენ სისტემის ერთიან წესებზე. ყველამ უნდა დაიცვას საბაზისო სტანდარტები. კონკურენტული უპირატესობის მოპოვება შრომითი რესურსების ექსპლუატაციის ხარჯზე, არ არის არც მორალურად, არც ეკონომიკურად გამართლებული და ნებისმიერ შემთხვევაში ნეგატიურად აისახება კომპანიის შედეგებზე.

**როგორია შრომითი ურთიერთობები ინსტიტუციურ დონეზე? რა მიღწევები და ხარვეზები გვაქვს, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას დასაქმებულთა ცხოვრების ხარისხზე?**

ვფიქრობ, რომ თანამედროვე შრომისთვის დამახასიათებელია სწორედ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებული ჰარმონიული ურთიერთობა და კონფლიქტების თავიდან აცილებისთვის შემუშავებული მექანიზმები. გაფიცვები და სხვა კატაკლიზმები არავის ინტერესებში არ შედის. თანამედროვე ეკონომიკასა და ბიზნესში, ადამიანური კაპიტალი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, იმიტომ რომ უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ადამიანური კაპიტალი ქმნის თანამედროვე ბიზნესს. შესაბამისად, თუ კანონმდებლობა დასაქმებულს და დამსაქმებელს ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში დაეხმარება, რა თქმა უნდა ბევრი პრობლემა თავისთავად მოგვარდება. არც სახელმწიფოს აქტიური ჩარევა აღარ იქნება საჭირო. ეს იქნება გზა თანამედროვე შრომითი ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბებისკენ.

**თქვენი აზრით, რა არის განახლებული კანონმდებლობის მთავარი მონაპოვარი? კონკრეტულად რა მიმართულებებით გააუმჯობესებს ეს ცვლილებები შრომის კულტურას?**

*BUSINESSES MUST AGREE ON CERTAIN SYSTEMATIC RULES. EVERYONE MUST FOLLOW THE BASIC STANDARDS*

*ბიზნესები უნდა შეთანხმდნენ სისტემის ერთიან წესებზე. ყველამ უნდა დაიცვას საბაზისო სტანდარტები*

the misuse of labor resources was maximized. In general, the existing norms at the legislative level did not push companies to improve their business environment, in terms of labor relations. Consequently, I think the legislative changes are crucial and, to some extent, even too late. Businesses must agree on certain systematic rules. Everyone must follow the basic standards. Gaining a competitive advantage at the expense of exploiting labor resources is neither morally nor economically justified and, in any case, harms the company.

**How developed are labor relations at an institutional level? What achievements would you highlight? What shortcomings affect employees' quality of life?**

Modern labor is characterized by the harmonious relationship between the employee and the employer, as well as the mechanisms developed to avoid conflicts. Strikes and other cataclysms are not in anyone's interest. In modern economics and business, human capital is the most important value, because in most cases, it is human capital that creates modern business. Consequently, if the legislation helps the employee and the employer establish a harmonious relationship, most problems will be solved automatically. Nor will active state intervention be needed. This will be a way to establish a culture of modern labor relations.

**What is the main achievement of the renewed legislation? In what specific areas will these changes improve labor culture?**

*THE ASSOCIATION AGREEMENT HELPS US CREATE A LEGAL FRAMEWORK, NOT EXACTLY IN LINE WITH THE EU STANDARD, BUT IN LINE WITH THE ASSOCIATION AGREEMENT STANDARD*

*ასოცირების ხელშეკრულება გვეხმარება შევქმნათ საკანონმდებლო ბაზა, არა ევროკავშირის სტანდარტთან გათანაბრებული, არამედ ასოცირების სტანდარტთან თანხვედრაში მოყვანილი*

დისკრიმინაცია ხშირად უხილავია. შესაბამისად, დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის გაძლიერებული მექანიზმები ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რადგან ფართოდ და საინტერესოდ აყალიბებს დისკრიმინაციის ცნებას. სამუშაო დროის რეგულირების კუთხით, გარკვეული სტანდარტები გაჩნდა – მაგალითად, დასვენება, რაც აქამდე იყო შესვენება.

ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, შრომითი ურთიერთობების, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის თანამშრომლობა – კონსულტაციაა, რომელიც ცალსახად ჯანსაღი შრომითი ურთიერთობების სტრუქტურის ჩამოყალიბების განმაპირობებელი იქნება. დამსაქმებელს ექნება ვალდებულება მოუსმინოს დასაქმებულს და აირჩიოს დასაქმებულთა წარმომადგენელი. კონფლიქტის ან საჭიროების შემთხვევაში, დასაქმებულს ეცოდინება თუ რა სტრატეგია აქვს კომპანიას და თავის მოთხოვნებს სწორედ ამ სტრატეგიიდან გამომდინარე შეიმუშავებს. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შედგება შეთანხმება. საერთო გადაწყვეტილება, ორივე მხარის ჩართულობით იქნება მიღწეული. ეს მეთოდი ევროპაში აპრობირებულია. მაგალითად, გერმანიაში, ყველა დიდ კომპანიას, მმართველ საბჭოში დასაქმებულთა წარმომადგენელი ჰყავს. ჩვენს კანონში ეს კომპონენტი არის და ვფიქრობ სწორედ ამ ნაწილის აღსრულება მოგვეხმარება ავიცილოთ დაპირისპირებები, რაც არც დასაქმებულისთვის, არც კომპანიისთვის და არც ქვეყნისთვის კარგი არ არის.

სტაჟირების მექანიზმიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. სტაჟიორებზე გავრცელდება ყველა შრომითი უფლება, რაც თვისობრივად და შინაარსობრივად შეიძლება მათ ეხებოდეს. კომპანია ვალდებული იქნება წინასწარი წერილობითი შეთანხმება შეადგინოს, რის მიხედვითაც განისაზღვრება თუ რა საქმიანობისთვის სჭირდება სტაჟიორი, რათა სამსახურეობრივი პასუხისმგებლობების არევა და სტაჟიორის, როგორც უფასო მუშა-ხელის გამოყენება არ მოხდეს. აკრძალული იქნება სტაჟიორის გამოყენება ისეთ პოზიციაზე, რომელზეც კომპანიას ხელფასიანი შტატი ჰყავს.

Discrimination is often invisible. Consequently, enhanced mechanisms to combat discrimination are a meaningful achievement as they broadly formulate the notion of discrimination. In terms of regulating working hours, certain standards have emerged - for example, the concept of leisure, which until now was classified as a "break."

One of the main components is labor relations, the cooperation between the employee and the employer - consultation processes, which will uniquely determine the structure of a healthy labor relationship. The employer will have an obligation to listen to the employee and elect an employee representative. In case of a conflict, the employee will know what strategy the company has and develop their requirements based on that strategy. An agreement will be set up between the employee and the employer. A solution will be found with the involvement of both parties. This method has been tested in Europe. In Germany, for example, every large company has an employee representative on its board of directors. This component is vivid in our law, and I think its implementation will help us avoid controversies that are no good for the employee, the company, and the country.



იმისთვის, რომ ეს კანონი არ დარჩეს უბრალოდ კანონად და იყოს რეალურად აღსრულებადი, ჩვენ გვაქვს მკაფიოდ აღწერილი სანქცირების მექანიზმები და დარღვევებიდან გამომდინარე დიფერენცირებული სანქციების მოქნილი სისტემა. ეს ყველაფერი საჯარო სექტორზეც გავრცელდება. იარსებებს აღსრულების მაკონტროლებელი ინსპექციის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ძალიან ძლიერია მანდატით და უფლებებით, მაგრამ არ არის ძლიერი რაოდენობით. განსაზღვრული იქნება დაახლოებით 100-150 ადამიანი. მათ ექნებათ უფლება ნებისმიერ დროს შეამოწმონ ნებისმიერი კომპანია. კომპანია, ნებისმიერ დროს, მზად უნდა იყოს მონიტორინგისთვის. ისინი მხოლოდ გეგმიური შემოწმებისთვის არ უნდა ემზადებოდნენ. ეს არის შრომის ინსპექციის მთავარი პრევენციული ინსტრუმენტი – მისი სიძლიერე, დამოუკიდებლობა და მოულოდნელობის ეფექტი.

**როგორც ვიცით ამ პროექტზე მუშაობა წელიწადნახევარი მიდიოდა. პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციებიც იყვნენ ჩართული. კონკრეტულად რა მექანიზმებით უზრუნველყოფს ეს კანონმდებლობა, საქართველოს შრომის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან ადაპტირებას და შრომითი კულტურის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას?**

აქ არის ძირითადი საკითხები, რაზეც ჩვენ უნდა ვისაუბროთ, რომლებიც გამომდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებიდან, DCFTA შეთანხმებიდან – საუბარია ვალდებულებებზე, რომლებიც საქართველომ აიღო. ამ ვალდებულებებთან დაკავშირებით არსებობს ევროპული დირექტივები, რომლებიც ძირითად ჩარჩოებს გვთავაზობს დასაწესებელ სტანდარტებზე.

The internship mechanism is no less important. Interns will be granted all labor rights that may qualitatively and substantively apply to them. The company will be required to draw up a written agreement to determine what activities the intern is needed for, to avoid confusion in terms of job responsibility, and not to use the intern as a freelancer. It will be forbidden to use an intern in a position where the company has paid staff.

For this law not to remain merely a law and to be actually enforceable, we have clearly described sanctioning mechanisms and a flexible system. These will apply to the public sector as well. There will be institutional mechanisms for enforcement control inspections, that are very strong in terms of mandate and rights, but not large in numbers. Approximately 100-150 people will be identified. They will have the right to inspect any company at any time. Companies must be ready for monitoring at any time, and should not only prepare for a planned inspection. The main point of a preventive labor inspection tool is its strength, independence, and element of surprise.

**As we know, the work on this project took a year and a half. International organizations were also involved in the process. What specific mechanisms does this legislation ensure in adapting Georgian labor law to European legislation and international labor standards?**

There are key issues we need to address that stem from the DCFTA Agreement in terms of the commitments that Georgia has made. There are European directives regarding these obligations, which offer basic frameworks on the standards that need to be set. In some respects, we have already gotten close to setting these standards, and in other respects, we are lagging behind. One such issue is overtime. I cannot say that we have fully complied with the EU's directive in this regard.

*ერთ-ერთი მთავარი აქტორი, რომელსაც აშშ და ევროკავშირი ეყრდნობა, არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციები. ჩვენ შემთხვევაშიც, მათი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები სრულად იყვნენ პროცესში ჩართულნი*

**ONE OF THE MAIN ACTORS THAT BOTH THE US AND THE EU RELY ON IS THE INTERNATIONAL LABOR ORGANIZATION AND ITS RECOMMENDATIONS. INTERNATIONAL AND LOCAL EXPERTS OF THIS ORGANIZATION WERE FULLY INVOLVED IN THE WORK ON LEGISLATIVE PROCESSES**

გარკვეულ საკითხებში, ჩვენ უკვე დავუახლოვდით ამ სტანდარტებს – რაღაც საკითხებში ჩამორჩენა გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ზეგანაკვეთური მუშაობა. ვერ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით ბოლომდე შევასრულეთ ევროკავშირის დირექტივა. ამ დირექტივის მიხედვით, უნდა არსებობდეს ზედა ზღვარი, რითაც განისაზღვრება ადამიანის მიერ კვირაში შესრულებული სამუშაო საათები. სტანდარტის მიხედვით, ეს არის 48 საათი, 40 + 8 საათი (ზეგანაკვეთური). ამის დადგენა საქართველოში ამ ეტაპზე შეუძლებელია. რთულია ბიზნესის მხრიდან ამ საკითხზე მხარდაჭერის მოპოვება. რთულია დასაქმებულების მხარდაჭერის მოპოვებაც, რომელიც 48 საათზე გაცილებით მეტს მუშაობს, იმისთვის რომ თავისი სამყოფი ხელფასი გამოიმუშაოს.

ასოცირების ხელშეკრულება გვეხმარება შევქმნათ საკანონმდებლო ბაზა, არა ევროკავშირის სტანდარტთან გათანაბრებული, არამედ ასოცირების სტანდარტთან თანხვედრაში მოყვანილი. ეს არის გზა ევროპული სამართლებრივი სისტემისკენ.

ასევე უნდა აღვნიშნო აშშ-სთან ვაჭრობის არსებული რეჟიმი, განზოგადებული პრეფერენციების სისტემა, თავისუფალი ვაჭრობის წინაპირობა, რომელიც ასევე ითხოვს გარკვეული შრომითი უფლებებისა და სტანდარტების დაწესებას. ინტენსიური კომუნიკაცია გვქონდა აშშ-ის სტუქტურებთან, რათა ჩვენი კანონმდებლობა ყოფილიყო მათ სტანდარტებთან ადაპტირებული.

ერთ-ერთი მთავარი აქტორი, რომელსაც აშშ და ევროკავშირი ეყრდნობა, არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციები.

According to this directive, there should be an upper limit on the number of hours a person works per week. By standard, this is 48 hours, 40 + 8 hours (overtime.) At this stage, it is impossible to determine this in Georgia , as it is difficult to get business support on this issue. It is also difficult to get support from an employee, who works much more than 48 hours, to earn a living wage.

The Association Agreement helps us create a legal framework, not exactly in line with the EU standard, but in line with the Association Agreement Standard. This is the way to the European legal system.

I should also mention the current trade structure with the US, the system of generalized preferences, and the precondition of free trade, which also requires establishing certain labor rights and standards. We had intense communications with US structures to bring our legislation in line with their standards.

One of the main actors that both the US and the EU rely on is the International Labor Organization and its recommendations. International and local experts of this organization were fully involved in the work on legislative processes.

**What additional problems did the pandemic cause? Is the severity of these problems identifiable? What can human rights defenders and business organizations, and government agencies, do to alleviate labor problems caused by the pandemic crisis?**

The first socio-economic effect of the pandemic is a sharp rise in unemployment. Many sectors in Georgia have been affected, especially tourism and services.

*პოლიტიკის სწორად წარმართვა და ბაზარზე ორიენტირებული დასაქმების პოლიტიკის განხორციელება ეკონომიკური პრობლემის გადალახვაში დაგვეხმარება*

**THE RIGHT POLICY AND MARKET-ORIENTED EMPLOYMENT POLICY WILL HELP US OVERCOME ECONOMIC PROBLEMS**



ჩვენ შემთხვევაშიც, მათი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები სრულად იყვნენ პროცესში ჩართულნი.

**რა დამატებითი პრობლემები გააჩინა პანდემიამ? არის თუ არა იდენტიფიცირებადი ამ პრობლემების სიმწვავე? რა უნდა გააკეთონ როგორც უფლებადამცველებმა, ისე ბიზნეს ორგანიზაციებმა და სახელმწიფო უწყებებმა იმისთვის, რომ პანდემიის კრიზისისგან გამოწვეული შრომითი ურთიერთობების პრობლემები აღმოიფხვრას?**

პანდემიის პირველი ეკონომიკურ-სოციალური ეფექტი უმუშევრობის მკვეთრი ზრდაა. საქართველოში მრავალი სექტორი დაზარალდა, განსაკუთრებით ტურიზმი და მომსახურეობის სფეროები. რა თქმა უნდა, შრომის კოდექსი ამ გამოწვევაზე პასუხი არ არის, თუმცა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იზრდება უმუშევრობა, შრომითი უფლებების დარღვევის ტენდენცია არის მზარდი. როცა გვაქვს გაზრდილი უმუშევრობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფრო მიზანმიმართული იყოს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმებულების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

ბიზნესსა და სახელმწიფოს უნდა ჰქონდეთ ხედვა, თუ როგორ შევქმნათ სამუშაო ადგილები კრიზისის დროს და როგორ მოვახდინოთ ეკონომიკური სექტორების დივერსიფიკაცია. გამოჩნდა, რომ მარტო ტურიზმზე გაკეთებული აქცენტებით დიდი რისკის ქვეშ ვდგებით. ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს არა უმუშევრობის სუბსიდირება, არამედ სამუშაო ადგილების შექმნის სუბსიდირება, ეს უფრო გონივრული და ეკონომიკურად გამართლებული ნაბიჯია. ამ შემთხევაში, პოლიტიკის სწორად წარმართვა და ბაზარზე ორიენტირებული დასაქმების პოლიტიკის განხორციელება ეკონომიკური პრობლემის გადალახვაში დაგვეხმარება. კანონმდებლობა კი დაგვეხმარება ამ რთულ პერიოდში ის დასაქმებულები დავიცვათ, რომლებსაც სექტორიდან გამომდინარე სამსახური შეუნარჩუნდათ.

სახელმწიფოს ამოცანა არის ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა. ამ სტანდარტების დაცვა არის სახელმწიფოს ფუნქცია. ეს არ არის ულტრამემარცხენე დამოკიდებულება. ეს არის ნამდვილი ევროპული იდეა.

The Labor Code is not the answer to this challenge; however, the tendency to violate labor rights is growing, especially when unemployment is rising. Therefore, having a more targeted state policy regarding protecting employees' rights in the event of increased unemployment is imperative.

Businesses and the state must have a vision of creating jobs and diversifying economic sectors in times of crisis. It turns out that putting an emphasis on tourism alone, puts us at a greater economic risk. In some cases, the state should subsidize job creation, not unemployment; this is a more reasonable and economically justified step. In this case, the right policy and market-oriented employment policy will help us overcome economic problems. The legislation will help us protect those employees who have retained their jobs in times of crisis.

The duty of the state is to create decent jobs. The purpose of the state is the adherence to the aforementioned standards. This is not an ultra-leftist approach, it is simply, a true European idea.

*THE DUTY OF THE STATE IS TO CREATE DECENT JOBS. THIS IS NOT AN ULTRA-LEFTIST APPROACH, IT IS SIMPLY, A TRUE EUROPEAN IDEA*

*სახელმწიფოს ამოცანა არის ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა. ეს არ არის ულტრამემარცხენე დამოკიდებულება. ეს არის ნამდვილი ევროპული იდეა*

# პასუხისმგებლიანი ბიზნესი ღირსეული შრომითი პირობების შესაქმნელად

# RESPONSIBLE BUSINESS FOR DECENT WORK CONDITIONS

**სოფო ხუჭუა**

*შრომითი ურთიერთობების კონსულტანტი, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი*

**SOPHO KHUCHUA**

*LABOUR RIGHTS CONSULTANT, GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA*

კორპორაციული პასუხისმგებლობა ნიშნავს ბიზნესის პასუხისმგებლიან ქმედებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. კორპორაციული პასუხისმგებლობის განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება კი, სწორედ ღირსეული შრომითი პირობების შექმნას ემსახურება.

CORPORATE RESPONSIBILITY IS ABOUT THE IMPACT THAT RESPONSIBLE BUSINESS PRACTICES HAVE ON THE SOCIETY. ONE OF THE KEY ASPECTS OF CORPORATE RESPONSIBILITY IS THE CREATION OF DECENT WORKING CONDITIONS.

2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლის მიზანიც დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების მნიშვნელოვნად გაჯანსაღება, საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და პარტნიორების მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება იყო.

რედაქტირებულ შრომის კოდექსში აღსანიშნავია რამდენიმე განსაკუთრებული, პოზიტიური ცვლილება, როგორიცაა:

**დისკრიმინაცია** – გაფართოვდა დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი და დისკრიმინაციის გავრცელების ფარგლები. განისაზღვრა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის განმარტება. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას (შ.კ თავი მე-2 -შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა).

სახალხო დამცველის აპარატს, 2019 წელს წარმოებაში ჰქონდა დისკრიმინაციის 155 ახალი შემთხვევა, რომელთაგან 13 შემთხვევაში სახალხო დამცველმა წარმოება საკუთარი ინიციატივით დაიწყო. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი ცხადყოფს, რომ აუცილებელია ბიზნესის მხრიდან ყურადღება გამახვილდეს დისკრიმინაციის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე და ხელი შეუწყონ ღირსეული სამუშაო პირობების შექმნას, რაც ნიშნავს დისკრიმინაციისა და შევიწროვებისგან თავისუფალ სამუშაო გარემოს, როდესაც თითოეული დასაქმებული სარგებლობს თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით.

**თანაბარი ანაზღაურება** – დადგინდა ქალისა და კაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი (შ.კ მე-4 მუხლი). 2020 წლის პირველი კვარტლის საქსტატის მონაცემებით საქართველოში ქალის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 960 ლარს, მამაკაცთა – 1423 ლარს.

On September 29th, 2020, Georgian Parliament approved changes to the Labor Code, which aims to improve the rights of employers and employees, comply with international standards, and consider the recommendations and obligations of the partners.

In the updated Labor Code there are some significantly positive changes that are worth mentioning:

**Discrimination** - The types and scope of discrimination has been expanded. The definition of direct and indirect discrimination has also been added. Violation of the prohibition of discrimination will result in a warning or a fine. (L.C. II Chapter - Prohibition of Labor Discrimination)

In 2019, the Public Defender's Office reviewed 155 cases of discrimination, and initiated proceedings on 13 of them. Such a statistic highlights the fact that businesses need to pay careful attention to the challenge of discrimination and create decent work conditions. Meaning, they need to ensure that their workplace is free of discrimination and harassment, and where each employee is given equal rights and opportunities.



*ACCORDING TO THE INTERNATIONAL LABOR ORGANIZATION (ILO) STANDARDS, THERE ARE SEVERAL STEPS THAT BUSINESSES CAN TAKE TO BECOME RESPONSIBLE EMPLOYERS*

*შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემუშავებული სტანდარტების მიხედვით, განსაზღვრულია თუ რომელი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა შესაძლებელი, რომ ვიყოთ პასუხისმგებლიანი დამსაქმებელი*



**კონსულტაცია სამუშაო ადგილზე** – დარეგულირდა კონსულტაციების გამართვა. დამსაქმებელი ვალდებულია, ხელი შეუწყოს დასაქმებულთან კონსულტაციების გამართვას. დადგინდა ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციების გამართვის ვადები და პროცედურები. თანამშრომლის დათხოვნამდე დამსაქმებელი ვალდებულია აწარმოოს კონსულტაციები დასაქმებულებთან, დასაქმებულებს მისცეს საკუთარი კონსტრუქციული წინადადებების წარმოდგენის შესაძლებლობა (შ.კ თავი მე-15). აღნიშნული ჩანაწერი, კერძოდ კი დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის თანამშრომლობა, ორგანიზაციის მართვაში დასაქმებულის ან მათი წარმომადგენლის ჩართულობა, ორგანიზაციის წარმატებას უზრუნველყოფს.

**ზეგანაკვეთური ანაზღაურება** – დამსაქმებელი ვალდებულია აღრიცხოს სამუშაო დრო. ზეგანაკვეთური სამუშაო დასაშვებია მხოლოდ დასაქმებულის თანხმობით და წინასწარი შეთანხმებით. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით (შ.კ მუხლი 72-ე). მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებში შემცირდეს ზეგანაკვეთური შრომა და იგი დაშვებული იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

**Equal Pay** - The principle of providing men and women equal pay for equal work has been established (Article 4.) According to the first quarterly report of GeoStat, an average monthly salary for a woman in Georgia is 960 GEL, while for a man it is 1,423 GEL.

**Consultations at Workplace** - The process of holding consultations has been regulated. The employer is obligated to encourage consultations with employees. The dates and procedures of workplace consultations have been determined. Before the dismissal, an employer is required to organize consultations with employees and give them an opportunity to submit their constructive proposals (Chapter 15.) The mentioned update, more specifically the collaboration between the employer and the employee, and employees' involvement in the management of the company, is a guarantee for the success of the organization.

**Overtime Compensation** - The employer is required to register working time. Overtime work is only allowed with an employee's consent and prior agreement. Overtime work will be compensated with an increased amount of the hourly rate of remuneration (Article 72.) It's crucial that overtime work is decreased at companies and is performed only in exceptional cases.

*THE TYPES AND SCOPE OF DISCRIMINATION HAS BEEN EXPANDED. THE DEFINITION OF DIRECT AND INDIRECT DISCRIMINATION HAS ALSO BEEN ADDED*

*გაფართოვდა დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი და დისკრიმინაციის გავრცელების ფარგლები. განისაზღვრა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის განმარტება*

**სტაჟირება** –სტაჟიორი ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, ასრულებს გარკვეულ სამუშაოს იმისათვის, რომ აიმაღლოს კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა. შეიძინოს პროფესიული ან პრაქტიკული უნარები. დამსაქმებელს ეკრძალება სტაჟიორის შრომის გამოყენება იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს შრომითი ხელშეკრულების დადებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტაჟიორი არ ანაცვლებს დასაქმებულს. დამსაქმებელს არ აქვს უფლება, აიყვანოს სტაჟიორი იმ დასაქმებულის ნაცვლად, რომელთანაც შრომითი ურთიერთობა შეჩერდა ან/და შეწყდა. ანაზღაურების გარეშე სტაჟირება არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა – 1 წელს (შ.კ მუხლი – 18).

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოში შრომითი უფლებების მიმართულებით კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებას და კიდევ უფრო პასუხისმგებლიანი დამსაქმებელის ფორმირებას.

და მაინც, რას ნიშნავს პასუხისმგებლიანი დამსაქმებელი?! პასუხისმგებლიანი დამსაქმებელი ცდილობს თანამშრომლებზე პოზიტიური ზეგავლენის გაზრდას და უარყოფითი ზეგავლენის მინიმიზაციას. დასაქმებულთა უფლებების კონტექსტში ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებლიანი ბიზნესი პატივს სცემს საკუთარი თანამშრომლების შრომით უფლებებს, მონაწილეობს კონსტრუქციულ დიალოგში და ქმნის დასაქმებულთა პრობლემებზე რეაგირების სისტემას. პასუხისმგებლიანი ბიზნესი, ასევე იყენებს ყველა ბერკეტს ბიზნეს-პარტნიორების ანალოგიური ქცევის წასახალისებლად.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემუშავებული სტანდარტების მიხედვით, განსაზღვრულია თუ რომელი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა შესაძლებელი, რომ ვიყოთ პასუხისმგებლიანი დამსაქმებელი. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

**შრომის უსაფრთხოება და ჯანდაცვა** – უნდა შევძლოთ და უზრუნველვყოთ უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო ყველა თანამშრომლისთვის.

**ანაზღაურება** – აუცილებელია განვსაზღვროთ, რამდენი უნდა გადაუხადოთ თანამშრომლებს, რათა უზრუნველვყოთ მათი ღირსეული ცხოვრება.



**Internship** - An intern is doing a specific job, with or without compensation, in order to increase qualifications and professional knowledge, as well as acquire professional and practical skills. The employer is not allowed to use an intern's work to avoid concluding an employment contract. It's also important to note that an intern does not replace an employee. The employer is not allowed to hire an intern in the place of a dismissed employee. Non-compensated internships should not exceed 6 months, while compensated internships should not last more than a year (Article 18.)

The changes mentioned above will contribute to the advancement of corporate culture in labor rights and the formation of more responsible employers.

But still, what does a responsible employer mean?! A responsible employer tries to increase the positive impact and reduce the negative influence on employees. In the context of employee rights, this means that a responsible business respects the labor rights of workers, participates in constructive dialogs, and implements a response system to address employee problems. A responsible business also uses every tool to encourage similar behaviors among partner companies.

According to the International Labor Organization (ILO) standards, there are several steps that businesses can take to become responsible employers. This may include the following key aspects:

**სამუშაო დროის ხანგრძლივობა** – ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სწორად შევარჩიოთ სამუშაო საათების მაქსიმალური ზღვარი, რათა დასაქმებულებმა შეძლონ დღის განმავლობაში სამუშაოს შესრულება ისე, რომ იყვნენ ჯანმრთელი და პროდუქტიულები.

**იძულებითი შრომა** – შრომა უნდა იყოს თავისუფალი არჩევანი და დასაქმებულებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ სამუშაოს მიტოვება.

**დისკრიმინაცია** – მნიშვნელოვანია შევიმუშაოთ და ყველა თანამშრომელს გავაცნოთ ეთიკის კოდექსი, რომელიც აკრძალავს დასაქმებულების დისკრიმინაციას მათი ასაკის, სქესის, რელიგიის, კანის ფერის, პოლიტიკური კუთვნილების ან რაიმე სხვა პირადი მახასიათებლის გამო.

**შევიწროება** – უნდა უზრუნველვყოთ, რომ დასაქმებულები სამუშაოს შესრულების ადგილას არ გახდნენ რაიმე სახის შევიწროების, მათ შორის სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი.

**საჩივრები** – საჭიროა შევიმუშაოთ საჩივრების მექანიზმები, რათა დასაქმებულებს შეეძლოთ საჩივრის წარდგენა და მათ წინაშე არსებული გამოწვევების სწრაფი, სამართლიანი რეაგირება.

ჩამოთვლილი საკითხები არის ის მინიმალური შრომითი სტანდარტები, რომლის დანერგვა და განხორციელება ბიზნესს შეუძლია, თუ ის არის პასუხისმგებლიანი დამსაქმებელი. აღსანიშნავია არაერთი საერთაშორისო კვლევა, რომლის თანახმად დადგინდა, რომ ის კომპანიები, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ თანამშრომელთა პროდუქტიულობის გაზრდაზე, გაცილებით მდგრადი და სანდოა, ასევე ისინი განსაკუთრებული, მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ საზოგადოებაში. ამიტომ, ბიზნესის განვითარება და წარმატება, თანამშრომლების უფლებების დაცვით უნდა დავიწყოთ, რადგან ყოველდღიურ საქმიანობაში პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის უნარ-ჩვევების დანერგვით, ბიზნესი ამკვიდრებს შრომითი უფლებების იმ მაღალ სტანდარტებს, რომლებიც სამომავლოდ კომპანიის სავიზიტო ბარათად იქცევა.

*დადგინდა ქალისა და კაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი (შ.კ მე-4 მუხლი)*

**THE PRINCIPLE OF PROVIDING MEN AND WOMEN EQUAL PAY FOR EQUAL WORK HAS BEEN ESTABLISHED (ARTICLE 4.)**

**Occupational Safety and Healthcare** - We should be able to provide a safe and healthy work environment for all employees.

**Compensation** - We should determine that the compensation of our employees guarantees a dignified life.

**The Duration of Work Time** - In this case, it is crucial to determine the maximum time of work, so that employees can do their job, while staying healthy and productive.

**Forced Labor** – Labor should be free will and employees should be able to leave their job easily.

**Discrimination** - It is important to implement and introduce a Code of Ethics, which prohibits discrimination of employees based on their age, sex, religion, race, political affiliation or any other personal characteristics.

**Harassment** – We should guarantee that employees do not experience any type of harassment at the workplace, including sexual harassment.

**Complaint** - It's crucial to create a compliance mechanism, so that workers can make complaints and get a fast and fair response to them.

The topics mentioned above are those minimal labor standards that businesses should implement if they are responsible employers. There are a number of international reports suggesting that companies that take care of their workers are more reliable, sustainable, and have a better reputation in society. Therefore, the development and success of businesses starts with the protection of labor rights, because by implementing responsible business strategies in their everyday work, companies establish the highest quality of labor standards that will later contribute to their reputation.

# განათლების განვითარების ახალი საფეხური

# A NEW STAGE IN EDUCATIONAL DEVELOPMENT



დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მთავარი მისიაა. სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების მექანიზმებზე - უნივერსიტეტის რექტორი - დავით ჩერქეზიშვილი საუბრობს.

CREATING AN EDUCATIONAL ENVIRONMENT FOCUSED ON THE IDEALS OF DEMOCRACY AND HUMANISM, AS WELL AS GEORGIAN, AND WORLD CULTURAL VALUES, IS THE MAIN MISSION FOR THE EAST EUROPEAN UNIVERSITY. DAVIT CHERKEZISHVILI, RECTOR OF THE UNIVERSITY TALKS ABOUT THE TEACHING MECHANISMS ORIENTED ON STUDENT EMPLOYMENT AND PROFESSIONAL DEVELOPMENT OF ACADEMIC STAFF.

**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 2013 წლიდან ოპერირებს საქართველოში. რა გამოარჩევს მას სხვა აკადემიური დაწესებულებებისგან და ამ ხნის განმავლობაში რა მიღწევა იყო უნივერსიტეტის მთავარი მიღწევები?**

სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა პირველია, სხვა ისეთ პრიორიტეტებს შორის როგორიცაა სტუდენტთა დასაქმება და ამით მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (EEU) სწავლება მიმდინარეობს უმაღლესი განათლების სამ საფეხურზე: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, ხოლო კვლევების ძირითადი მიმართულება გამოყენებითი მეცნიერებებია. ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, რაზეც უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობს - საერთაშორისო მიმართულებაა. ჩვენი მიზანი თავიდანვე იყო მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაწყებულიყო უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის პროცესი. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო საერთაშორისო უნივერსიტეტებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, ჩვენი პროგრამების განხორციელების პროცესში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ უცხოელ პედაგოგებს და ამავე დროს, აკადემიურ პერსონალს ჰქონოდა შესაძლებლობა ესარგებლა მობილობით ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებში. ამ მიზანს გარკვეულწილად უკვე მივაღწიეთ ჩვენი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტისა და ორგანიზაციის მხარდაჭერით. ამჟამად არაერთი პროგრამა გვაქვს, სადაც სალექციო კურსებს უცხოელი ლექტორები ახორციელებენ, არაერთმა სტუდენტმა ისარგებლა გაცვლითი პროგრამით ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში, რის პარალელურადაც ვუმასპინძლეთ უცხოელ სტუდენტებსაც. მიმდინარე პერიოდში უნივერსიტეტში სწავლობენ უცხოელი სტუდენტები და განხორციელდა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი. რასაკვირველია, ამ მიმართულებით განვითარების პროცესი გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს, თბილისში, უნივერსიტეტმა ახალი კამპუსის მშენებლობა დაიწყო, რომლის ძირითადი ნაწილი ფაქტობრივად დასრულებულია. კამპუსის სივრცეში თავმოყრილია რამდენიმე შენობა როგორც ძირითადი სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ასევე, კვლევითი საქმიანობისთვის, ამასთან ერთად, კამპუსი მოიცავს სარეკრეაციო და სპორტულ სივრცეებს. მნიშვნელოვანია, რომ შესყიდულია თანამედროვე აპარატურა და კამპუსი აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით.

**East European University has been operating in Georgia since 2013. What sets it apart from other academic institutions, and what have been the university's main achievements during this time?**

Continuous care to improve education quality is first, among other priorities such as employing students and improving their financial independence.

East European University (EEU) provides higher education at three levels: Undergraduate, Graduate, and Doctoral. As for the main field of research is Applied Sciences. One of the main priorities of the University, which we are working on intensively - is the international direction. From the very beginning, our goal was to facilitate the process of integrating the university into international educational spaces. Allowing students to participate in exchange programs at international universities was crucial. We aimed to allow foreign educators to participate in the implementation of our programs actively and, at the same time, allow our academic staff to take advantage of the mobility in our partner universities. To some extent, we have already achieved this goal with the support of our large number of international partner universities and organizations.

We currently have several programs that are conducted by foreign lecturers. Many students have benefited from the exchange programs in European universities. English language programs have been established. We have hosted many international students who are currently studying and working on numerous international research projects. We continue to advance this direction even further.

In 2018, we launched the construction of our new Tbilisi campus, which now has the main part already completed. There are several buildings in the campus space for both basic education and research purposes. In addition, the campus includes recreational and sports spaces. It is important that modern equipment is purchased and the campus is furnished with state-of-the-art technologies.

The administration process is carried out using modern licensed e-platforms. We use multifunctional computer programs, digital software that allow for quality management and are primarily adapted to the needs of students and academic staff. The university is a licensed partner of Microsoft. Remote learning processes and administrative activities are carried out via appropriate digital platforms.

The pandemic has once again made it clear that technology plays an important role in the development of any organization, and naturally, our university follows this path.

*OUR GOAL WAS TO FACILITATE THE PROCESS OF INTEGRATING THE UNIVERSITY INTO INTERNATIONAL EDUCATIONAL SPACES*

*ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო საერთაშორისო უნივერსიტეტებში გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა*

მხოლოდ ხარისხიანი განათლება, მიღებული ცოდნა და განვითარებული უნარები მისცემს ადამიანს საკუთარი თავის საზოგადოებაში დამკვიდრების შესაძლებლობას, ხოლო ქვეყნის განვითარება კვალიფიციური კადრების საშუალებით იქნება შესაძლებელი

**ONLY QUALITY EDUCATION, ACQUIRED KNOWLEDGE, AND DEVELOPED SKILLS WILL ENABLE A PERSON TO ESTABLISH THEMSELVES IN SOCIETY. DEVELOPMENT OF THE COUNTRY IS ONLY POSSIBLE THROUGH QUALIFIED PERSONNEL IN EACH SECTOR**

ადმინისტრირების პროცესი ხორციელდება თანამედროვე ლიცენზირებული ელ-პლატფორმების გამოყენებით, ვიყენებთ მრავალფუნქციურ კომპიუტერულ პროგრამებს, ე.წ. „ციფრულ სოფტებს“, რომლებიც პირველ რიგში ადაპტირებულია სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ხარისხიანი მართვის საჭიროებებზე. უნივერსიტეტი არის Microsoft-ის ლიცენზირებული პარტნიორი და დისტანციურ სწავლებას შესაბამისი პლატფორმით ვახორციელებთ. საერთო ჯამში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ადმინისტრირების ნაწილში ყველა მიმართულება პროგრამული უზრუნველყოფის ადმინისტრირების ქვეშ მოექცა.

პანდემიამ კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, რომ ტექნოლოგიებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ნებისმიერი ორგანიზაციის განვითარებაში და ბუნებრივია, ჩვენი უნივერსიტეტიც მკაფიოდ მიჰყვება აღნიშნულ გზას.

**ჩვენ ვსაუბრობთ არა მხოლოდ 21-ე საუკუნის გამოწვევებზე, არამედ პანდემიურ და პოსტ-პანდემიურ გამოწვევებზე. უშუალოდ რა პრობლემები შექმნა პანდემიამ?**

რომ არაფერი ვთქვათ სტრესულ ვითარებასა და ჯანმრთელობის რისკებზე, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა არ იყო მარტივი პროცესი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, აკადემიური პერსონალისთვის. დაინერგა დისტანციური სწავლების პლატფორმები. საუნივერსიტეტო დონეზე დაიხვეწა და განვითარდა სწავლებისა და კვლევების ეთიკის ნორმები, რომლებიც არეგულირებს ანონიმურობას, უფლებებსა და სხვა არაერთ საკითხს. პროგრამული უზრუნველყოფის მხრივ შეფერხება არ ყოფილა თუმცა, პრობლემად რჩება დისტანციური სწავლების მეთოდების დახვეწა, ასევე, სტუდენტებს რიგ შემთხვევებში წვდომა არ აქვთ ინტერნეტთან, კომპიუტერთან ან არ აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურული გარემო.

**ამ დროს როგორ ეხმარება უნივერსიტეტი სტუდენტს?**

ასეთი შემთხვევები, რომ იყოს რამდენიმე, ამ პრობლემის დაძლევა მარტივი იქნებოდა, მაგრამ ოდენობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ პრობლემა საკმაოდ მასშტაბურია. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტები უზრუნველყო ინტერნეტით და დროებით სარგებლობაში

**We are talking not only about the challenges of the 21st century but also about the mid-pandemic and post-pandemic challenges. What problems did the pandemic create?**

Not to mention stressful situations and health risks, switching to remote learning was not easy for students nor the academic staff. Remote learning platforms have been introduced and adapted; ethics norms have been written for the first time at the university level, including regulating anonymity, rights, and many other issues. Although newly created, there have been no software failures. However, the refinement of remote learning methods remains a problem. In some cases, students do not have access to the Internet or have the appropriate infrastructure environment.

**How does the university help the student during times of such crisis?**

If there were a few such cases, it would be easier to deal with them, but given a large number of students in need of help, unfortunately, the problem is of a massive extent. Although the university has



უნივერსიტეტი არის Microsoft-ის ლიცენზირებული პარტნიორი და დისტანციურ სწავლებას შესაბამისი პლატფორმით ვახორციელებთ

გადასცა ნოუთბუქები, უნივერსიტეტს უწევს ინდივიდუალური გეგმების შედგენა და ამ პრობლემასთან ინდივიდუალური გზით გამკლავება. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში დისტანციური სწავლება ახლა ვითარდება, პრობლემების დასაძლევად, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოებია გასაწევი.

**უნივერსიტეტი როგორც ბიზნესი სასწავლო პროცესის მიღმა, ამ მიმართულებით რა პრობლემები გააჩინა პანდემიამ?**

ჩვენი კამპუსი უნდა დასრულებულიყო სექტემბრის დასაწყისში. პანდემიის გამო, გაზაფხულზე სამუშაოების სრული პარალიზება მოხდა, შეჩერდა საერთაშორისო შესყიდვები, დაგვიანდა მასალების ჩამოტანის პროცესიც. ბუნებრივია, ეს არის ჯაჭვური რეაქცია: თუ გაჩერდა ერთი რგოლი, ჩერდება მთელი პროცესი. ასევე, ლარის გაუფასურებამ გამოიწვია მასალების გაძვირებაც, ამავე დროს, როდესაც სამშენებლო პროექტის დასრულების პერიოდი იზრდება, შესაბამისად ძვირდება პროექტიც.

**რა როლი უჭირავს თანამედროვე განათლებას მდგრადი ეკონომიკის შექმნაში და კონკრეტულად თქვენი, როგორც უნივერსიტეტის რექტორის პოზიცია რა არის ამ საკითხთან მიმართებაში? რა არის თანამედროვე ბაზრის გამოწვევები და რამდენად პასუხობენ უმაღლესი განათლების დაწესებულებები ამ გამოწვევებს?**

ჩვენი მიდგომა ამ საკითხში საკმაოდ მკაცრი და თანმიმდევრულია. ღირებულებათა სწორი სისტემის ჩამოყალიბებაში თანამედროვე განათლებას უმთავრესი როლი ენიჭება. მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა გაიაზრონ, რომ თანამედროვე წარმატებული ადამიანის თუ კომპანიის ხედვა ფართო პრიზმაში პროცესების აღქმა და საზოგადოებისთვის მეტი

**THE UNIVERSITY IS A LICENSED PARTNER OF MICROSOFT. REMOTE LEARNING PROCESSES AND ADMINISTRATIVE ACTIVITIES ARE CARRIED OUT VIA APPROPRIATE DIGITAL PLATFORMS**

provided students with internet and temporary use of laptops, the university has to make individual plans and work with each student separately. Given that remote learning practices are evolving in the country, I think considerably, vital work needs to be done to overcomethe posed problems.

**Beyond the educational process, what problems did the pandemic create for the university as a business?**

Our campus was to be completed in early September. Due to the pandemic, the works were completely paralyzed in the spring, international procurement was suspended, and bringing materials were delayed. Naturally, this is a chain reaction: if one part stops, the whole process stops. The depreciation of the GEL has also led to an increase in the cost of materials. As the construction project completion period increases, the project becomes more expensive accordingly.

**What is the role of modern education in creating a sustainable economy? What is your position as the Rector of the University concerning this issue? What are the challenges of the modern market and the extent to which higher education institutions respond to these challenges?**

Our approach to this issue is quite strict and consistent. Modern education plays a large role in establishing the right system of values. Students need to understand that a modern, successful person's vision should be to perceive processes in a broader sense and care about bringing more benefits to the society.

სარგებელის მოტანაზე ზრუნვაა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების როლი უმნიშვნელოვანესია მთავარი გამოწვევის დაძლევაში, რომელიც შექმნის უწყვეტ კავშირს სწავლებას, ბიზნესსა და მეცნიერებას შორის.

როდესაც საჭიროებებზე მორგებულ პროექტებზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული პროექტები. ეს ის მიმართულებაა, რომელიც საქართველოში დღეს საკმაოდ დაბალ დონეზე გვაქვს განვითარებული.

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური მცდელობა, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერასაც ემსახურება.*

როგორც ზემოთ აღვნიშნე, უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტს გამოყენებითი მეცნიერებები წარმოადგენს, რისთვისაც საკმაოდ დიდი ბიუჯეტი არის გამოყოფილი. შექმნილია სხვადასხვა კვლევითი ცენტრები შესაბამისი დარგების მიმართულებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია - მცირე აქსელერატორის მოდელი, რომელიც დაეხმარება დამწყებ და მოქმედ საწარმოებს მათი საქმიანობის განვითარებაში, მაგალითად, მცირე მეწარმეს, რომელსაც უჭირს გაყიდვებისა და ფინანსურ ანგარიშებში გარკვევა, საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, წარმოების დაწყება ან განვითარება. აღნიშნული კვლევითი ცენტრის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ცენტრს პირდაპირი კავშირი აქვს საერთაშორისო უნივერსიტეტების სამეცნიერო ბაზებთან, აქსელერატორებთან, დარგის სპეციალისტებთან და მათთან პარტნიორობით განხორციელდება სხვადასხვა შესაბამისი პროცესები.

*MODERN EDUCATION PLAYS A LARGE ROLE IN ESTABLISHING THE RIGHT SYSTEM OF VALUES*

*ღირებულებათა სწორი სისტემის ჩამოყალიბებაში თანამედროვე განათლებას უმთავრესი როლი ენიჭება*

ცნობილი ფაქტია, რომ თუ კვლევა არ არის ბიზნესის შემადგენელი ნაწილი, მის მდგრადობას პრობლემები აუცილებლად შეექმნება. სწორედ კვლევა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ რისკების მინიმალიზაცია მოვახდინოთ და მასზე დაფუძნებით მივაღწიოთ ბიზნესის მდგრად განვითარებას. რამდენიმე ხნის წინ ოთხმა უნივერსიტეტმა გაერთიანებული ძალებით საქართველოში შრომითი ბაზრის მსხვილმასშტაბიანი კვლევა ჩავატარეთ. გამოიკითხა 1800-ზე მეტი კომპანია/ორგანიზაცია, თბილისსა და რეგიონებში. კვლევის შედეგების თანახმად, კომპანიების დიდ რაოდენობას ვაკანსიები რჩებათ შეუვსებელი. ხოლო, შედეგების გაანალიზებამ ცხადყო, რომ ვაკანსიები ძირითადად ცხადდება ისეთ პოზიციებზე, სადაც უმაღლეს განათლებაზე საჭიროება არ აქვთ, ანუ მაღალი რგოლის პოზიციებზე ვაკანსიებს ნაკლებად აცხადებენ,

The higher education institution's role is crucial and is rooted in overcoming the main challenges that will create a continuous connection between education, business, and science.

When we talk about needs-based projects, we need to mention small and medium-sized business projects. The country's SME sector is underdeveloped.

*THE ACTIVE EFFORTS OF THE EAST EUROPEAN UNIVERSITY IN THIS REGARD SERVE TO ENCOURAGE SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESSES.*

As I mentioned above, the university research priority is applied sciences, for which a rather high budget is allocated. Various research centers in the field of relevant fields have been established. One of the most important centers is the Small Accelerator Model, which will help start-ups develop and advance,



თუმცა, მიუხედავად ამისა, ვაკანსიებში კომპანიები „ფორმალურად“ მაინც ითხოვენ უმაღლეს განათლებას. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პრობლემის მიზეზი, სწორედ კვლევის შედეგად გამოიკვეთა და ეს იყო ერთ-ერთი საკითხი აღნიშნული მასშტაბური კვლევიდან.

ნებისმიერი ბიზნესი კვლევის გარეშე ჰგავს შენობა-ნაგებობას, რომელსაც მყარი ფუნდამენტი არ აქვს და შესაბამისად, არამდგრადია.

**როგორ ფიქრობთ, რატომ უნდა აუწყონ ფეხი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ისეთი საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას, რომელიც პასუხისმგებლიანი ბიზნეს-პრაქტიკის დამკვიდრებას ეხება? საჭიროა თუ არა საგანნათლებლო დაწესებულებებს ეს პრიორიტეტი ინსტიტუციურ დონეზე ჰქონდეთ გათავისებული?**

ჩვენს მაგალითზე რომ მოგახსენოთ, პანდემიის დროს მყისიერად შევიმუშავეთ პროექტი, რომლის საშუალებითაც ასეულობით აბიტურიენტს შევთავაზეთ ინტერნეტი და ონლაინ რეჟიმში სრულიად უსასყიდლოდ ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება. პროექტში ჩართული იყო 28 პედაგოგი, ვინაიდან ჯგუფების სიმრავლემ განაპირობა პედაგოგების რაოდენობის ზრდა. მათი მომზადების პროცესი ორთვენახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის ყველაზე დიდი ღირებულება ის მადლიერების წერილებია, რომლებსაც დღესაც ვიღებთ ჩვენი ბენეფიციარებისგან. აღნიშნული პროექტი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS)

and diversify their activities. This program will be tailored to the needs of entrepreneurs who, for instance, want to learn sales and financial statements, entering the international market, starting or developing production, etc.

One of the advantages of this research center is that the center directly connects with the scientific bases of international universities, accelerators, and specialists in the field. Various relevant processes will be implemented under the framework of these partnerships. It is a well-known fact that if research is not an integral part of a business, its sustainability will inevitably become problematic. It is research that allows us to minimize risks and achieve sustainable business development. A while ago, four universities jointly conducted a large-scale study of the labor market in Georgia. More than 1800 companies/organizations were interviewed in Tbilisi and the regions.

According to the research, a large number of companies' vacancies remain unfilled. The results showed that vacancies are mostly advertised for positions where there is no need for higher education. This means that vacancies for senior positions are less advertised. However, companies still "formally" require higher education in vacancies. The cause of the cause-and-effect problem was identified as a result of the study.

Without research, any business is like a building with no solid foundation and is, therefore, unsustainable.

*ნებისმიერი ბიზნესი კვლევის გარეშე ჰგავს შენობა-ნაგებობას, რომელსაც მყარი ფუნდამენტი არ აქვს და შესაბამისად, არამდგრადია*

**WITHOUT RESEARCH, ANY BUSINESS LIKE A BUILDING WITH NO SOLID FOUNDATION AND IS, THEREFORE, UNSUSTAINABLE**

მხარდაჭერითა და პარტნიორობით განვახორციელეთ.
ვფიქრობ, კარგი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, გარემოებებით განპირობებული საჭიროებების სწრაფი იდენტიფიცირება და ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც საერთო საზოგადო საქმისთვის არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საყოველთაო სიკეთეს ემსახურება და თუ შენც გსურს, რომ იყო მისი ნაწილი, საკუთარი წვლილი აუცილებლად უნდა შეიტანო. ამ განმარტებითაც ცხადი ხდება, თუ რატომ არის ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური თვითშეგნების საკითხი, განსაკუთრებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მომავალ თაობებს უღვივებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განცდას.

**და ბოლოს, რა არის უმაღლესი განათლების მომავალი ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით ისეთ არაპროგნოზირებად პერიოდში, როგორშიც ახლა შევდივართ პანდემიით გამოწვეული ცვლილებებიდან გამომდინარე. რა იქნება მთავარი გამოწვევა?**

განათლება იყო, არის და რჩება მომავლის განვითარების მთავარ იარაღად ნებისმიერი ადამიანისთვის, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის. მხოლოდ ხარისხიანი განათლება, მიღებული ცოდნა და განვითარებული უნარები მისცემს ადამიანს საკუთარი თავის საზოგადოებაში დამკვიდრების შესაძლებლობას, ხოლო ქვეყნის განვითარება კვალიფიციური კადრების საშუალებით იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება პანდემიას, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ამ პროცესმა უდიდესი გამოწვევების და პრობლემების მიღმა შექმნა პოზიტიური გარემოებებიც, რომლებმაც განვითარების პროცესი გარკვეული მიმართულებით დააჩქარა. მაგალითად, ონლაინ სწავლების პლატფორმების განვითარება მომავალში იგეგმებოდა, რომელიც დაჩქარდა და მართვის პროცესებში ბიზნესის უწყვეტობის კუთხით აქტიურად იქნა გამოყენებული, აქამდე არ გვქონდა გამოცდილება, უკვე გამოცდილებაც მივიღეთ. ასევე, სხვადასხვა დარგებში უფრო ცხადად გამოიკვეთა სისტემური პრობლემები, რამაც დაგვავალდებულა, რომ აუცილებელია ცვლილებები და ინტენსიური მუშაობა. პანდემია ოდესღაც დასრულდება და იმედი მაქვს მალე მოხდება, მაგრამ იმ დროისათვის სხვადასხვა დარგები, ჩვენი უნარები, ცნობიერება და განვითარების დონე უფრო მაღალ საფეხურზე იქნება და ყოველივე ამას, უკეთ გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

*პანდემიამ კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, რომ ტექნოლოგიებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ნებისმიერი ორგანიზაციის განვითარებაში და ბუნებრივია, ჩვენი უნივერსიტეტიც მკაფიოდ მიჰყვება აღნიშნულ გზას*

**THE PANDEMIC HAS ONCE AGAIN MADE IT CLEAR THAT TECHNOLOGY PLAYS AN IMPORTANT ROLE IN THE DEVELOPMENT OF ANY ORGANIZATION, AND NATURALLY, OUR UNIVERSITY FOLLOWS THIS PATH**



**Why do you think other educational institutions should support implementing international standards related to establishing responsible business practices? Do educational institutions need to have this priority at the institutional level?**

Our university initiated a project that offered hundreds of students free online university admission exam preparation during the pandemic. With the support and partnership of the LEPL Education Management Information System (EMIS,) we saw 28 teachers involved in the project. As student groups grew, the number of teachers needed increased. The process of preparing them took two and a half months. To date, we receive thank you letters and other positive feedback from our beneficiaries.

This project is a good example of how important it is to quickly identify circumstantial needs and implement crucial projects for the common good.

Corporate responsibility serves the common good. If you want to be a part of it, you must make your own contribution. This explanation also clarifies why social self-awareness is so important, especially for educational institutions that should inspire students and future generations to develop a sense of civic responsibility.

**Finally, what is the future of higher education in this country, especially in such an unpredictable period full of changes caused by the pandemic. What will be the main challenges?**

Education has been, is, and remains the main tool for future development for all people, and the country. Only quality education, acquired knowledge, and developed skills will enable a person to establish themselves in society. Development of the country is only possible through qualified personnel in each sector. As for the pandemic, no matter how surprising it may be, it has created positive circumstances beyond the greatest challenges and problems, which have accelerated the development process across various fields and directions.




# კორპორაციული მდგრადობის აკადემია იწყებს პირველ პროფესიულ სასერტიფიკატო კურსს



**ლანა ჩხარტიშვილი**

*საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელი, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი*

**LANA CHKHARTISHVILI**

*Senior Manager of Educational Programs, Global Compact Network Georgia*

# CORPORATE SUSTAINABILITY ACADEMY LAUNCHES FIRST PROFESSIONAL CERTIFICATE COURSE

მართლაც, განათლება არის პირველი ნაბიჯი ცოდნის მოსაპოვებლად, კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად, საკუთარი თავის გასაძლიერებლად და იმ უნარ-ჩვევების მისაღებად, რომლებიც შეიძლება დაგჭირდეთ სამყაროს უკეთეს ადგილად ქცევისათვის.

ჩვენ, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში, ვცდილობთ შევქმნათ ხელსაყრელი გარემო ბიზნესისთვის, რათა მათ ისწავლონ, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და თანამოაზრე კომპანიებთან გახდნენ პარტნიორები მდგრადი განვითარების მიზნების საკითხებში.

> *განათლება არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ შეცვალოთ სამყარო*
>
> ***– ნელსონ მანდელა***
>
> *Education is the most powerful weapon which you can use to change the world*
>
> *– Nelson Mandela*

**ჩვენი ოჯახი:** გაეროს გლობალური შეთანხმება არის კორპორაციული მდგრადობის ყველაზე დიდი ინიციატივა მსოფლიოში, რომლის მიზანია ბიზნეს სექტორში მდგრადი და პასუხისმგებლიანი კორპორაციული სტანდარტების დამკვიდრება. გაეროს პლატფორმა დაფუძნებულია ათ პრინციპზე ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. ორგანიზაცია ინტენსიურად მუშაობს როგორც ბიზნეს სექტორთან, ასევე მთავრობასთან, მედიასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მდგრადი განვითარების დღის წესრიგში დასახული მიზნების მისაღწევად.

**ჩვენი აკადემია:** გამომდინარე იქიდან, რომ წარმოვადგენთ გაეროს ინიციატივას, ჩვენ ბიზნესს გლობალურად აღიარებულ სტანდარტებს ვუზიარებთ, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილებას ადგილობრივი მაგალითებითა და კონტექსტით ავსებს და ამდიდრებს. მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა დაიწყო პირველი პროფესიული სასერტიფიკატო კურსი კორპორაციული მდგრადობის შესახებ. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის „CS აკადემია" ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ჩვენი პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს შეიძინონ ცოდნა მდგრადი კორპორაციული მართვის შესახებ, ისწავლონ და დაამკვიდრონ კორპორაციული ბიზნეს ეთიკის სტანდარტები და ამით სარგებელი მოუტანონ ბიზნესს და საზოგადოებას ორგანიზაციებში კორპორაციული მდგრადობის პრინციპების გრძელვადიანი დანერგვის მიზნით.

INDEED, EDUCATION IS THE FIRST STEP IN GAINING KNOWLEDGE, DEVELOPING CRITICAL THINKING, EMPOWERING YOURSELF AND OBTAINING THE SKILLS NEEDED TO MAKE THIS WORLD A BETTER PLACE.

We at the Global Compact Network Georgia strive to create enabling environments for businesses to learn, share experiences and partner with other like-minded companies on Sustainable Development Goals. We facilitate multi-stakeholder partnerships that benefit both businesses and the society in which they work.

**Our Family:** The UN Global Compact is the largest corporate sustainability initiative in the world, which aims to establish sustainable and responsible corporate standards in the business sector. The platform is based on the Ten Principles in the fields of; human rights, labor, environment and anti-corruption. The organization works intensively with the business sector, as well as with the government, media, educational institutions, non-governmental and international organizations and other stakeholders to achieve the goals set out in the Sustainable Development Agenda.

> *THE UN GLOBAL COMPACT IS THE LARGEST CORPORATE SUSTAINABILITY INITIATIVE IN THE WORLD, WHICH AIMS TO ESTABLISH SUSTAINABLE AND RESPONSIBLE CORPORATE STANDARDS IN THE BUSINESS SECTOR*

> *გაეროს გლობალური შეთანხმება არის კორპორაციული მდგრადობის ყველაზე დიდი ინიციატივა მსოფლიოში, რომლის მიზანია ბიზნეს სექტორში მდგრადი და პასუხისმგებლიანი კორპორაციული სტანდარტების დამკვიდრება*



**Our Academy:** Being a UN initiative, we provide businesses with a globally recognized framework of standards that combine international experience with local touch. We are very excited to announce that Global Compact Network Georgia launched its first ever professional certificate course on Corporate Sustainability. Global Compact Network Georgia's CS Academy is open to all interested stakeholders.

Our program allows graduates to acquire knowledge in sustainable corporate management, learn ethical working standards and bring benefits to the business and society by implementing corporate sustainability principles in their organisations.

The curriculum consists of 7 different modules covering a number of topics, such as: ethical leadership, sustainable corporate governance, modern Human Resource (HR) management approaches, business integrity, anti-corruption measures, integrating social and environmental aspects into the business plan, stakeholder management and non-financial reporting. Our Academy is open to anyone who wants to grow their business by applying innovative, standards-based, and sustainable approaches to their operations. Also, to those who would like to promote responsible and sustainable business environments in Georgia.

*OUR PROGRAM ALLOWS GRADUATES TO ACQUIRE KNOWLEDGE IN SUSTAINABLE CORPORATE MANAGEMENT, LEARN ETHICAL WORKING STANDARDS AND BRING BENEFITS TO THE BUSINESS AND SOCIETY BY IMPLEMENTING CORPORATE SUSTAINABILITY PRINCIPLES IN THEIR ORGANISATIONS*

*ჩვენი პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს შეიძინონ ცოდნა მდგრადი კორპორაციული მართვის შესახებ, ისწავლონ და დაამკვიდრონ კორპორაციული ბიზნეს ეთიკის სტანდარტები და ამით სარგებელი მოუტანონ ბიზნესს და საზოგადოებას ორგანიზაციებში კორპორაციული მდგრადობის პრინციპების გრძელვადიანი დანერგვის მიზნით*

სასწავლო პროგრამა მოიცავს 7 სხვადასხვა მოდულს, რომლებიც აერთიანებს ისეთ თემებს, როგორიცაა: ეთიკური ლიდერობა, მდგრადი კორპორაციული მმართველობა, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიდგომები, ბიზნესის მდგრადობა, ანტიკორუფციული ზომები, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირება ორგანიზაციების საოპერაციო გეგმაში, დაინტერესებული მხარეების მართვა და არაფინანსური ანგარიშგება.

ჩვენი აკადემია ღიაა ყველასთვის, ვისაც სურს თავისი ბიზნესი ინოვაციურ სტანდარტებზე დაფუძნებული გახადოს და მდგრადი მიდგომების გამოყენებით განავითაროს. ასევე მათთვის, ვისაც სურს ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან და მდგრად ბიზნეს გარემოს საქართველოში.

**საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობა:** CS აკადემიის 60-საათიანი სასერტიფიკატო კურსის სასწავლო პროგრამა შემუშავდა მაღალი რანგის საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მხარდაჭერითა და დახმარებით; პოლ გარისონმა, დარტმუნდის კოლეჯის ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ყოფილმა დეკანმა და „Coca-Cola უნგრეთის" ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა, ჩაატარა 2-დღიანი ტრენინგი ადგილობრივი მაღალი დონის პროფესიონალებისთვის, რომლებიც მუშაობენ მენეჯერულ პოზიციებზე სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციაში. აკადემიის სასწავლო გეგმა და სასწავლო მასალები ადგილობრივ ტრენერებს TOT–ის (ტრენერების ტრენინგის) საშუალებით გადაეცათ. საქართველოში მდგრადი პრაქტიკის ეფექტურად ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია ბიზნესმენების, აღმასრულებელი დირექტორების, ლიდერების და სფეროში მომუშავე პროფესიონალების მოძიება და ჩართვა.

**International and Local Expert Involvement:** CS Academy's 60-hour certificate course curriculum was developed with the support and full-time assistance of high-level international and local experts; Mr. Paul Garrison, Professor of Tuck School of Business, Dartmouth College, former Dean of Business Faculty of Central European University, and the former CEO of Coca-Cola Hungary conducted 2 full day training courses for local high level professionals operating on management positions in different business entities. Therefore the curriculum, as well as training materials were transferred to high level local trainers through a TOT. In order to effectively promote sustainable practices in Georgia, it is important to find and engage practitioner business people, CEO's, leaders and subject professionals operating in the field. Each module contains modern - up to date information, latest theories and case studies envisaging local and international examples from world's largest corporate initiatives, such as Harvard business review cases, OECD guidelines, IFC tools and latest materials, UN Guiding Principles on Corporate Sustainability practices.



*მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა დაიწყო პირველი პროფესიული სასერტიფიკატო კურსი კორპორაციული მდგრადობის შესახებ*

თითოეული მოდული შეიცავს თანამედროვე ინფორმაციას, უახლეს თეორიებსა და არსებული გამოცდილების შესწავლას, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივ და საერთაშორისო მაგალითებს მსოფლიოს უდიდესი კორპორაციული ინიციატივებიდან, როგორებიცაა ჰარვარდის ბიზნესის მიმოხილვა, OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპები, IFC-ის მიერ შემუშავებული თანამედროვე ინსტრუმენტები და უახლესი მასალები, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები კორპორაციული მდგრადობის პრაქტიკის შესახებ.

**რატომ კორპორაციული მდგრადობის აკადემია:** ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩვენ აქტიურად ვუწევთ პოპულარიზაციას მდგრადი განვითარების დღის წესრიგს და ბიზნეს სფეროში გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპის შესახებ ცნობიერების გაზრდას ვცდილობთ. ვეხმარებით კომპანიებს ბიზნეს გეგმებსა და ოპერაციებში მოახდინონ მდგრადობის სტანდარტების ინტეგრირება. მიუხედავად ამისა, გამოწვევები რჩება და, როგორც კვლევებმა აჩვენა, კერძო სექტორში ცოდნის ნაკლებობა და ცნობიერების ამაღლების საჭიროება კვლავ დგას.

ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ბიზნესის ჩართვა პასუხისმგებლიანი საქმიანობის პოპულარიზაციაში საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით.

**WE ARE VERY EXCITED TO ANNOUNCE THAT GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA LAUNCHED ITS FIRST EVER PROFESSIONAL CERTIFICATE COURSE ON CORPORATE SUSTAINABILITY**

**Why Corporate Sustainability Academy:** During the past couple of years, we have been actively promoting the Sustainable Development Agenda and raising awareness among the business community on UN Global Compact 10 principles and how to integrate sustainability standards in their business plans and operations; explaining paramount benefits of such smart and innovative approaches. However, challenges remain and as studies showed still there is a lack of knowledge and a need of awareness raising in the private sector.

Now, more than ever, it is important to engage the businesses to promote responsible business conduct locally in Georgia and worldwide. The global crisis of COVID-19 has shown us the importance of social welfare; therefore, it is critical to business, the government and civil society to unite our forces and stand together in order to invest in the world's sustainable future.

Holding proper **education** in this field helps companies think and behave in a way that contributes to their growth and overall success, improves employee satisfaction and creates a healthy environment in the organization. In addition, CS Education develops human personality, approaches and prepares people for life's challenges.

## CS აკადემიის 60-საათიანი სასერტიფიკატო კურსის სასწავლო პროგრამა შემუშავდა მაღალი რანგის საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მხარდაჭერითა და დახმარებით

## CS ACADEMY'S 60-HOUR CERTIFICATE COURSE CURRICULUM WAS DEVELOPED WITH THE SUPPORT AND FULL-TIME ASSISTANCE OF HIGH-LEVEL INTERNATIONAL AND LOCAL EXPERTS

COVID-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა გვაჩვენა სოციალური კეთილდღეობის მნიშვნელობა; ამიტომ, ბიზნესისთვის, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გავაერთიანოთ ძალები და ერთად ჩავდოთ ინვესტიცია მსოფლიოს მდგრად მომავალში.

ამ სფეროში სათანადო განათლების მიწოდება დაეხმარება კომპანიებს იფიქრონ და მოიქცნენ ისე, რომ ხელი შეუწყონ თავიანთ ზრდასა და წარმატებას, გააუმჯობესონ თანამშრომელთა კმაყოფილება და შექმნან ჯანსაღი სამუშაო გარემო ორგანიზაციაში.
ამას გარდა, CS განათლება ავითარებს ადამიანის პიროვნებას, მიდგომებს და ამზადებს ხალხს ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის.
საქართველოში CS განათლება მიზნად ისახავს ბიზნესში, მთავრობაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, მედიასა და ახალგაზრდობაში კორპორაციული მდგრადობის კონცეფციის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას, ასევე მდგრადი საბაზრო ეკონომიკის შექმნის გზების პოპულარიზაციას.

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა შექმნა პირველი საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც ქვეყანაში კორპორაციული მდგრადობის წარმატების საწინდარია; ყველა მონაწილე, ვინც გაივლის ჩვენს კურსს, გახდება ცვლილებების ელჩი როგორც კომპანიის შიგნით, ასევე ფართო საზოგადოებაში.

ჩვენს აკადემიაში ჩარიცხვა ორგანიზაციის მდგრად ზრდას და გრძელვადიან მომგებიანობას ნიშნავს. კორპორაციული მდგრადობის აკადემიაში პროფესიული სასერტიფიკატო კურსები ნებისმიერი დაინტერესებული განმცხადებლისთვის ღია იქნება.



**CS Education** in Georgia aims to building capacity, knowledge and awareness among principal stakeholders in: business, government, CSOs, media and youth - on the concept of corporate sustainability and its importance for the business and the community; on ways of building sustainable market economy.

Global Compact Network Georgia has established a first ever educational platform that simply is a key to success; all participants who undergo our course become Ambassadors of change inside the company, as well as in their communities.

Enrolling in our academy will most certainly translate into the organization's sustainable growth and long-term profitability. The certified courses at Corporate Sustainability Academy will be open to any interested applicant.



*ALL PARTICIPANTS WHO UNDERGO OUR COURSE BECOME AMBASSADORS OF CHANGE INSIDE THE COMPANY, AS WELL AS IN THEIR COMMUNITIES*

### ვის შეუძლია განცხადების შემოტანა:

კომპანიის წარმომადგენლები და ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც დაინტერესებულია მდგრადი ბიზნესის განვითარებით ან ხელშეწყობით;

სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ საჯარო დაწესებულებებში, რათა ხელი შეუწყონ პასუხისმგებლიან ბიზნეს საქმიანობას პოლიტიკის დონეზე;

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებსაც სურთ ისწავლონ როგორ ითანამშრომლონ ბიზნესთან მდგრადი პროექტების / საქმიანობის გარშემო;

მედიის წარმომადგენლები, რომლებიც მზად არიან ჩაერთონ ცნობიერების ასამაღლებელ საქმიანობაში CS–ის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

### WHO MAY APPLY:

Company representatives and any other Individuals interested in growing or promoting sustainable business;

Representatives of Government Institutions, who are tasked to promote responsible business conduct on the policy level;

Non-Governmental Organizations willing to learn how to partner with businesses around sustainable projects / activities;

Media representatives who are ready to engage in the awareness raising efforts of CS, thus contributing to sustainable development in the country.

*ყველა მონაწილე, ვინც გაივლის ჩვენს კურსს, გახდება ცვლილებების ელჩი როგორც კომპანიის შიგნით, ასევე ფართო საზოგადოებაში*

*სასერტიფიკატო კურსი მხარდაჭერილია შვედეთის მთავრობისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ.*

*THE COURSE WAS LAUNCHED WITH THE ASSISTANCE FROM THE SWEDISH GOVERNMENT IN PARTNERSHIP WITH THE IFC.*




# GPI HOLDING

პანდემიით გამოწვეული დაბრკოლებების დასაძლევად, „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და სრულად შეცვალა მუშაობის სტილი. ჯიპიაი იყო ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელიც პანდემიის გამოცხადებამდე ორი კვირით ადრე, მომხმარებლებისა და თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადავიდა.

## დაზღვევის სრული სერვისის ციფრული პლატფორმები

დისტანციური სერვისების განვითარება, პანდემიამდეც „ჯიპიაი ჰოლდინგის“ სტრატეგიული განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო და შეიძლება ითქვას, კომპანია ცვლილებებს მომზადებული დახვდა, თუმცა პანდემიამ პროცესები ბევრად უფრო დააჩქარა.

TO OVERCOME THE OBSTACLES CAUSED BY THE PANDEMIC, GPI HOLDING HAS TAKEN IMPORTANT STEPS AND COMPLETELY CHANGED ITS WORK STYLE. GPI WAS ONE OF THE FIRST COMPANIES TO SWITCH TO REMOTE OPERATION MODE, TWO WEEKS BEFORE THE PANDEMIC WAS ANNOUNCED, TO PROTECT THE SAFETY OF CONSUMERS AND EMPLOYEES.

## FULL SERVICE OF INSURANCE IN DIGITAL PLATFORMS

The development of remote services was the most important point of strategic development for GPI Holding before the pandemic, and it can be said that the company was prepared for the changes, but the pandemic accelerated the processes much more.

*THE COMPANY WAS NOT ONLY ABLE TO RETAIN ALL OF ITS EMPLOYEES, BUT USED THIS CHALLENGE TO DEVELOP A NEW COMPANY STRATEGY - FORWARD, TO A NEW REALITY!*

*კომპანიამ შეძლო ყველა დასაქმებულის შენარჩუნება, მეტიც, ამ გამოწვევაში, ჯიპიაის მენეჯმენტმა შესაძლებლობაც დაინახა და ახალი სტრატეგია შეიმუშავა – წინ, ახალი რეალობისკენ!*

*კომპანიამ „მადლობის ფონდი“ შექმნა სადაც ჯიპიაის კონტრიბუცია პირველ ეტაპზე 100 000 ლარი იყო, რაც სრულად ინფექციური საავადმყოფოს პერსონალის მხარდაჭერას მოხმარდა*

*THE COMPANY SET UP A “GRATITUDE FUND,” WHERE GPI'S CONTRIBUTION IN THE FIRST PHASE WAS GEL 100,000. THIS CONTRIBUTION WAS USED TO FULLY SUPPORT THE STAFF OF THE INFECTIOUS DISEASES HOSPITAL*

პანდემიის დაწყებიდან დღემდე ჯიპიაის 200 000- ზე მეტი დაზღვეული სრულ სადაზღვევო მომსახურებას ონლაინ იღებს.

დაზღვეულები დისტანციურად იღებდნენ ისეთ მომსახურებებს როგორიცაა: დაზღვევის შეძენა, პრემიის გადახდა, ექიმთან ვიზიტის დაგეგმვა, ანაზღაურების მოთხოვნა, საგარანტიო წერილი მოთხოვნა და ა.შ. მეტი უსაფრთხოებისთვის, ჯიპიაიმ თავის დაზღვეულებს პარტნიორ კლინიკა „კურაციოში“ ნებისმიერი პროფილის ექიმთან სატელეფონო კონსულტაციაზე ჩაწერის შესაძლებლობაც მისცა.

კომპანია კვლავ განაგრძობს დისტანციური სერვისების კიდევ უფრო გამარტივებას და მომხმარებელს ამ კუთხით მუდმივად სიახლეებს სთავაზობს. შემოდგომაზე აპლიკაციასა და ვებპლატფორმას დაემატა რიგი მომსახურება: მოიხსნა 500 ლარიანი ლიმიტი ონლაინ ანაზღაურებაზე და ახლა ნებისმიერი თანხის ანაზღაურებაა შესაძლებელი გაცხადებიდან ერთ დღეში, დაემატა ჰოსპიტალური და მშობიარობის სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების საშუალება, ხოლო ციფრული ანაზღაურების გამარტივების და წახალისების მიზნით, ჩაირთო ანაზღაურების მენეჯერთან ვიდეოქოლით კონტაქტის ფუნქცია.

Since the start of the pandemic, more than 200,000 GPI policyholders have been receiving full insurance online;

Insured people remotely received services such as: purchasing insurance, paying premiums, planning a visit to the doctor, requesting reimbursement, requesting a letter of guarantee, etc. For more security, GPI also allowed its policyholders to make an appointment for a telephone consultation with any profile doctor from their partner clinic “Curatio.”

The company continues to further simplify remote services and constantly provides customers with updates in this regard. In the fall, a number of services have been added to the app and web platform: the 500 GEL online payment limit has been removed and now any amount can be reimbursed within a day of announcement, hospital and maternity costs have been added, as well as to simplify and encourage digital reimbursement, the function of video call contact with the reimbursement manager has been activated.

*THE DEVELOPMENT OF REMOTE SERVICES WAS THE MOST IMPORTANT POINT OF STRATEGIC DEVELOPMENT FOR GPI HOLDING BEFORE THE PANDEMIC, AND IT CAN BE SAID THAT THE COMPANY WAS PREPARED FOR THE CHANGES*

*დისტანციური სერვისების განვითარება, პანდემიამდეც „ჯიპიაი ჰოლდინგის“ სტრატეგიული განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო და შეიძლება ითქვას, კომპანია ცვლილებებს მომზადებული დახვდა*

ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ - „ᲬᲘᲜ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ!“

კომპანიამ შეძლო ყველა დასაქმებულის შენარჩუნება, მეტიც, ამ გამოწვევაში, ჯიპიაის მენეჯმენტმა შესაძლებლობაც დაინახა და ახალი სტრატეგია შეიმუშავა – წინ, ახალი რეალობისკენ! ამ სტრატეგიის მიხედვით, კომპანია მუშაობის ე.წ. ჰიბრიდულ მოდელზე გადადის, სადაც თანამშრომელთა 70%-ზე მეტი კვლავ დისტანციურად გააგრძელებს მუშაობას. მთლიანად იცვლება მენეჯმენტი და შიდა საკომუნიკაციო სისტემები, რაც სრულად განხორციელდება კოვიდთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ.

ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲚᲝᲥᲓᲐᲣᲜᲘᲡᲐᲡ

„ჯიპიაი ჰოლდინგმა“ არაერთი ღონისძიება განახორციელა თავისი კლიენტების მხარდაჭერის მიმართულებით: პირველი ლოქდაუნის პერიოდში ავტოდაზღვევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ინდივიდუალურ მომხმარებლებს გაუნახევრდათ გადასახადი, დაწესდა საშეღავათო პერიოდი, ხოლო ტურიზმის და სხვა მოწყვლად სექტორში ჩართული მცირე და საშუალო კომპანიებთან ინდივიდუალურად ხდებოდა პირობების შეთანხმება, ჯარიმებისა და პოლისების გაუქმების თავიდან ასაცილებლად.

ᲙᲝᲕᲘᲓᲘᲡ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ

2020 წლის ნოემბრიდან კი, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, პანდემიის მართვაში დახმარება გაეწიათ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის და ჩაერთო კოვიდ-პაციენტების ბინაზე მართვის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებით პანდემიის რისკი გამონაკლისი იყო, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ საკუთარ დაზღვეულებს უფინანსებს ბინაზე ყოფნისას მკურნალობისა და კვლევების ხარჯებს. კომპანიამ გააორმაგა რესურსები გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და პროვაიდერი კლინიკების საშუალებით უზრუნველყოფს პირადი ექიმების სერვისს ყველა კოვიდ-დადასტურებული დაზღვეულისთვის.

ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ ᲛᲔᲓᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

„ჯიპიაი ჰოლდინგმა“ COVID-19-თან მებრძოლი ექიმების მხარდასაჭერად, ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალს ანაზღაურება გაუორმაგა. კომპანიამ, „მადლობის ფონდი“ შექმნა სადაც ჯიპიაის კონტრიბუცია პირველ ეტაპზე 100 000 ლარი იყო, რაც სრულად ინფექციური საავადმყოფოს პერსონალის მხარდაჭერას მოხმარდა. ექიმების მხარდასაჭერად საკუთარი სურვილით, ფონდში თანხა ჯიპიაის თანამშრომლებმაც ჩარიცხეს.

HYBRID MANAGEMENT MODEL - "FORWARD, TO A NEW REALITY!"

The company was not only able to retain all of its employees, but used this challenge to develop a new company strategy - forward, to a new reality! According to this strategy, the company moves to a hybrid model, where more than 70% of employees will still continue to work remotely. Management and internal communication systems will be completely changed, which will be fully implemented after the removal of restrictions related to COVID-19 .

THE FINANCIAL SUPPORT OF CUSTOMERS DURING LOCKDOWN

GPI Holding has taken a number of measures to support its customers: during the first lockdown period, individual customers of auto insurance and health insurance were halved in taxes, a grace period was established, end terms were agreed upon individually with small and medium-sized companies, involved in the tourism and other vulnerable sectors, to avoid the abolition of fines and policies.

INVOLVEMENT WITH THE TREATMENT OF COVID-19 AT HOME

Beginning in November 2020, the company decided to help government structures with the management of the pandemic and to be involved in the management of COVID positive patients at home. Although the risk of a pandemic with health insurance policies was an exception, due to the current situation, GPI Holding finances its policyholders for treatment and research while they are treated at home. The company has doubled its resources to meet the increased demand and through its provider clinics, provides personal doctor services for all COVID -positive policyholders.

FINANCIAL SUPPORT FOR INFECTIOUS DISEASES HOSPITAL MEDICAL STAFF

GPI Holding has doubled the salaries of medical staff at the Infectious Diseases Hospital to support doctors fighting against COVID-19. The company set up a "Gratitude Fund," where GPI's contribution in the first phase was GEL 100,000. This contribution was used to fully support the staff of the Infectious Diseases Hospital. On their own initiative , the GPI staff also donated money to the fund, in support of the doctors.



# CRYSTAL

გლობალურმა პანდემიამ ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალი“ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

კრიზისის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, კომპანიამ შეძლო თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, პროცესების მართვა და სერვისების შეუფერხებლად მიწოდება მომხმარებლებისთვის, რაც მიმართული იყო როგორც ვირუსის გავრცელების რისკების მაქსიმალურად შემცირებისკენ, ისე გუნდის წევრებისა და მომხმარებლების დაცვისკენ.

**რა გაკეთდა თანამშრომლებისთვის?**

„კრისტალმა“ სრულად შეინარჩუნა კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლები და განახორციელა შემდეგი აქტივობები მათ მხარდასაჭერად:

დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა ყველა იმ პოზიციის თანამშრომელი, რომლისთვისაც ეს შესაძლებელი იყო, ხოლო ფილიალებში დაწესდა ორკვირიანი მორიგეობები, რათა არ შეფერხდეს, მაგრამ შედარებით უსაფრთხო გახდეს მომსახურების პროცესი;

ტარდება ონლაინ ტრენინგები და სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით, რათა კომპანია სრულად მომზადებული შეხვდეს კრიზისის შემდგომი პერიოდის გამოწვევებს;

ოფისები სრულად აღიჭურვა საჭირო ინვენტარით და დღემდე სისტემატურად ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად;

შემუშავდა პანდემიის პერიოდში ოფისში გასათვალისწინებელი წესები და რეკომენდაციები, რომლის დაცვაც თანამშრომლებისთვის და მომხმარებლებისთვის გახდა სავალდებულო;

თანამშრომელთა სწორი ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა საინფორმაციო პორტალი, სადაც განთავსდა ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები და მითითებები, კომპანიის შიგნით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირების შესახებ, რომლებიც მხარდაჭერას უწევენ თანამშრომლებს;

შეიქმნა სპეციალური პლატფორმა „დამემგზავრე“, რომელიც საშუალებას აძლევს ავტომობილების მფლობელ თანამშრომლებს, გამოიჩინონ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა კოლეგების მიმართ და აარიდონ ისინი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას, სადაც დაინფიცირების რისკი გაცილებით მაღალია.

ინდივიდუალური მიდგომებით და კრისტალის მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდა დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო, რომელიც ეხმარება თანამშრომლებს პანდემიის პერიოდში მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართონ სამუშაო პროცესი.

THE GLOBAL PANDEMIC POSED NEW CHALLENGES TO THE MICROFINANCE ORGANIZATION CRYSTAL.

The company was able to switch to a remote working style immediately after the start of the pandemic, manage processes and deliver services smoothly to customers, both to minimize the risk of spreading the virus and to protect team members and customers.

**What was done for the employees?**

Crystal fully maintained their number of employees and carried out the following activities to support them:

Employees of all positions, for which this was possible, switched to remote work. Two-week shifts were established in the branches not to disrupt and make the service process relatively safe;

Online training courses were conducted in various fields to enable the company to be fully prepared for the challenges of the post-crisis period;

The offices were fully equipped with the necessary supplies, and disinfection works are carried out systematically to date as per the instructions given by the Ministry of Health;

Rules and recommendations were developed for the office, the observance of which became mandatory for staff and users;

To properly inform and raise awareness among the employees, an information portal was created, where the recommendations and instructions of the Ministry of Health are constantly updated about preventing the spread of the virus. The portal also contains information about the responsible persons within the company who should support and help the employees;

A special “Damemgzavre” (tr. Ride with me) platform was established to enable car owners to show high social responsibility towards their colleagues and avoid using public transport where the risk of infection is much higher.

According to Crystal’s work practice specificities, a remote work manual was developed to help employees manage the work process as efficiently as possible during a pandemic.

*„კრისტალმა“ გარემოსდაცვითი და სოციალურად პასუხისმგებლიანი საქმიანობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას შეუსაბამა და 17 მიზნიდან განსაზღვრა 6 მიზანი*

*CRYSTAL ALIGNED ITS ENVIRONMENTAL AND SOCIALLY RESPONSIBLE ACTIVITIES WITH 6 OF THE UN SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS*



თანამშრომელთა სწორი ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა საინფორმაციო პორტალი, სადაც განთავსდა ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები

**TO PROPERLY INFORM AND RAISE AWARENESS AMONG THE EMPLOYEES, AN INFORMATION PORTAL WAS CREATED, WHERE THE RECOMMENDATIONS AND INSTRUCTIONS OF THE MINISTRY OF HEALTH ARE CONSTANTLY UPDATED ABOUT PREVENTING THE SPREAD OF THE VIRUS**

**რა გაკეთდა მომხმარებლებისთვის?**

„კრისტალი“ ერთ-ერთი პირველი კომპანია იყო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 3-თვიანი საშეღავათო პერიოდი მიეცა ყველა მომხმარებელისთვის, რომლის ეკონომიკურ საქმიანობაზეც უარყოფითად აისახა კორონავირუსის გავრცელების საფრთხით შექმნილი მდგომარეობა.

სოციალური დისტანცირების შენარჩუნების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

საშეღავათო პერიოდის ამოქმედებასთან დაკავშირებით დაიწყო განცხადებების დისტანციურ რეჟიმში მიღება;

გაუმჯობესდა ონლაინ განვადებების არხი. მომხმარებლებს სასურველი ნივთის განვადებით შეძენა, „კრისტალის“ ონლაინ განვადების მეშვეობით სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ;

გაძლიერდა დისტანციური საკომუნიკაციო არხები: საინფორმაციო ცენტრში მომხმარებელთა ნაკადების ზრდის გათვალისწინებით, აღნიშნული მიმართულება გაძლიერდა და გადავიდა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, რათა კომპანიის მომხმარებლებს სწრაფად მიეღოთ მათთვის საჭირო ყველა ინფორმაცია.

კომპანიის საქმიანობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში სიღარიბის დაძლევა მეწარმეობის ხელშეწყობით - ფინანსური, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გზით. „კრისტალმა“ გარემოსდაცვითი და სოციალურად პასუხისმგებლიანი საქმიანობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას შეუსაბამა და 17 მიზნიდან განსაზღვრა 6 მიზანი:



**What was done for the customers?**

Crystal was one of the first companies to allow a 3-month relief period to all customers whose economic activities were negatively affected by the pandemic.

The following activities were planned and implemented to maintain social distancing:

Applications regarding the enactment of the relief period have been received remotely;

The online deferred payments channel has been improved. Customers can buy the desired item in installments through Crystal's online platform.

Remote communication channels were strengthened: given the increase in customer's in the information center, communication channels have been strengthened and moved to emergency mode to allow the company's customers to receive all the information they need quickly.

The company's main goal is to overcome poverty in Georgia by promoting entrepreneurship - through financial, social, and environmental sustainability. Crystal aligned its environmental and socially responsible activities with 6 of the UN Sustainable Development Goals.

***GOAL 1:*** *NO POVERTY*
***GOAL 4:*** *QUALITY EDUCATION*
***GOAL 5:*** *GENDER EQUALITY*
***GOAL 7:*** *AFFORDABLE AND CLEAN ENERGY*
***GOAL 8:*** *DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH*
***GOAL 10:*** *REDUCED INEQUALITY*

***SDG 1*** *- სიღარიბის აღმოფხვრა*
***SDG 4*** *- ხარისხიანი განათლება*
***SDG 5*** *- გენდერული თანასწორობა*
***SDG 7*** *- ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია*
***SDG 8*** *- ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა*
***SDG 10*** *- შემცირებული უთანასწორობა*

კომპანია ამ მიმართულებით რამდენიმე პროექტს ახორციელებს. ერთ-ერთია - ახალგაზრდების მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა USAID YES Georgia, რომელსაც წელს დაემატა ქალთა გაძლიერების კომპონენტი Buzz Georgia/ბაზ საქართველო. პროგრამის მიზანია სამეწარმეო და პიროვნული ზრდის შესახებ ცოდნა და ბიზნეს განათლება ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში მცხოვრები ქალებისთვის.

კრისტალმა პირველმა დააორგანიზა ასევე ონლაინ ჰაკათონი “YES Hackathon – Contain the Spread of COVID-19”, რომელიც პანდემიის შესაკავებლად და მისგან გამოწვეული შედეგების სოციალური და ეკონომიკური ნიშნით გასაუმჯობესებლად ჩატარდა.

კომპანიის შედეგები ცხადყოფს, რომ მდგრადობა და კორპორაციული პასუხისმგებლობა ბიზნეს საქმიანობის თანმდევი ატრიბუტია. კომპანიის მიზანია, მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული, ადამიანებზე ორიენტირებული და მონაცემებზე დაფუძნებული რეგიონული ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია იყოს. სწორედ ამიტომ, „კრისტალის“ სასურველი შედეგი 3P-ის პრინციპის მიხედვით განისაზღვრება: ადამიანები, გარემო და მოგება (People, Planet and Profit).

The company is implementing several projects in this direction. One of them is the USAID "YES Georgia" - Youth Entrepreneurship Support Program, to which the "Buzz Georgia" - Women Empowerment component was added this year. The main aim is to make knowledge, as well as entrepreneurial and personal growth accessible to women living in Georgia.

Crystal was also the first to organize the online hackathon "YES Hackathon - Contain the Spread of COVID-19," which was held to improve the social and economic consequences of the pandemic.

The company results show that sustainability and corporate responsibility are inherent attributes of the business. The company aims to be a customer-oriented and data-driven regional financial engagement organization. That is why Crystal's desired results are determined according to the principle of 3P: People, Planet, and Profit.

*A SPECIAL "DAMEMGZAVRE" (TR. RIDE WITH ME) PLATFORM WAS ESTABLISHED TO ENABLE CAR OWNERS TO SHOW HIGH SOCIAL RESPONSIBILITY TOWARDS THEIR COLLEAGUES*

*შეიქმნა სპეციალური პლატფორმა „დამემგზავრე“, რომელიც საშუალებას აძლევს ავტომობილების მფლობელ თანამშრომლებს, გამოიჩინონ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა კოლეგების მიმართ*

# ერთ ღამეში შექმნილი „ერთიანობა“

# “UNITY” BUILT IN ONE NIGHT

საქართველოში კორონავირუსით გამოწვეული კრიზისული ფაზის დაწყებისთანავე, ციფრულ სამყაროში პლატფორმა „ერთიანობა“ გამოჩნდა. პლატფორმამ, რომელმაც მოხალისეებს, კომპანიებსა და სხვა დაინტერესებულ აქტორებს 7000 ოჯახის დახმარების უნიკალური შესაძლებლობა მისცა, პანდემიით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად საჭირო რესურსების მობილიზება, უპრეცედენტოდ სწრაფად შეძლო.

პლატფორმის თანადამფუძნებლები, „აჭარა ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე – ვალერი ჩეხერია და „საქართველოს ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე – ნინო ზამბახიძე განმარტავენ თუ რა მიღწევები ჰქონდა ინიციატივას კრიზისთან გამკლავებაში და რა როლი აქვს ბიზნესისა და საზოგადოების თანამშრომლობას ქვეყნის მდგრადი განვითარების შექმნაში.

**ჩვენ ვიცით, რომ პლატფორმა „ერთიანობა“ ერთ ღამეში შეიქმნა. როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ იდეის განხორციელებას და როგორ მოახდინეთ კომპანიებისა და ჩართული მხარეების სწრაფად მობილიზება?**

**ნინო ზამბახიძე:** კოვიდთან დაკავშირებული, სწრაფად მზარდი ტენდენციების იდენტიფიცირება მალევე მოვახდინეთ. დავაკვირდით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ

THE GEORGIAN PLATFORM “ERTIANOBA” (TR. UNITY) APPEARED IN THE DIGITAL WORLD AMID A GLOBAL PANDEMIC. THE PLATFORM THAT GAVE VOLUNTEERS, COMPANIES, AND OTHER STAKEHOLDERS A UNIQUE OPPORTUNITY TO HELP 7,000 FAMILIES, MOBILIZED THE RESOURCES NEEDED TO TACKLE PANDEMIC-DRIVEN PROBLEMS UNPRECEDENTEDLY FAST.

Valeri Chekheria, Chairman of the Board of Adjara Group, and Nino Zambakhidze, Chairwoman of the Georgian Farmers' Association - the co-founders of “Ertianoba” analysis the achievements of the initiative in dealing with the crisis, as well as reflect on the role of cooperation between businesses and civil society in building sustainable development.

**What was the core purpose that brought together companies, donor organizations, diplomats, and other citizens of the country, whose collective action became a foundation for the platform “Ertianoba”?**

**Nino Zambakhidze:** We were able to identify fast-growing trends related to the pandemic quite quickly . We observed the

*აღმოჩნდა, რომ პანდემიის პერიოდში ბევრმა გააანალიზა რამდენ სოციალურად დაუცველ ადამიანს სჭირდება დახმარება*

**IT TURNS OUT THAT DURING THE PANDEMIC, MANY PEOPLE REALIZED HOW MUCH HELP VULNERA-BLE GROUPS NEED**



*SDGS VOICE ONE CENTRAL MESSAGE: LEAVE NO ONE BEHIND*

*მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლიობას აქვს ერთი მთავარი გზავნილი: არავინ დატოვოს ყურადღების მიღმა*

აქტივობებს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. ამ დაკვირვებიდან მალევე დაიწყო კარანტინი. მე, ვალერიმ და Spark-ის დირექტორმა, სანდრო კანდელაკმა, გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს – სოციალურად დაუცველებს, შშმ პირებს, მარტოხელა დედებს და 65 წელს ზევით ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებს დავეხმარებოდით.

პლატფორმაზე, ერთ ღამეში, 2000 მოხალისე დარეგისტრირდა. ჩვენი საიტი და Facebook ჯგუფი დაინტერესებულ პირებს, პროცესებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას აძლევდა. ამან გვიბიძგა, რომ პროდუქტებისა და შესაბამისი თანხების საჭიროების შესახებ ინფორმაცია, ჩვენს მეგობრებში და სოციუმში გაგვევრცელებინა. პლატფორმის აქტივობებში, დაახლოებით 25 კომპანია ჩაერთო. მხარი დაგვიჭირეს სხვა დონორებმაც, როგორიც იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „ღია საზოგადოების ფონდი“.

activities carried out by various international organizations with an emphasis on social responsibility. Quarantine began shortly after our active observation. Valeri, I, and Sandro Kandelaki, the General Manager at Business Accelerator Spark, decided to create a website to help the most vulnerable groups, including people with disabilities, single mothers, and anyone over the age of 65.

In just one night, around 2000 volunteers registered on the website . Our website and Facebook group provided opportunities for those interested in helping others. This level of interest motivated us to spread the word about the need for products and related funds to our friends and community. About 25 companies got involved. We were supported by other donors, such as Transparency International Georgia and the Open Society Foundation.



*ძალიან მნიშვნელოვანი იყო სრულიად უცხო ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც კომპანიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად გვერდით დაგვიდგნენ*

**I WANT TO POINT OUT THAT EVEN COMPLETE STRANGERS SUPPORTED AND STOOD BY US, ALONG WITH COMPANIES AND INTERNATIONAL ORGANIZATIONS**

**ვალერი ჩეხერია:** ერთგვარი გამოწვევა იყო ის, თუ როგორ უნდა მიგვეწოდებინა პროდუქცია ბენეფიციარებისთვის. სახელმწიფოს  ხელშეწყობით გადამზადდნენ ჩვენი მოხალისეები, რათა რეგიონებში პროდუქტების მიტანისას გადაადგილებაში შეფერხება არ ჰქონოდათ. ოჯახებში მივდიოდით ყველანაირი წესის დაცვით, სათანადოდ ჩაცმულები და აღჭურვილები. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სრულიად უცხო ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც კომპანიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად გვერდით დაგვიდგნენ. აღმოჩნდა, რომ პანდემიის პერიოდში ბევრმა გააანალიზა რამდენ სოციალურად დაუცველ ადამიანს სჭირდება დახმარება. იქიდან გამომდინარე, რომ არ ვიცოდით სადამდე გაგრძელდებოდა ჩაკეტილობის პერიოდი, თითოეული ადამიანის დანაზოგიდან გამეტებული 1 ლარიც კი, მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად გაწეული დიდი საქმე იყო.

**Valeri Chekheria:** Figuring out how to deliver products to the beneficiaries posed certain challenges. With the country's  support, our volunteers were trained not to have any delays in delivering the products to the multiple regions of Georgia. Properly dressed and equipped, we arrived at exact locations and helped families, while following all the necessary rules and restrictions. I want to point out that even complete strangers supported  and stood by us, along with companies and international organizations. It turns out that during the pandemic, many people realized how much help  vulnerable groups need. Since we did not know how long the quarantine would last, each Lari was a meaningful contribution.

Then the harvest season began. We realized that farmers had a hard time selling. Therefore, we contacted an online platform, www.soplidan.ge, which offers a home delivery service of farmers' products to the customers. We decided to shift our focus and



*THIS PLATFORM IS UNIQUE AS IT CONTAINS A DATABASE THAT HOLDS NECESSARY INFORMATION ABOUT PEOPLE IN NEED OF HELP*

*ეს პლატფორმა არის უნიკალური, რადგან არსებობს ბაზა, რომელიც დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებზე ინფორმაციას შეიცავს*

ამავე დროს დაიწყო მოსავლის აღების პერიოდი. მივხვდით, რომ ფერმერებს მოსავლის გასაღება უჭირდათ. დავუკავშირდით soplidan.ge-ს, რომელსაც ფერმერების პროდუქტის სახლში მიტანის სერვისი აქვს. გადავწყვიტეთ ქართველი ფერმერების მიერ მოყვანილ პროდუქტზე ორიენტირებულები ვყოფილიყავით და მათთვისაც გარკვეული დახმარება შეგვეთავაზებინა. შედეგად, ფერმერებმა კიდევ უფრო ნაკლებ ფასში შეკრეს პაკეტები და 150 000 ლარის მობილიზება 2 კვირაში მოვახერხეთ. ეს ის პერიოდი იყო, როცა კათარზისი დაიხურა, ხალხი უფასო საჭმლის გარეშე დარჩა. ხალხმა დაკარგა იმედი. ჩვენ კი შესაძლებლობა და მოლოდინი გავაჩინეთ, რომ ყველაფერი არ დამთავრებულა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა.

**ნინო ზამბახიძე:** ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობაც მნიშვნელოვანი იყო, მათ სანიტაიზერები და სხვა საჭირო აღჭურვილობა გამოგვიგზავნეს. ამ მიმართულებითაც ბევრი ადამიანი ჩაერთო. არასოდეს დამავიწყდება იაპონიის ელჩის შემოწირულობა.

**ვალერი ჩეხერია:** ჩვენი ინიციატივით „აჭარა ჯგუფის“ რესტორნებიდან საკვების გამოძახებისას, კონკრეტული თანხა „ერთიანობის“ ფონდში ირიცხებოდა. ასევე, „აჭარაბეთის“ ინიციატივით კონცერტი ჩავატარეთ, საიდან შემოსული თანხაც მთლიანად შემოწირულობაში გადაირიცხა. ეს კონცერტი დიდი დახმარება იყო მომღერლებისთვის, გამნათებლებისთვის, ტექნიკური ჯგუფებისთვის, რომლებიც 6 თვის მანძილზე ვერ მუშაობდნენ. ეს იყო ერთიანობის პირველი და სრულყოფილი პრეცედენტი.

**რა სამომავლო გეგმები აქვს პლატფორმა „ერთიანობას?“ გეგმავთ თუ არა, რომ პლატფორმა  მომავალში სხვა კრიზისებთან გამკლავების მექანიზმად ჩამოყალიბდეს?**

**ნინო ზამბახიძე:** მე და ვალერი ხშირად ვსაუბრობთ პლატფორმის ალტერნატიულ შინაარსობრივ დატვირთვაზე. ვფიქრობთ, პლატფორმას პროფილი შევუცვალოთ, რათა ის დაზარალებულ ქალებზე და სხვა რელევანტურ საჭიროებებზე გახდეს ფოკუსირებული. ეს პლატფორმა

concentrate on Georgian farmers' products to help them too. As a result, the farmers arranged product packages at an even lower price. We managed to mobilize 150,000 GEL in 2 weeks. Shortly after, the charity organization "Catharsis" got shut down, and people were left with no free food. People lost hope. Meanwhile, we managed to find an optimistic opportunity and generate the expectation that "this was not the end," especially for those who struggled the most.

**Nino Zambakhidze:** The involvement of financial institutions was also crucial as they provided sanitizers and other necessary equipment for us. Many people were involved. I will never forget the contribution of the Ambassador of Japan.

**Valeri Chekheria:** Another initiative, in this regard, made it possible to donate a certain percentage of money received from each order placed through the restaurants of Adjara Group to the "Ertianoba Fund." Also, all the funds received from a concert we organized with the support of "Adjarabet" were donated to the fund. This concert served as a great help to entertainers, singers, lighting technicians, and others who were unable to work for 6 months. This was the first and a perfect example of such authentic unity.

**What is the future of the platform? Do you plan to establish it as a mechanism for dealing with other crises in the future?**

**Nino Zambakhidze:** Valeri and I often speak  about the wide range of activities the platform can execute. The platform will change its course of action according to which problem announces itself as needing an urgent solution. We plan to make it more focused on the most pressing issues of socio-economically vulnerable women.

# CHALLENGES CREATE OPPORTUNITIES

# გამოწვევები ქმნის შესაძლებლობებს

არის უნიკალური, რადგან არსებობს ბაზა, რომელიც დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებზე ინფორმაციას შეიცავს. რეგიონების მიხედვით მობილიზატორები გვყავს და ვიცით ვინ შეიძლება დახმარების პროცესებში ჩაერთოს. გვაქვს კოვიდ რუკაც. პლატფორმა „ერთიანობა“ შეიკრა მდგრად მექანიზმად და ასე გააგრძელებს ოპერირებას მომავალშიც. როგორც კი ქვეყანას მსგავსი გამოწვევა ექნება – ჩვენ მზად ვიქნებით სწრაფი რეაგირებისთვის.

**გაეროს მდგრადი განვითარების მე-17 მიზანი, სწორედ პარტნიორობას და საერთო მიზნებისთვის ბრძოლას უკავშირდება. ამ მიზანს ეხმიანება პლატფორმა „ერთიანობაც“. რა არის თქვენი, როგორც ამ პლატფორმის შემქმნელების პოზიცია ბიზნესის მსგავს აქტივობებში ჩართულობასთან დაკავშირებით? რა უნდა გააკეთოს ბიზნესმა იმისთვის, რომ მსგავსი ინიციატივები გაიზარდოს და სწრაფი მობილიზებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობის პრაქტიკა დაინერგოს?**

**ნინო ზამბახიძე:** ზოგადად, მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლიობას აქვს ერთი მთავარი გზავნილი: არავინ დატოვოს ყურადღების მიღმა. ასევე, აღმოფხვრას სიღარიბე, რომელიც მთელ მსოფლიოშია. ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებული ის მაგალითები, რომლებსაც კომპანიები ერთმანეთს აძლევენ. სწორედ ამ შემთხვევაში ხდება საზოგადოებისთვის სასიკეთო აქტივობების რეპლიკაცია. ქალთა ეკონომიკური ჩართულობის გაძლიერება, გარემოზე ზრუნვა.

ჩვენს ქვეყანაში, კორპორაციული პასუხისმგებლობა საკმაოდ ახალი კონცეფციაა. გვქონია შემთხვევები, როცა უკითხავთ, „შემოწირულობა გინდათ?“ შემოწირულობა არა – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გვინდა, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის გეგმიურ, სტრატეგიულ და მდგრად მიდგომებს გულისხმობს.

**ვალერი ჩეხერია:** თუ ბიზნესს სურს გრძელვადიან პერსპექტივაში აწარმოოს ბიზნესი, უნდა გაიაზროს, რომ ქვეყნის განვითარების პროცესებში უშუალო ჩართვის გარეშე, საკუთარი ბიზნესის განვითარებას აზრი არ აქვს. ბიზნესმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას სჭირდება აქტიური და ჯანსაღი საზოგადოება.



This platform is unique as it contains a database that holds necessary information about people in need of help. There are mobilizers in every region that can be involved in the relief process. We also have a COVID-map. The platform has come together as a sustainable mechanism and will continue to operate in the future. As soon as the country is faced with a crisis - we will be ready for a quick and effective response.

**The 17th goal of the UN Sustainable Development Goals (SDGs) entails promoting the idea of global partnership and the fight for the common good. The platform "Ertianoba" (tr. Unity) responds to this goal. What is your take on the importance of engagement in such activities? What should businesses do to advance the level of cooperation with civil society and boost the practice of rapid mobilization?**

**Nino Zambakhidze:** SDGs voice one central message: leave no one behind. One of the main aims of SDGs is to eradicate global poverty. Therefore, companies' exemplary behavior in terms of corporate responsibility is essential because eventually, the mirroring of socially beneficial activities (strengthening women's economic involvement, caring for the environment, etc.) occurs.

In our country, corporate responsibility is a fairly new concept. We have had cases when companies would ask, "Do you want a donation?" And we would say - "Donations?! No. What we want is corporate responsibility," which involves strategic and sustainable approaches to caring for the community's well-being.

**Valeri Chekheria:** It makes no sense to develop your business without direct involvement in the country's progress. Businesses should understand that they need an active and healthy community.

**თქვენი გამოდილების საფუძველზე, რა მოლოდინები გაქვთ პოსტ-პანდემიურ ბიზნეს-კულტურასთან დაკავშირებით? როგორ შეიცვლება ბიზნესის კეთების ქართული პრაქტიკა?**

**ნინო ზამბახიძე:** ეს გამოწვევა შეგვიძლია შესაძლებლობად გამოვიყენოთ. მსოფლიო დღის წესრიგში უკვე დადგა კონკრეტული ხედვების ჩამოყალიბების აუცილებლობა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მხრივ, ყველაფერი რომ გაჩერდეს, ადამიანს კვება სჭირდება, ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოება. არიან ადამიანები, რომლებიც რეგიონებს დაუბრუნდნენ და თავიანთი ოჯახისთვის პროდუქტის მოყვანას შეუდგნენ. სწორედ ასეთი მცირე და საშუალო ბიზნესები ქმნიან სასურსათო უსაფრთხოებას. ჩვენ უკვე გვიწევს განვჭვრიტოთ რას მოიტანს სერვისების გაციფრულება. ვინც ტექნოლოგიებში გარკვეული იყო, ის ონლაინ გაყიდვებზე სწრაფად გადაერთო. სწორედ ისეთი გამოწვევების ეპოქა დადგა, რომელიც ავალდებულებს ადამიანს გამოიმუშაოს სისხარტე და მოქნილობა. მე ამას ვუყურებ როგორც ჩვენი ცხოვრების ყველაზე საინტერესო ეპოქას, ბევრი გამოწვევით, მაგრამ ძალიან ბევრი შესაძლებლობით.

**ვალერი ჩეხერია:** გამოწვევები ქმნის შესაძლებლობებს. დავინახეთ, რომ ერთ კონკურეტულ მიმართულებაზე დაყრდნობილმა ბიზნესებმა, თუნდაც სასტუმროს ბიზნესმა, ძალიან მძიმე დარტყმა მიიღო. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიმართულებით ბიზნესის კეთება, დივერსიფიკაცია და ქვეყნის ეკონომიკის გაფართოვება. ისტორიულად, თითოეული კრიზისი ქმნის ახალ შესაძლებლობებს. ჩვენც სწორედ უკეთესი შესაძლებლობების მოლოდინში ვართ.

**What are your expectations regarding the post-pandemic business culture? How is the Georgian business practice going to change?**

**Nino Zambakhidze:** We can use this challenge as an opportunity. The need to formulate precise visions has already been put on the global agenda. For example, in terms of agriculture - even if everything stops, people will need food. Therefore, food security is critical. Some people have returned to the regions and started bringing produce for their families. It is these such small and medium-sized businesses that create food security. We have to figure out what digitization of services will bring. Those who were somewhat familiar with using technology were quick to switch to online sales. The era of challenges has come, which obliges a person to develop sharpness and flexibility. I see this as the most exciting era of our lives, with many challenges, but also, with many opportunities.

**Valeri Chekheria:** Challenges create opportunities. We have seen that businesses operating in one competitive direction have been harmed the most. Consequently, it is vital to do business in different directions and constantly strive to diversify and expand the country's economy. Historically, each crisis has created new opportunities. We, too, are looking forward to better opportunities.

*ინტერვიუ ჩაწერილია 2020 წლის ოქტომბერში.*
*INTERVIEW WAS RECORDED IN OCTOBER, 2020.*

*თუ ბიზნესს სურს გრძელვადიან პერსპექტივაში აწარმოოს ბიზნესი, უნდა გაიაზროს, რომ ქვეყნის განვითარების პროცესებში უშუალო ჩართვის გარეშე, საკუთარი ბიზნესის განვითარებას აზრი არ აქვს*

**IT MAKES NO SENSE TO DEVELOP YOUR BUSINESS WITHOUT DIRECT INVOLVEMENT IN THE COUNTRY'S PROGRESS**

# COVID-19 და ახალი მიდგომები მდგრადობის ანგარიშგების მიმართ

# COVID-19 AND SHIFTED THINKING ABOUT SUSTAINABILITY REPORTING



კარგი ანგარიში შეიძლება გახდეს მიზეზი კომპანიის ყიდვისა, ცუდი კი – გაყიდვის. როდესაც ვორენ ბაფეტს ჰკითხეს როგორ გახდა წარმატებული ინვესტირებაში, მან უპასუხა: „ჩვენ ვკითხულობთ ასობით და ათასობით ყოველწლიურ ანგარიშებს“.

მსოფლიო COVID-19-ის ეპოქაში ცხოვრების ჩვეული წესისთვის, მმართველობისა და ბიზნესისთვის სტრესის ტესტად გადაიქცა. პანდემიამ ინსტიტუტები და ლიდერები აიძულა გადახედონ და შეცვალონ წარმატების მათეული ხედვები. გარკვეული ბიზნეს მოდელები საერთოდ აღარ მუშაობს, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიზნესის ახლებურად წარმოებისათვის გაჩნდა შესაძლებლობებიც.

პოსტ კოვიდ სამყაროში მდგრადობის ანგარიშგებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება კომპანიების მიერ მათი დაინტერესებული მხარეების ნდობის შესანარჩუნებლად,

A GOOD REPORT CAN BE A REASON TO BUY A COMPANY, AND A BAD ONE CAN BE A REASON TO SELL. WHEN ASKED HOW HE BECAME SO SUCCESSFUL IN INVESTING WARREN BUFFETT ANSWERED: "WE READ HUNDREDS OF HUNDREDS ANNUAL REPORTS EVERY YEAR."

The world in the era of COVID-19 has become a stage for a real time stress test for businesses, governance constructs and our normal ways of life. The pandemic has stimulated and forced institutions and leaders to rethink and reimage their visions of success. Certain business models may no longer work, while opportunities may arise in new ways of doing things.

In post COVID-19 world, sustainability reporting would be more vital and bring renewed attention to the importance of corporate transparency on sustainability issues to sustain trust among all stakeholders. Investors

ნინო კვანტრიშვილი

მდგრადობის საკითხებისა და პარტნიორობის მიმართულების ხელმძღვანელი, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

NINO KVANTRISHVILI

Senior Manager of Sustainability and Partnerships, Global Compact Network Georgia

ანგარიშგება ასახავს მიზნებს, განსაზღვრავს მოქმედების ინდიკატორებს და ხელმძღვანელობას უწევს ბიზნესის ცვლილებას მდგრადი მოდელის მიმართულებით

REPORTING HELPS TO UNDERSTAND AN ORGANISATION'S STRATEGY, SET GOALS, MEASURE PERFORMANCE AND MANAGE THE CHANGE TOWARDS A SUSTAINABLE BUSINESS MODEL



WHEN ASKED HOW HE BECAME SO SUCCESSFUL IN INVESTING, WARREN BUFFET ANSWERED: "WE READ HUNDREDS OF HUNDREDS ANNUAL REPORTS EVERY YEAR"

როდესაც ვორენ ბაფეტს ჰკითხეს როგორ გახდა წარმატებული ინვესტირებაში, მან უპასუხა: „ჩვენ ვკითხულობთ ასობით და ათასობით ყოველწლიურ ანგარიშებს“

ვინაიდან ის უზრუნველყოფს დამატებით კორპორაციულ გამჭვირვალობას მდგრადობის საკითხებზე. ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს სჭირდებათ რეგულარულად განახლებული ინფორმაციის მიწოდება, რომლის როლიც შესაძლოა შეასრულოს არაფინანსურმა ანგარიშგებამ (მდგრადობის ანგარიშგება), რომელიც მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ საკითხებს. მდგრადობის ანგარიშგება საჭირო მედიუმი და შესაძლებლობაა კომპანიის გეგმებისა და სტრატეგიის წარმოსაჩენად. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს კომპანიებისთვის უმთავრესია COVID-19-ით გამოწვეული ზიანის გამოსწორება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ მოახდინონ ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) სტანდარტების დანერგვა და წარმოჩენა. ამ შემთხვევაში მოლოდინია, რომ სოციალურ საკითხებს დაეთმობოდა კიდევ უფრო დიდი ყურადღება, ვინაიდან პანდემიამ ყველაზე მეტად ეს სფერო დააზარალა.

ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა დროული და სარწმუნო კომუნიკაცია. გარემოსდაცვით, სოციალურ, ეკონომიკურ და მმართველობით საკითხებზე საქმიანობის შედეგის წარმოსაჩენად (პოზიტიური და ნეგატიური ინფორმაცია). კომპანიის ხელთ არსებულ მთავარ ინსტრუმენტს მდგრადობის ანგარიშგება წარმოადგენს. მისი დახმარებითა და საკუთარი საქმიანობის შედეგად მდგრადობის მიმართულებით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით კომპანიები კიდევ უფრო სრულყოფილად ახერხებენ მათ დაინტერესებულ მხარეებთან (ინვესტორები, თანამშრომლები, რეგულატორები, მომხმარებლები, მიმწოდებლები, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა) კომუნიკაციას. შედეგად ისინი ხდებიან კიდევ უფრო

and other stakeholders need to be kept updated and this update can be non-financial (sustainability) reports, which considers longer-term strategic matters. Sustainability reports are a useful medium and an opportunity for companies to lay out their plans and strategies for bringing the company forward. While managing COVID-19's direct impacts remain the top priority for many companies, reporting historical ESG (Environmental, Social and Governance) data and performance remains essential, with the expectation that their performance on key social issues will be even more thoroughly examined than usual, as the COVID-19 crisis is placing heightened importance on social matters.

Truthful and timely communications are more important now than ever. A sustainability report is the main tool available for an organization or company to voluntarily communicate its performance and impact — positive or negative — in environmental, social and governance (ESG) matters. Sustainability reports help companies to engage more deeply and effectively with all their stakeholders (investors, employees, market regulators, suppliers, civil society, customers, etc.) by considering their impacts on a wide range of sustainability issues. This enables them to be more transparent about the risks and opportunities they face. Increased transparency leads to better decision making, which helps to maintain trust in businesses and governments.

Stakeholders can then benefit from a broad understanding of the company's responses. First of all, keeping stakeholders informed is important to define how companies are responding to crisis now and how companies should respond in

გამჭვირვალეები იმ რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ, რომელიც რელევანტურია მათი საქმიანობისათვის. გაზრდილი გამჭვირვალობა კი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტიანობას უზრუნველყოფს, რაც ეხმარებათ მთავრობებთან და პარტნიორებთან ნდობის მოპოვებაში.

ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ ზუსტად იცოდნენ, როგორ რეაგირებს კომპანია ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. პირველ რიგში დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ განისაზღვროს კომპანიის ქმედება და სტრატეგია კრიზისის დროს. კომპანიები ვალდებულნი არიან ახსნან პანდემიის დროს მიღებული საკუთარი გადაწყვეტილებები და გააკეთონ შორსმჭვრეტელი განცხადებები იმის შესახებ, როგორ წარმოუდგენიათ უკეთესი მომავლის მშენებლობა. სწორედ ამიტომ მდგრადობის ანგარიშგება გახდება ინფორმაციის მთავარი წყარო ანგარიშვალდებულებისა და პანდემიის დრო კომპანიების ქმედების განსასაზღვრად.

მდგრადობის ანგარიშგება მხოლოდ 100 გვერდიანი დოკუმენტი არაა. მისი მიზანია იყოს საჭირო, ხელშესახები და რელევანტური, რომელიც გვეხმარება გავიგოთ რა არის კომპანიის სტრატეგია. ანგარიშგება ასახავს მიზნებს, განსაზღვრავს მოქმედების ინდიკატორებს და ხელმძღვანელობას უწევს ბიზნესის ცვლილებას მდგრადი მოდელის მიმართულებით. ასევე:

*“OUR GOAL IS TO MAKE NOT JUST THE BEST PRODUCTS IN THE WORLD, BUT THE BEST PRODUCTS FOR THE WORLD”*

*„ჩვენი მიზანია არა მხოლოდ მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციის შექმნა, არამედ ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც საუკეთესო იქნება მსოფლიოსთვის“*

*Apple*

the future. Companies will need to explain decisions made during this time and make forward-looking statements about how they plan to help build a better future. That's why sustainability reports will become an essential information for accountability to understand company actions during the COVID-19 pandemic.

A sustainability report is not just a 100 page long document. The goal is to make it tangible, as it helps to understand an organisation's strategy, set goals, measure performance and manage the change towards a sustainable business model. Moreover:

*- IT CAN IMPROVE MANAGEMENT OF THE COMPANY BY IDENTIFYING RISKS AND OPPORTUNITIES;*

*- IT CAN IMPROVE INTERNAL COMMUNICATION AND EMPLOYEE SATISFACTION;*

*- IT CAN IMPROVE THE ORGANISATION'S IMAGE AND REPUTATION BY COMMUNICATING ABOUT ITS SUSTAINABLE SERVICES.*

Companies based in the European Union are obliged to disclose non-financial information (EU Directive 2014/95, also called the non-financial reporting directive (NFRD). EU law requires large companies (more than 500 employees) to disclose certain information on the way they operate and manage social and environmental challenges. Under Directive 2014/95/EU, large companies



*გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, ვკითხულობთ: „პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის მოითხოვს, რომ ბიზნესს ჰქონდეს წესები, რომლის მიხედვითაც ეცოდინება და აჩვენებს, რომ ისინი იცავენ ადამიანის უფლებებს ყოველდღიურ საქმიანობაში“*

*აუმჯობესებს კომპანიის მენეჯმენტს, რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების გზით;*

*აუმჯობესებს შიდა კომუნიკაციას და თანამშრომელთა კმაყოფილებას;*

*აუმჯობესებს ორგანიზაციის სახელს და რეპუტაციას, მდგრადი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით.*

**THE UN GUIDING PRINCIPLES ON BUSINESS AND HUMAN RIGHTS (UNGPS) STATES: “THE RESPONSIBILITY TO RESPECT HUMAN RIGHTS REQUIRES THAT BUSINESS ENTERPRISES HAVE IN PLACE POLICIES AND PROCESSES THROUGH WHICH THEY CAN BOTH KNOW AND SHOW THAT THEY RESPECT HUMAN RIGHTS IN PRACTICE“**

ევროკავშირის მასშტაბით მოღვაწე კომპანიები ვალდებულნი არიან წელიწადში ერთხელ არაფინანსური ანგარიშგება მოამზადონ (ევროდირექტივა 2014/95). დირექტივის მიხედვით ის კომპანიები, რომლებსაც ჰყავთ 500 და მეტი თანამშრომელი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ანგარიშგება გარემოსდაცვის, სოციალური პასუხისმგებლობის და შრომითი უფლებების დაცვის; ადამიანის უფლებების დაცვის, ანტი-კორუფციული სტანდარტისა და მენეჯმენტის მრავალფეროვნების (ასაკის, სქესის, განათლებისა და პროფესიული გამოცილების კუთხით) შესახებ.

უფრო მეტიც, გაეროს მდგრადი განვითარების მე-12 მიზანი, რომელიც შეეხება მდგრად მოხმარებასა და წარმოებას მოიცავს სპეციფიურ ამოცანას 12.6 – „წავახალისოთ კომპანიები, განსაკუთრებით დიდი და ტრანსნაციონალური კომპანიები, რომ დაამკვიდრონ მდგრადი პრაქტიკა და მდგრადი ინფორმაციის ინტეგრირება ანგარიშგებაში“. ასევე, გაეროს

have to publish reports on the policies they implement in relation to environmental protection; social responsibility and treatment of employees; respect for human rights; anti-corruption and bribery; and diversity of the management (in terms of age, gender, educational and professional background).

Moreover, importance of the sustainability reporting is mentioned in Sustainable Development Goals (SDG 12,) as well. It encourages companies, especially large and transnational companies, to adopt sustainable practices and to integrate sustainability information into their reporting cycle.

Also, 21 principle of the UN Guiding Principles on Business and Human Rights (UNGPs) states: “The responsibility to respect human rights requires that business enterprises have in place policies and processes through which they can both know and show that they respect human rights in practice...Communication can take a variety of forms, including in-person meetings, online dialogues, consultation with affected stakeholders, and formal public reports. Formal reporting is itself evolving, from traditional annual reports and corporate responsibility/sustainability reports, to include online updates and integrated financial and non-financial reports...The reporting should cover topics and indicators concerning how enterprises identify and address adverse impacts on human rights.” The UN Guiding Principles uncovers the places where you need to focus and improve, so that it becomes very clear what you need to do.

*ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲮᲡᲜᲐᲜ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲜ ᲨᲝᲠᲡᲛᲭᲕᲠᲔᲢᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ*

**COMPANIES NEED TO EXPLAIN DECISIONS MADE DURING THIS TIME AND MAKE FORWARD-LOOKING STATEMENTS ABOUT HOW THEY PLAN TO HELP BUILD A BETTER FUTURE**

სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ, ვკითხულობთ: „პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის მოითხოვს, რომ ბიზნესს ჰქონდეს წესები, რომლის მიხედვითაც ეცოდინება და აჩვენებს, რომ ისინი იცავენ ადამიანის უფლებებს სინამდვილეში. ჩვენება მოიცავს კომუნიკაციას, გამჭვირვალობის გაზომვას და პასუხისმგებლობას იმ ინდივიდებისა და ჯგუფების მიმართ, რომლებზეც შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეთ სხვადასხვა დაინტერესებულ პირებს, მათ შორის ინვესტორებს. კომუნიკაციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, მათ შორის პირისპირ შეხვედრა, ონლაინ დიალოგი, კონსულტაცია დაინტერესებულ პირებთან და ფორმალური საჯარო ანგარიშები. ანგარიში უნდა მოიცავდეს ხედვას, როგორ აპირებს ბიზნესი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრას“. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები წარმოაჩენს იმ სფეროებს, სადაც საჭიროა პროგრესი, იმისათვის რომ ცხადი გახდეს რისი გამოსწორებაა საჭირო კომპანიის მხრიდან.

2020 წლის მდგრადი განვითარების მიზნების პროგრესის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მეტი და მეტი კომპანია ახდენს მდგრადობის საკითხებისა და აქტივობებისადმი საკუთარი წვლილის შესახებ ანგარიშგებას. „2017 წლიდან, მსოფლიო მასშტაბით მდგრადობის ანგარიშგების ხარისხი საკმაოდ გაიზარდა. ESG საკითხებზე ანგარიშგების რაოდენობა, რომელიც აკმაყოფილებს მდგრადი განვითარების მე-12 მიზანში გაწერილ ინდიკატორებს, თითქმის გაორმაგდა”- აღნიშნულია ანგარიშში.

მსოფლიო მასშტაბით კომპანიები მდგრადობის ანგარიშგებას სხვადასხვა სტანდარტის მიხედვით ახდენენ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) მდგრადობის ანგარიშგების ჩარჩო და გაეროს გლობალური შეთანხმების კომუნიკაცია პროგრესის შესახებ.

კომპანიები, რომლებსაც ESG საკითხების მიმართ ეფექტური მიდგომები აქვთ, გამორჩეულები



More companies are reporting their sustainability activities and demonstrating their commitment to the SDGs, says the UN SDG Progress Report 2020. "Since 2017, the overall quality of sustainability reports has improved around the world. The share of reporting in the environmental, social, institutional and governance dimensions is aligned with the minimum requirements outlined in SDG indicator 12.6.1, and (the number of companies publishing sustainability reports) has almost doubled."

A unified standard that allows reports to be quickly assessed, fairly judged and simply compared is a critical asset. As firms worldwide have incorporated sustainability reporting, the most widely adopted framework has been the Global Reporting Initiative (GRI,) Sustainability Reporting Framework and United Nations Global Compact's Communication on Progress.

Companies that have a clear and effective approach to ESG stand out. As such, sustainability can play an important role in driving investment to the continent, and attracting the long-term capital it needs. "We must continue to make a real contribution to people's lives. We can only do this by keeping our approach to sustainability at the heart of the way we do business"- states CEO of Shell, Ben van Beurden in the sustainability report of 2019. "Apple's" sustainability report details how the company approaches its priorities and highlights the progress they made. "Our goal is to make not just the best products in the world, but the best products for the world."

არიან. მდგრადობას შეუძლია მოიზიდოს ინვესტიციები და კაპიტალი. „ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ადამიანების ცხოვრების რეალური გაუმჯობესება. ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მდგრადობა იქნება ბიზნესის კეთების მთავარი მამოძრავებელი ძალა“- აცხადებს „Shell“-ის აღმასრულებელი დირექტორი ბენ ვან ბეურენი 2019 წლის მდგრადობის ანგარიშში. კომპანია „Apple“-ის ანგარიშში კი დეტალურადაა აღწერილი კომპანიის მდგრადობის საკითხებისადმი მიდგომა და მიღწეული პროგრესი მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მიმართულებით: „ჩვენი მიზანია არა მხოლოდ მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციის შექმნა, არამედ ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც საუკეთესო იქნება მსოფლიოსთვის“.

ყოველწლიურად მეტი და მეტი კომპანია წერს მდგრადობის ანგარიშგებებს. დღესდღეობით კომპანიებს აქვთ ეთიკური ვალდებულება, რომ მოამზადონ მდგრადობის ანგარიშგება, ინვესტორებს კი აქვთ ვალდებულება რომ მოითხოვონ მისი მომზადება. ვინაიდან ჩვენი ყველას მიზანია პლანეტისა და ადამიანებისთვის, მისი წარმატებისა და მშვიდობისთვის საუკეთესო გამოსავლების მოძიება, ჩვენ ვალდებულნი ვართ ავიღოთ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე. ჩვენ ვალდებულნი ვართ წარმოვადგინოთ ინფორმაცია მდგრადობის საკითხებზე და ვეცადოთ 2030 წლისთვის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ამის გაკეთება კი შეუძლებელია პასუხისმგებლიანი კომპანიების გარეშე. მდგრადობის ანგარიშგების როლი კი გვარწმუნებს, რომ კომპანიები ამ პროცესის ნაწილნი არიან.

დღეს მსოფლიოში  უკვე ყველამ იცის, თუ როგორ შეიძლება ერთ დღეში შეიცვალოს ყველაფერი. სწორედ ამიტომ კომპანიებს უნდა ესმოდეთ, რომ მდგრად რეპუტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი ბრენდის ცნობადობის, დაინტერესებული მხარეების კმაყოფილებისა და მომხმარებლების ლოიალობისთვის - სწორედ ესაა ის ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფს შემოსავლის ზრდას და წარმატებას.

More and more companies are writing Sustainability Reports. Nowadays, companies have an ethical obligation to practice sustainability reporting and investors have a similar obligation to demand it. As we all strive to find best solutions for the planet and people, its prosperity and peace, we need to take responsibilities of our actions. We need to disclose information on sustainability issues and we need to strive to achieve UN Sustainable Development Goals until 2030. We can't do it without responsible companies and the role of the sustainability reporting is to make sure that companies are part of the process.

Nowadays, everyone in the world is aware of how the world can change overnight and companies need to understand that sustainable reputation plays an important role in brands awareness, stakeholders satisfaction and customer loyalty, factors that contribute to revenue growth.

*NOWADAYS, COMPANIES HAVE AN ETHICAL OBLIGATION TO PRACTICE SUSTAINABILITY REPORTING AND INVESTORS HAVE A SIMILAR OBLIGATION TO DEMAND IT*

*დღესდღეობით კომპანიებს აქვთ ეთიკური ვალდებულება, რომ მოამზადონ მდგრადობის ანგარიშგება, ინვესტორებს კი აქვთ ვალდებულება რომ მოითხოვონ მისი მომზადება*

Glovo

COMPANY IS FULLY COMPENSATING FOR THE EMISSIONS RELEASED FROM ITS TRANSPORT SERVICES. GLOVO IS INVOLVED IN FOREST RESTORATION PROJECTS WITH THE HELP OF THE TECH COMPANY, PACHAMA

კომპანია მისი სერვისისთვის საჭირო ტრანსპორტის მიერ გამოყოფილ ნახშირბადს სრულად აკომპენსირებს და ტექნოლოგიური კომპანია „პაჩამას“ დახმარებით ტყეების აღდგენით პროექტებშია ჩართული

# GLOVO

ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, პანდემიის პერიოდში მიტანის სერვისი „გლოვო“, საზოგადოებისთვის ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კომპანიად გადაიქცა. კრიტიკულ სიტუაციაში, კომპანიამ ადაპტაციის მკაფიო უნარი გამოიჩინა. 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობის შედეგად, კომპანიამ შეძლო ცხოვრების ახალ რიტმზე გადაწყობა და მუშაობის შეუფერხებლად გაგრძელება.

**DURING THE PANDEMIC, THE DELIVERY SERVICE GLOVO HAS BECOME ONE OF THE MOST VITAL COMPANIES FOR OUR SOCIETY. THE COMPANY HAS SHOWN THE ABILITY TO ADAPT TO HECTIC CRISES. WORKING ON A 24-HOUR SCHEDULE, GLOVO ADJUSTED TO A NEW LIFE RHYTHM AND CONTINUES TO WORK SMOOTHLY.**



პანდემიის დაწყებიდან დღემდე „გლოვოს“ დახმარებით:

ქვეყნის 5 მთავარი ქალაქის მომხმარებლები საჭირო პროდუქტების ადგილზე მიღებას სახლიდან გაუსვლელად ახერხებდნენ;

ქვეყნის მასშტაბით, 500-ზე მეტი ბიზნეს ობიექტი (რესტორნები, მარკეტები, მაღაზიები) გადაურჩა დახურვას;

1500-ზე მეტმა პარტნიორმა კურიერმა შეინარჩუნა შემოსავლის წყარო;

„გლოვო“, ქართულ ბაზარზე მრავალი სიახლის შემომტანია. ამ სიახლეების სიაშია აფთიაქების, სუპერმარკეტებისა და სხვა მაღაზიების დამატება მიტანის სერვისში.

კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მრავალფეროვანია. წარმატებული აღმოჩნდა „გლოვოს“ და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა. პროექტის ფარგლებში კომპანიის კურიერებმა „კათარზისის“ 400-მდე ბენეფიციარს 8000-ზე მეტჯერ მიუტანეს საკვები უფასოდ. პროექტი დღემდე გრძელდება.

2020 წელს შეიქმნა ახალი პლატფორმა Glovo access (www.glovoaccess.com), რომელიც სხვადასხვა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციას აკავშირებს გლოვოს ლოჯისტიკურ ინფრასტრუქტურასთან და საშუალებას აძლევს განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი სოციალური ტიპის პროექტები.

From the beginning of the pandemic to present day - with the help of Glovo:

Consumers of the 5 main Georgian cities have been able to immediately receive their necessary products without leaving home;

Across the country, more than 500 businesses (restaurants, markets, shops) have avoided a complete shutdown;

More than 1,500 partner couriers have maintained a source of income.

Glovo has brought many innovations to the Georgian market. Adding pharmacies, supermarkets, and other stores to their delivery service is part of an extensive list of innovative changes the company plans to pursue.

The range of activities carried out within the framework of the company's corporate responsibilities is substantially diverse. For instance, the cooperation between Glovo and non-governmental organizations, has turned out to be quite productive. The company's couriers have delivered free food, more than 8,000 times, to 400 beneficiaries of the charity organization, "Catharsis," This charitable project is still ongoing.

In 2020, a new platform, Glovo access (www.glovoaccess.com,) was launched. This platform aims to connect various non-governmental and donor organizations with the Glovo logistics infrastructure to allow the implementation of important social projects. As part of the new project, Glovo has set an ambitious plan. By 2023, they expect their share of social orders to reach 10% of the company's total business affairs.

შეიქმნა პროექტი „Glovo Care“, რომლის ფარგლებშიც კომპანიის ოფისის თანამშრომლები როლებს ცვლიან, კურიერები ხდებიან და გამომუშავებული თანხით, პროექტ „ჩართეს“ დონორები ხდებიან

**THE PROJECT "GLOVO CARE" WAS CREATED. IN THIS PROJECT, OFFICE EMPLOYEES CHANGE ROLES AND BECOME COURIERS. WITH THE EARNED MONEY, THEY FUND THE PROJECT "CHARTE"**

ახალი პროექტის ფარგლებში, „გლოვომ“ ამბიციური გეგმა დაისახა, რომლის მიხედვითაც, 2023 წლისათვის, სოციალური შეკვეთების წილმა მთლიანი კომპანიის ბიზნესის 10%-ს უნდა მიაღწიოს.

CENN-თან თანამშრომლობით, კომპანიამ „შეამცირე პლასტმასის“ კამპანია განახორციელა, რომლის მიზანიც ერთჯერადი ჭურჭლის გამოყენების შემცირება და, შესაბამისად, გარემოზე ზრუნვა იყო. გარემოსდაცვითი საკითხების მხრივ „გლოვოს“ აქტიურობა აქ არ დამთავრებულა – კომპანია მისი სერვისისთვის საჭირო ტრანსპორტის მიერ გამოყოფილ ნახშირბადს სრულად აკომპენსირებს და ტექნოლოგიური კომპანია „პაჩამას“ დახმარებით ტყეების აღდგენით პროექტებშია ჩართული.

კომპანიისთვის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს მომავალში ინვესტირება, რასაც „გლოვოს“ მთლიანი გუნდი იზიარებს. მეტიც, ამ პრიორიტეტზე დაყრდნობით შეიქმნა პროექტი „Glovo Care“, რომლის ფარგლებშიც კომპანიის ოფისის თანამშრომლები როლებს ცვლიან, კურიერები ხდებიან და გამომუშავებული თანხით, პროექტ „ჩართეს“ დონორები ხდებიან. „ჩართე“ სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს კომპიუტერულ აღჭურვილობასა და ინტერნეტთან წვდომას უფინანსებს.

კორპორაციული პასუხისმგებლობა კომპანიის განუყოფელი ნაწილია. კომპანიის მაგალითზე ჩანს, რომ ბიზნესს უპრეცედენტო კრიზისის დროსაც შეუძლია რთულ გარემოებებთან ადაპტირება და მომსახურების ხარისხის განვითარება, თანაც ისე, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნა პრიორიტეტად რჩებოდეს და განხორციელებული აქტივობების შედეგებში ისახებოდეს.

In collaboration with CENN, the company launched a "Reduce Plastic" campaign to reduce the use of disposable tableware and, consequently, make a positive impact on the environment. Glovo's environmental work does not end here - the company is fully compensating for the emissions released from its transport services. Glovo is involved in forest restoration projects with the help of the tech company, Pachama.

Investing in the future is a strategic priority for the company. Moreover, based on this priority, the project "Glovo Care" was created. In this project, office employees will change roles and become couriers. With the earned money, they fund the project "Charte" to finance computer equipment and internet access for socially vulnerable students.

Corporate responsibility is an integral part of the company. The aforementioned examples depict and reflect the consequences of the company's actions and show that even in times of unprecedented crisis, businesses can adapt to difficult circumstances and improve the quality of services while keeping public welfare as a top priority.

*ACROSS THE COUNTRY, MORE THAN 500 BUSINESSES (RESTAURANTS, MARKETS, SHOPS) HAVE AVOIDED A COMPLETE SHUTDOWN*

*ქვეყნის მასშტაბით, 500-ზე მეტი ბიზნეს ობიექტი (რესტორნები, მარკეტები, მაღაზიები) გადაურჩა დახურვას*





# მისია შესრულებადია: დროა, გარემოსდაცვით გამოწვევებს შევეჭიდოთ!




# MISSION POSSIBLE: IT'S TIME TO TACKLE ENVIRONMENTAL CHALLENGES

მსოფლიო, რომელშიც ვცხოვრობთ, ადამიანის მიერ გამოწვეული სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საფრთხეების წინაშეა. COVID-19-ის პანდემია, ეკონომიკური რეცესია, კლიმატის ცვლილება - და ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია.

WE ARE LIVING IN A WORLD FACED BY MAN-MADE THREATS TO SOCIETAL, ENVIRONMENTAL AND ECONOMIC WELL-BEING. THE COVID-19 PANDEMIC AND THE ENSUING ECONOMIC RECESSION, GROWING SOCIAL INEQUALITY, CLIMATE CHANGE – THESE FACTORS ONLY BEGIN TO SCRAPE THE SURFACE.

**WE ARE LIVING IN A WORLD OF RAPID TRANSFORMATIONS THAT WILL REQUIRE FURTHER ACCELERATED ACTION IN THE YEARS TO COME TO EFFECTIVELY TACKLE SOCIAL AND CLIMATE CHALLENGES**

2015 წელს გაეროს წევრი ქვეყნები გაერთიანდნენ, რათა მიეღოთ ჩარჩო დოკუმენტი, მსოფლიოს სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობდა ინკლუზიურ მდგრად განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას ყველა ქვეყანაში. გლობალური დღის წესრიგი განსაზღვრავს ამოცანებს, რომლებიც სახელმწიფოებს მიუთითებს, როგორ გადალახონ არსებული მდგრადობის გამოწვევები და, უფრო შორსაც წავიდნენ, გააუმჯობესონ ადამიანების ცხოვრების ხარისხი მთელს მსოფლიოში.

In 2015, United Nations member States came together to adopt a global strategy that would support inclusive sustainable development and economic growth across the world. The Sustainable Development Goals (SDGs) set objectives that guide States on how to overcome existing sustainability challenges and go beyond to improve the quality of life of human beings everywhere in the world.





ერთია ამოცანის დასახვა და სულ სხვაა, მისი განხორციელება. მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღწევა სასარგებლოა ხელისუფლებისთვის, ბიზნეს სექტორისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ადგილობრივი თემებისთვის, შესაბამისად, ყველა ეს მხარე მიზნების განხორციელების პროცესში საკუთარ როლს უნდა თამაშობდეს.

COVID-19 პანდემიამ წარმოაჩინა სოციალური პრობლემების მძიმე გავლენები ეკონომიკაზე; ამასთან, კლიმატის ცვლილების უარყოფით გავლენას კიდევ უფრო შორს შეუძლია წაგვიყვანოს.

2016 წელს მსოფლიოს ლიდერები – მთავრობები, კერძო სექტორი, დარგის ექსპერტები, – კვლავ გაერთიანდნენ კაცობრიობისთვის კიდევ ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნისთვის, პარიზის შეთანხმების მისაღწევად, რომლითაც დადეს პირობა, გლობალური ტემპერატურა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით 2.0 გრადუს ცელსიუსზე „ბევრად დაბალ“ ნიშნულზე შეენარჩუნებინათ, სასურველ დონედ კი 1.5 გრადუს ცელსიუსი მიიჩნიეს.

მართალია, ამ შეთანხმების შესრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოების მთავრობები არიან პასუხისმგებელი, მაგრამ კერძო სექტორი კლიმატის გარიგებით დასახული ამოცანების მიღწევაში მაინც გადამწყვეტ როლს ასრულებს.

**კლიმატის კრიზისი: სად ვართ?**

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (NASA) 2021 წლის დასაწყისში გამოქვეყნებული სტატიის „2020 წლის კლიმატური მოვლენები“ თანახმად, ნახშირორჟანგის ($CO_2$) დონე ჰაერში, უკანასკნელი 650,000 წლის მანძილზე, ყველაზე მაღალია. ეკონომიკური რეცესიისა და ბევრი საწარმოს დახურვის მიუხედავად 2020 წელს ნახშიროჟანგის კონცენტრაციის საერთო დონე მაინც მზარდი იყო.

*THE IMPLEMENTATION OF THE PARIS AGREEMENT CALLS FOR ECONOMIC AND SOCIAL TRANSFORMATION, REQUIRING TECHNOLOGICAL DEVELOPMENT AND INNOVATIONS TO REDUCE GREENHOUSE GAS EMISSIONS THROUGHOUT THE WORLD AS SOON AS POSSIBLE.*

*პარიზის შეთანხმების განხორციელება მოითხოვს ეკონომიკურ და სოციალურ გარდასახვას, საჭიროებს, რაც შეიძლება სწრაფად, ტექნოლოგიურ განვითარებას და ინოვაციებს სათბურის აირების გაფრქვევების შესამცირებლად მთელს მსოფლიოში*

It's one thing to set an objective and it's another to implement it. Achieving the Sustainable Development Agenda is beneficial for all parties involved: the state, the business sector, civil society and local communities; therefore, each of these stakeholders needs to play a role in the implementation of these goals.

COVID-19 has illustrated the grave impact social problems can have on the economy, while the impending adverse impact of the climate change can harm us even more.

In 2016, world leaders, experts and the private sector once again came together, this time to unite forces around yet another vital deal – the Paris Agreement, pledging to keep global temperatures 'well below' 2.0 C above pre-industrial times and preferably limit warming to less than 1.5 C.

Even though the governments of the signatory States are responsible for the implementation of the provisions of the agreement, the private sector plays a crucial role in achieving the set objectives of the Climate Deal.

**The Climate Crisis: where do we stand?**

According to National Aeronautics and Space Administration (NASA) article on the Climate Events of 2020, dated January, 2021, carbon dioxide levels in the earth's atmosphere are the highest they have been in 650,000 years. Emissions have been increasing despite the economic recession and the closure of many companies. These shutdowns reduced the amount of carbon dioxide ($CO_2$) emissions in 2020, but overall $CO_2$ concentrations continue to increase.




გარდა ამისა, NASA-ს მიმოხილვის თანახმად, 2020 წელი მძიმე იყო დიდი მასშტაბის ტყის ხანძრებით ავსტრალიაში, ციმბირსა და აშშ-ში. ავსტრალიის ხანძრების შედეგად თითქმის 19 მილიონი ჰექტარი დაიწვა, რამაც ატმოსფეროში მასიური კვამლის და სხვა ნაწილაკების გაფრქვევა გამოიწვია. ტემპერატურის მატების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა ციმბირში 2020 წელს, რეგიონის ზოგიერთ ნაწილში ეს ზრდა 37 გრადუსს აღწევდა. უფრო მეტიც, გოდარდის სახელობის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის (GISS) ტემპერატურის ანალიზის თანახმად, ბოლო 30 წელიწადში არქტიკა სამჯერ უფრო სწრაფად თბება, ვიდრე დანარჩენი დედამიწა. დედამიწის ზედაპირის საშუალო გლობალური ტემპერატურა 2020 წელს გაუთანაბრდა 2016 წლის მაჩვენებელს, რომელიც რეკორდულად თბილი წელი იყო, ამავდროულად დედამიწის ისტორიაში, 1880 წლიდან მოყოლებული, ყველაზე თბილი 19 წელი 2000 წლის შემდეგ დაფიქსირდა.

კლიმატის ცვლილება ყველა ჩვენგანზე ახდენს გავლენას, განსაკუთრებით კი ღარიბ და მოწყვლად მოსახლეობაზე, ამასთან, საკვებისა და წყლის დეფიციტს უწყობს ხელს. თუ სახელმწიფოები არ გადადგამენ ნაბიჯებს სათბურის აირების გაფრქვევების შესამცირებლად, მომავალი წლები კიდევ უფრო მწვავე იქნება ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საზოგადოებების და საბაზრო ეკონომიკების თვალსაზრისით.

**რატომ არის კლიმატის გარიგება მნიშვნელოვანი?**

კლიმატის ცვლილებას მსოფლიომ პარიზის შეთანხმებით უპასუხა. 2021 წლის იანვრის მდგომარეობით შეთანხმების ხელმომწერია 194 სახელმწიფო და ევროპის კავშირი, რომლებიც აღიარებენ მსოფლიოს წინაშე არსებულ მძიმე რეალობას, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები არ გააერთიანებენ ძალებს და მნიშვნელოვან ნაბიჯებს არ გადადგამენ.

Further according to the NASA review, 2020 has been a challenging year with immense wildfires in Australia, Siberia, and the United States. Australian bush fires burned 46 million acres of land, releasing massive smoke and other particles in the atmosphere. A record temperature rise was recorded in Siberia in 2020 amounting to 37C in some parts of the region. Furthermore, according to a Goddard Institute for Space Studies (GISS) temperature analysis, the Arctic has been warming more than three times as fast as the rest of the globe over the past 30 years. Earth's global average surface temperature in 2020 tied with 2016 as the warmest year on record, while 19 of the warmest years since 1880, have occurred after 2000.

Climate change is affecting everyone, especially the poor and vulnerable, and exacerbates food and water scarcity. If states do not take action to reduce greenhouse gas emissions, the years ahead will be more challenging with natural disasters destroying societies and economies.

**Why is the Climate Deal important?**

The Paris Agreement is a global response to climate change. 194 States and the European Union are signatories to the Agreement as of January 2021, admitting to the grave reality the world is facing if countries don't come together and take significant steps.

The implementation of the Paris Agreement calls for economic and social transformation, requiring technological development and innovations to reduce greenhouse gas emissions throughout the world as soon as possible. Countries from the developed world have taken on the responsibility to financially support and build up the capacity of more vulnerable States in the implementation of the obligations of the treaty.



*COMPANIES SEE BUSINESS GROWTH POTENTIAL IN ECOLOGICALLY SUSTAINABLE PRODUCTS AND SERVICES*

*კომპანიები ხედავენ ეკოლოგიურად მდგრად პროდუქტებსა და მომსახურებებში ბიზნესის ზრდის პოტენციალს*

პარიზის შეთანხმების განხორციელება მოითხოვს ეკონომიკურ და სოციალურ გარდასახვას, საჭიროებს, რაც შეიძლება სწრაფად, ტექნოლოგიურ განვითარებას და ინოვაციებს სათბურის აირების გაფრქვევების შესამცირებლად მთელს მსოფლიოში. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, ხელმომწერი განვითარებული სახელმწიფოები პასუხისმგებლობას იღებენ ფინანსურად დაეხმარონ და ინსტიტუციურად გააძლიერონ უფრო სუსტი სახელმწიფოები.

შეთანხმების მხარე თითოეული ქვეყანა, მათ შორის, საქართველო, პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილების საპასუხოდ, 5 წელში ერთხელ, ამბიციური ეროვნული გეგმის შემუშავებაზე, რაც ხაზს უსვამს ადგილობრივ დონეზე სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, რათა მიღწეული იყოს პარიზის გარიგებით განსაზღვრული ამოცანები. ეს ნაბიჯები დააჩქარებს სახელმწიფოების გარდაქმნას დაბალი ნახშირბადის ეკონომიკებად და ამ პროცესში მათ მიერ შემუშავებული რეგულაციები პასუხისმგებლობას დააკისრებს ყველა ძირითად მხარეს, მათ შორის, ბიზნეს სექტორს.

**გარემოსდაცვითი მდგრადობის ბიზნეს სარგებელი**

მსოფლიოს ირგვლივ სულ უფრო მეტი ბიზნეს ლიდერი აღიარებს კლიმატის წინაშე არსებული გამოწვევების გადაუდებლობას და, 1.5 გრადუსის ტრაექტორიის თანმხვედრად, დგამს ნაბიჯებს საკუთარი ოპერაციების გარდასაქმნელად.

ერთ-ერთი ინიციატივა, რომელიც აერთიანებს ბიზნესს გაფრქვევების შემცირების მიზნების ირგვლივ არის ბიზნესის ამბიცია 1.5°C კამპანია, რომელიც გაეროს ორგანოების გლობალური ქსელის, ბიზნესის და ინდუსტრიის ლიდერების მიერაა მხარდაჭერილი. კამპანიაში ჩართული კომპანიები იღებენ ვალდებულებას, დაისახონ მეცნიერებაზე დამყარებული გაფრქვევების შემცირების ამოცანები - თავის ღირებულებათა ჯაჭვის მთელს სისტემაში.

Each State party to the Agreement, including Georgia, is responsible for the adoption of ambitious 5-year national plans on climate action, which outline steps directed at reduction of greenhouse gas emissions in order to reach the objectives set by the Paris Deal. These steps will accelerate the transition of States to low-carbon economies, and the regulations they adopt in this process will put pressure on major stakeholders to align their business practices with these aims.

**Business case for environmental sustainability**

Business leaders throughout the world have been increasingly recognizing the urgency of climate change and taking steps to transform their operations, aligning with the 1.5C trajectory.

One of the initiatives that unite businesses to set emission reduction targets is The Business Ambition for 1.5°C campaign backed by a global network of UN agencies, business and industry leaders. Companies joining the campaign commit to set science-based emissions reduction targets across their entire value chain.

But why are companies drawn to commit to climate action? Besides the above-mentioned arguments on the impact of climate change on the market economy, companies see business growth potential in ecologically sustainable products and services.

225 of the world's 500 largest companies surveyed by the Carbon Disclosure Project CDP) reported that climate-related business opportunities amount to $2.1 trillion dollars.

Further according to the CDP survey carried out in 2019, 215 of the biggest global companies report almost $1 trillion in risks from climate change impact, with many likely to come due within the next five years.

*კლიმატის ცვლილება ყველა ჩვენგანზე ახდენს გავლენას, განსაკუთრებით კი ღარიბ და მოწყვლად მოსახლეობაზე, ამასთან, საკვებისა და წყლის დეფიციტს უწყობს ხელს. თუ სახელმწიფოები არ გადადგამენ ნაბიჯებს სათბურის აირების გაფრქვევების შესამცირებლად, მომავალი წლები კიდევ უფრო მწვავე იქნება ბუნებრივი კატასტროფების შედეგად საზოგადოებების და საბაზრო ეკონომიკების თვალსაზრისით*

**CLIMATE CHANGE IS AFFECTING EVERYONE, ESPECIALLY THE POOR AND VULNERABLE, AND EXACERBATES FOOD AND WATER SCARCITY. IF STATES DO NOT TAKE ACTION TO REDUCE GREENHOUSE GAS EMISSIONS, THE YEARS AHEAD WILL BE MORE CHALLENGING WITH NATURAL DISASTERS DESTROYING SOCIETIES AND ECONOMIES**

ჩნდება კითხვა – რატომ იღებენ კომპანიები ვალდებულებას კლიმატის მოქმედებებზე? გარდა საბაზრო ეკონომიკაზე კლიმატის ცვლილების გავლენების შესახებ ზემოთ მითითებული დამაჯერებელი არგუმენტებისა, კომპანიები ხედავენ ეკოლოგიურად მდგრად პროდუქტებსა და მომსახურებებში ბიზნესის ზრდის პოტენციალს.

ნახშირბადის გაფრქვევების გამჟღავნების პროექტის (CDP) მიერ მსოფლიოს 500 ყველაზე მსხვილი კომპანიიდან გამოკითხული 225 კომპანიის პასუხებიდან გამომდინარე, კლიმატთან დაკავშირებული ბიზნეს შესაძლებლობები 2.1 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს.

უფრო მეტიც, CDP-ის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, 215 ყველაზე დიდი გლობალური კომპანიის კლიმატის გავლენისგან მომავალი რისკები 1 ტრილიონი აშშ დოლარის ტოლია, რომელთაგან ბევრი მომდევნო 5 წელიწადში შეიძლება გამოვლინდეს. მსოფლიოს ირგვლივ დიდმა კომპანიებმა, მართალია, უკვე დაიწყეს საკუთარი ოპერაციების ტრანსფორმირება კლიმატთან დაკავშირებული მიზნების გათვალისწინებით, თუმცა მცირე და საშუალო საწარმოები სათანადოდ ვერ იყენებენ აღნიშნულ ჩარჩოს, რადგან არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და შესაძლებლობები. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მიერ ევროპის კომისიის მხარდაჭერით დანერგილი ახალი ბიზნეს მიდგომა, ეკო-ინოვაცია, ხელს უწყობს მდგრადობას პროდუქტის მთელს სასიცოცხლო ციკლში და ამავდროულად უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის ზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მიდგომა შემუშავებულია განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად კორპორაციული ტრანსფორმაციის პროცესში.

ეკო-ინოვაციას შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს ახალ და მზარდ ბაზრებზე შეღწევაში, პროდუქტიულობის გაზრდაში, ბიზნესისთვის ახალი ინვესტიციების მოზიდვაში, ღირებულებათა ჯაჭვში მოგების ზრდაში და დაეხმაროს მათ მზად დახვდნენ სხვადასხვა რეგულაციასა თუ სტანდარტს.

While large companies throughout the world have already commenced the transformation of their operations and taken into account climate-related targets in their business plans, small and medium-sized enterprises (SMEs) remain vulnerable to this change due to a lack of knowledge and capacity.

Eco-innovation, an approach adopted by the United Nations Environment Programme (UNEP) with the support from the European Commission, is a new business approach which promotes sustainability throughout the entire life cycle of a product, while also boosting a company's performance and competitiveness. The approach has been adopted to particularly support SMEs in the corporate transformation process.

Eco-innovation can help SMEs access new and expanding markets, increase productivity, attract new investments to their business, increase profitability across the value chain and help them stay ahead of regulations and standards.



**რა ხდება შემდეგ?**

ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფი ცვლილებების სამყაროში, რომელიც მომდევნო წლებში კიდევ უფრო დაჩქარებულ მოქმედებას მოითხოვს სოციალური და კლიმატური გამოწვევების დასაძლევად. განსაკუთრებით ახლა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ხელახლა შეუერთდა პარიზის შეთანხმებას  და ისახავს ამბიციურ კლიმატურ ამოცანებს, გლობალური პროცესები კვლავ სწრაფმავალ გზაზეა. მდგრადობა მომავლის ბაზრების მამოძრავებელი იქნება.

მართალია, მნიშვნელოვანია მივყვეთ ამ პროცესს, გვქონდეს უახლესი ინფორმაცია და ვიმოქმედოთ დროულად, თუმცა შეუძლებელია ამის დამოუკიდებლად გაკეთება. სახელმწიფოს, ბიზნესის და სამოქალაქო საზოგადოების მიერ გადადგმული ნაბიჯები კოორდინირებული და თანმხვედრი უნდა იყოს. მომავალი ერთიანობას მოითხოვს.

აღარ არის იმის დრო, რომ დავსვათ კითხვა **რატომ?** შეზღუდულია **როგორ?** და როდის? კითხვების დასმის დროც. **კონკრეტული, სწრაფი ნაბიჯების გადადგმის დროა!**

*სალომე ზურაბიშვილი*

*აღმასრულებელი დირექტორი*
*გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი*

**What's Next?**

We are living in a world of rapid transformations that will require further accelerated action in the years to come to effectively tackle social and climate challenges. Especially now with the United States rejoining the Paris Agreement in 2021 and setting ambitious climate goals, these global processes are back on the fast-track. Sustainability will drive the markets of the future.

While it is important to be up-to-date and act swiftly, it is also impossible to do it alone. The steps taken by the State, the business community and civil society actors need to be coordinated and complimentary. The future demands unity.

The time for asking **Why?** is long gone, the time for **How?** and When? is limited, since the time for **Concrete Rapid Actions** is already here!

*SALOME ZURABISHVILI*

*EXECUTIVE DIRECTOR*
*GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA*

*აღარ არის იმის დრო, რომ დავსვათ კითხვა რატომ? შეზღუდულია როგორ? და როდის? კითხვების დასმის დროც. კონკრეტული, სწრაფი ნაბიჯების გადადგმის დროა!*

**THE TIME FOR ASKING WHY? IS LONG GONE, THE TIME FOR HOW? AND WHEN? IS LIMITED, SINCE THE TIME FOR CONCRETE RAPID ACTIONS IS ALREADY HERE!**

## ADDED VALUE FROM ECO-INNOVATION



| | |
|---|---|
| Access | Access new and emerging markets |
| Increase | Increase profitability along the value chain |
| Stay ahead | Stay ahead of standards and regulation |
| Attract | Attract Investment |
| Increase | Increase profitability and technical capacity |

# ის, რაც კარგია პლანეტისთვის, კარგია მაიკროსოფტისთვის

*ინტერვიუ კომპანია „მაიკროსოფტ საქართველოს“ წარმომადგენელთან და გაყიდვების დირექტორთან **ქეთი რატიანთან.***

*Interview with **Katie Ratiani**, Microsoft Representative and Director of Sales in Georgia.*



# WHAT'S GOOD FOR THE PLANET IS ULTIMATELY GOOD FOR MICROSOFT

*ახლა, ყველა კომპანია, საქართველოშიც და მსოფლიოშიც, ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ კომპანიად ტრანსფორმირდა*

*EVERY COMPANY IS NOW BECOMING TECH FOCUSED, BOTH GLOBALLY AND IN GEORGIA*

**საწყის ეტაპზე, კომპანიების უმეტესი ნაწილისთვის პირველი „ლოქდაუნი“ დამაზიანებელი აღმოჩნდა. მათმა დიდმა ნაწილმა სწრაფად ადაპტაცია ვერ შეძლო. მიუხედავად ამგვარი მოცემულობისა, შეიძლება თუ არა აღნიშნული სიტუაცია მივიჩნიოთ, როგორც დადებითი ცვლილებების საწინდარი? შეიძლება თუ არა ამ პროცესმა კომპანიები მიიყვანოს ქცევის ახალ სტანდარტებამდე, როგორიცაა საკუთარი ბიზნესის გაციფრულება და მართვის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა?**

მიმდინარე კრიზისი, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა. ამჟამინდელი გლობალური ეკონომიკური კლიმატისა და გაურკვევლობის პერიოდის ყველაზე დიდი გაკვეთილი ისაა, რომ არც ერთი ბიზნესი არ არის დაზღვეული კრიზისისგან და არც ერთი ორგანიზაცია არ არის 100%-ით გამძლე. პანდემიამ ასევე გვასწავლა, რომ ციფრული შესაძლებლობების მქონე ბიზნესებმა უფრო სწრაფად და ეფექტურად შეძლეს ადაპტირება და მომხმარებლების საჭიროებებზე შესაბამისად რეაგირება.

*RESILIENCE - THIS ABILITY TO ADAPT QUICKLY TO CHANGING CONDITIONS – HAS BECOME THE HALLMARK FOR SUCCESS IN TODAY'S ENVIRONMENT*

*დღევანდელ რეალობაში, მოქნილობა – შესაძლებლობა სწრაფად მოერგო ცვალებად პირობებს – წარმატების საზომი ინდიკატორი გახდა*

ჩვენი ქვეყნის ყველა ინდუსტრია ტრანსფორმაციული ცვლილებების წინაშე დგას. ბევრი ორგანიზაციისთვის წარმატების საზომი მექანიზმები შეიცვლება. ამ რთულმა პერიოდმა კიდევ უფრო მეტად დაგვანახა გამძლეობის, ადაპტაციისა და მოქნილობის უნარის საჭიროება. როგორც სატია ნადელამ ახლახანს აღნიშნა, „ორი წლის ვადაში განსახორციელებელი ციფრული ტრანსფორმაცია, ორ თვეში ვიხილეთ“. დავინახეთ, რომ სამუშაო კულტურაში მრავალი ცვლილება უკვე დაჩქარებულია, მაგალითად, გაზრდილი მოთხოვნილებები მობილობის, დისტანციური მუშაობისა და კატეგორიზირებული გუნდური სამუშაოს მიმართულებებით. დღევანდელ რეალობაში, მოქნილობა – შესაძლებლობა სწრაფად მოერგო ცვალებად პირობებს – წარმატების საზომი ინდიკატორი გახდა.

ქართული ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს ციფრული ტრანსფორმაცია, უკვე ხედავენ სარგებელს – ტექნოლოგიების საშუალებით, საჭიროებებზე მორგებულ შესაძლებლობებსა და ინსტრუმენტებზე წვდომა გაჩნდა. მასშტაბურობისა და იმპელემენტაციის სიჩქარის წყალობით, ორგანიზაციების ხარჯთა დაზოგვა იზრდება. ეფექტური, სწრაფი და თვითკმარი საშუალებების წყალობით კი თანამშრომლები პროდუქტიულობას ინარჩუნებენ.

ამ ორგანიზაციებმა, გამოწვევებზე სწრაფი რეაგირების უნარი გამოამჟღავნეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კრიზისმა მათ ინდუსტრიებზე გავლენა მოახდინა, აღდგენისთვის საჭირო მყარი საფუძველი მათ უკვე აქვთ. მეტიც, აღნიშნული ორგანიზაციები უკვე იმაზე იწყებენ ფიქრს, თუ რას მოიტანს მომავალი.

**რა მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას ქართულ კომპანიებში? რა მიმართულებებით გამოიკვეთა გაციფრულების სტანდარტების დადგენის საჭიროებები?**

**Impact of current challenging times – in the early stages, most companies found the first lockdown to be damaging, and most of them were unable to adapt quickly. Despite such a state, can this situation be considered as a precondition for positive change? Can this process lead the company to new behavior standards, such as digitizing their own businesses and switching to remote management mode?**

This is an exceptional moment in the history of Georgia and the whole world, and over the past several months, we have all been put to the test. During this current global economic climate and time of uncertainty, the biggest lesson learned is that no business is immune to a crisis, and no organization is 100% resilient. However, it has also taught us that digital businesses and those fortified with some digital capabilities have been able to pivot more rapidly and respond to their customers' needs.

Every industry in our country is facing transformational change right now. For many organizations, how they defined success yesterday is not how they're defining it today. Actions they will take today will impact the future as never before.

These challenging times have made us all more acutely aware of the need to be resilient, adaptive, and flexible. As Satya Nadella recently said, "we've seen two years of digital transformation in two months." We've seen an acceleration of many workplace changes already well underway, such as increased needs for "remote everything," including support of mobility, remote work, and distributed teams. Resilience - this ability to adapt quickly to changing conditions – has become the hallmark for success in today's environment.

Georgian organizations that have already embarked on their transformational journey are seeing the benefits. With cloud-enabled technologies, they have access to on-demand tools and capacity tailored to their needs. With scalability and speed of implementation, they see increased cost savings. And with efficient, agile, and self-sufficient tools, their employees are staying productive across the organization.

These organizations have been able to respond quickly. As these challenging times have impacted their industries, they have a solid foundation for recovery, and they're already starting to reimagine what the future may bring.

**What is the significance of introducing international standards to Georgian companies? In what ways has the need for setting digitization standards become vivid?**

ახალ ათწლეულში ვაბიჯებთ. შესაბამისად, მომხმარებლების განვითარებად საჭიროებებზე დაფუძნებული ტექნოლოგიის შექმნაზე ვართ ორიენტირებულები. ახლა, ყველა კომპანია, საქართველოშიც და მსოფლიოშიც, ტექნოლოგიურ კომპანიად ტრანსფორმირდება. ჩვენს მიერ თითოეული ინსტრუმენტისა და სერვისის შექმნის პროცესში, ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის მიმდინარე ტალღა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა კომპანიებს უფრო ჭკვიანი, პროდუქტიული და ეფექტური საქმიანობის წარმოებაში დავეხმაროთ.

იმისათვის, რომ მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ორგანიზაციებმა ციფრული ტრანსფორმაცია მოახდინონ, საჭიროა სამუშაო სივრცეში ინტეგრირებული საშუალებების გამოყენებით თითოეული თანამშრომლის გაძლიერებაზე იფიქრონ, რაც თანამშრომლებს დაეხმარება იყვნენ კიდევ უფრო პროდუქტიულები და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულები.

წარმატების მისაღწევად, ბიზნესმა თითოეულ სამუშაო ასპექტს შორის ციფრული კავშირი უნდა შექმნას, მომხმარებლებიდან – თანამშრომლებამდე, ოპერაციებიდან – პროდუქტებამდე.

**Microsoft-ი მომავალზე ორიენტირებული კომპანიაა. რა როლი აქვს მდგრად ბიზნესს მომავლის გარდაქმნაში?**

Microsoft-ის ერთ-ერთ მიზანია, ტექნოლოგიების გამოყენებით, გადაჭრას მსოფლიოში ყველაზე გადაუდებელი გარემოსდაცვითი პრობლემები. კომპანია ფოკუსირდება სფეროებზე, რომლებსაც უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორებიცაა ნახშირბადი, ენერგია, წყალი და ნარჩენები.

*WE HAVE COMMITTED MICROSOFT TO BECOMING A CARBON NEGATIVE, ZERO WASTE COMPANY THAT IS BUILDING A NEW PLANETARY COMPUTING PLATFORM TO TRANSFORM THE WAY WE MONITOR, MODEL, AND ULTIMATELY MANAGE EARTH'S NATURAL SYSTEMS*

*Microsoft-ი გახდა „ნახშირბად-უარყოფითი“, რაც ნიშნავს, რომ კომპანია ატმოსფეროში ჭარბ ნახშირბადს აღარ გამოყოფს. კომპანია აშენებს პლანეტარული გამოთვლის პლატფორმას, რომელიც დედამიწის ბუნებრივი სისტემების მონიტორინგის, მოდელირებისა და მართვის მეთოდს გარდაქმნის*

As we step into a new decade, we're focused on designing and building technology, based on our customers' evolving needs. Every company is now becoming tech focused, both globally and in Georgia. That's a big consideration for all the tools and services we create to help companies do business in smarter, more productive, and efficient ways.

Our local and international customers are adapting to massive changes in the way work gets done and their workforce expectations. Teamwork is central. Mobility is a given. Remote work is on the rise. Information is more abundant (and overwhelming) than ever. And security remains a top priority.

For organizations to digitally transform in the next decade of work, they must think about empowering every employee in the workplace with seamlessly integrated tools that help them become more connected, mobile, and productive. To be successful, organizations need to digitally connect every facet of their business, from their customers to their employees, and from their operations to their products.

Technology is certainly at the center of how these companies look at surviving and thriving in this world. As we've continued to partner with organizations in every industry over the past few months, it's clear that the need to transform is only accelerating, and organizations who haven't already invested in digital transformation are working to catch up.

**Microsoft is a future-oriented company. What role does a sustainable business play in transforming the future?**

Microsoft is committed to leveraging technology to solve some of the world's most urgent environmental issues — focusing on areas where we can have the greatest impact, including carbon, energy, water, and waste.



*ყოველდღე ვმუშაობთ მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვებთან, რათა წვლილი შევიტანოთ კლიმატის კრიზისის აღმოფხვრაში*

**WE'RE WORKING EVERY DAY WITH OUR CUSTOMERS, PARTNERS, NGOS, AND OTHERS WORLDWIDE TO ADDRESS THE CLIMATE CRISIS**

ჩვენი მისიაა პლანეტის ყველა ადამიანისა და ორგანიზაციის გაძლიერება უფრო მეტის მიღწევის მიზნით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიზნესის მიზანი და, შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობა, ადამიანებისა და პლანეტის პრობლემებისთვის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველდღე ვმუშაობთ მომხმარებლებთან, პარტნიორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვებთან, რათა წვლილი შევიტანოთ კლიმატის კრიზისის აღმოფხვრაში. ის, რაც კარგია პლანეტისთვის, კარგია Microsoft-ისთვის.

ჩვენი მიზანი მარტივია: მსოფლიოში ინოვატორებთან თანამშრომლობა – ტექნოლოგიის, ინსტრუმენტებისა და ტრენინგების საშუალებით, რაც მათ დედამიწის ბუნებრივი რესურსების მართვის უფრო ეფექტურ საშუალებას მისცემს და პლანეტის დაცვისთვის საჭირო ახალ, უკეთეს გზებს აღმოაჩენინებს.

გასული წლის განმავლობაში, Microsoft-ი გახდა „ნახშირბად-უარყოფითი“, რაც ნიშნავს, რომ კომპანია ატმოსფეროში ჭარბ ნახშირბადს აღარ გამოყოფს. მსგავსი პოლიტიკაა ნულოვანი ნარჩენების მიმართაც. კომპანია აშენებს პლანეტარული გამოთვლის პლატფორმას, რომელიც დედამიწის ბუნებრივი სისტემების მონიტორინგის, მოდელირებისა და მართვის მეთოდს გარდაქმნის. ამბიციური მიზნების დასახვის მიღმა, ჩვენთვის პრიორიტეტულია ტექნოლოგიის გამოყენება სასიკეთო მიზნებისთვის, რათა ჩვენმა მომხმარებელმაც გადადგას მსგავსი ნაბიჯები.

**რა როლი აქვს კორპორაციულ მდგრადობას კომპანიაში? გაგვიზიარეთ კომპანიის პასუხისმგებლობიანი ბიზნეს პრაქტიკა.**

Our mission is to empower every person and organization on the planet to achieve more. We believe that the purpose of business – and our responsibility – is to produce profitable solutions to people and the planet's problems. That's why we're working every day with our customers, partners, NGOs, and others worldwide to address the climate crisis. What's good for the planet is ultimately good for Microsoft.

Our goals are simple: to partner with innovators worldwide by providing the technology, tools, and training that enable them to better manage Earth's natural resources, and to work with them, hand in hand, to discover new and better ways to protect our planet.

Over the past year, we have committed Microsoft to becoming a carbon negative, zero waste company that is building a new planetary computing platform to transform the way we monitor, model, and ultimately manage Earth's natural systems. Our pledge today to become water positive by 2030. As in our other areas, we're committed not only to setting ambitious goals for ourselves but using technology to better help our customers to do the same.

**The journal aims to highlight the importance of responsible business practices. What role does Corporate Responsibility (CR) play in Microsoft's philosophy?**

Microsoft's goal, empowering every person and every organization to achieve more, requires careful attention to the impact of our business practices, policies, and community investments. Our business practices and policies reflect our commitment to making a positive impact around the globe. We work to apply the power of technology, to earn and sustain the trust of the customers and partners we empower, and the communities in

*MICROSOFT IS COMMITTED TO LEVERAGING TECHNOLOGY TO SOLVE SOME OF THE WORLD'S MOST URGENT ENVIRONMENTAL ISSUES — FOCUSING ON AREAS WHERE WE CAN HAVE THE GREATEST IMPACT, INCLUDING CARBON, ENERGY, WATER, AND WASTE*

*კომპანია ფოკუსირდება სფეროებზე, რომლებსაც უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორებიცაა ნახშირბადი, ენერგია, წყალი და ნარჩენები*

Microsoft-ის მიზანი - თითოეული ადამიანისა და ორგანიზაციის გაძლიერება უფრო მეტის მისაღწევად – მოითხოვს ყურადღებით დაკვირვებას იმაზე, თუ რა გავლენა აქვს ჩვენს ბიზნეს-პრაქტიკას, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ინვესტიციებს. ჩვენი ბიზნეს-პრაქტიკა და პოლიტიკა ასახავს ჩვენს ვალდებულებას – მსოფლიოზე პოზიტიური გავლენა მოვახდინოთ. ჩვენ ვცდილობთ გამოვიყენოთ ტექნოლოგიები, რათა მივიღოთ და შევინარჩუნოთ მომხმარებლებისა და პარტნიორების ნდობა და გავაძლიეროთ ის საზოგადოება, რომელთან ერთადაც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ. საუბარია ისეთი მდგრადი მომავლის შექმნაზეც, რომელშიც ყველას ექნება წვდომა  ტექნოლოგიის მიერ შექმნილ შესაძლებლობებსა და სარგებელზე.

**და ბოლოს, როგორ ფიქრობთ, რა გავლენა ექნება პანდემიას ბიზნესის კეთების კულტურაზე საქართველოში და მსოფლიოში? რა არის თქვენი მოლოდინები?**

ამჟამად ათვისებული შესაძლებლობები, ციფრული ტრანსფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილია. კომპანიამ უნდა დააზუსტოს ხედვა და სტრატეგია, დახვეწოს კულტურა და განსაზღვროს უნიკალური პოტენციალი – ამ ელემენტების კომბინაცია  ორგანიზაციას გამძლეობისთვის, მოქნილობისთვის ამზადებს და ცვალებად პირობებზე სწრაფ რეაგირებაში ეხმარება.

which we live and work. This focus extends to our work to build a sustainable future where everyone can access the benefits and opportunities that technology can bring. It's central to our mission to empower every person and organization to achieve more, and it's why many of our employees come to work every day.

We know that our decisions affect our employees, customers, partners, shareholders, suppliers, and communities, and we take their voices into account. Microsoft receives input from millions of people each year—from individual customers to policymakers and global human rights specialists. We bring outside perspectives into the company and inform our business decisions through a variety of feedback channels.

We go beyond formal channels, proactively engaging with key stakeholders, advocacy groups, industry experts, Corporate Responsibility (CR) rating agencies, CR-focused investors, and many others.

**Finally, what do you think will be the pandemic's impact on the business culture in Georgia and abroad? What are your expectations?**

Capabilities you leverage are just part of the digital transformation journey. The company needs to clarify the vision & strategy, refine the culture, and identify unique potential – together, these elements position the organization for the resilience that helps you respond quickly to changing conditions.



ახლა, ისე როგორც არასდროს, ორგანიზაციები ისეთი მიზნის დასახვის საჭიროებას ხედავენ, რომელიც მათი ციფრული ტრანსფორმაციის ფუნდამენტად იქცევა. ნათელია, რომ სწორედ ტექნოლოგიებმა უნდა უზრუნველყონ ამ მიზნის განხორციელების შესაძლებლობა.

ორგანიზაციებს შეუძლიათ ტრანსფორმირდნენ მაშინ, როცა გუნდი საერთო ღირებულებებთან და იდეებთან თანხვედრაში ერთობლივი ძალისხმევით მუშაობს. მდგრადობის შესაქმნელად საჭიროა ახალი იდეების, პროცესებისა და ტექნოლოგიების მიმართ მიმღებლობა. ჩვენი დაკვირვებით, ტრანსფორმაციის პროცესში ლიდერობენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც პიროვნების, შესაძლებლობების, იდეებისა და მიდგომების მრავალფეროვნების მიმართ მიმღებლობა  აქვთ.

ჩვენ ვხვდებით, რომ სამყარო, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, არსებითად განსხვავდება იმ სამყაროსგან, რომელშიც გუშინ ვცხოვრობდით. ერთი წლის შემდეგ ის კიდევ უფრო განსხვავებული იქნება. მიზანმიმართული მოქმედებით, ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა გავხადოთ დედამიწა უკეთესი.

ახლა, ისე როგორც არასდროს, მიგვაჩნია, რომ ქართული კომპანიების დახმარება გაციფრულებისა და მდგრადობის შენების მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. წინა თვეებმა ნათლად გვაჩვენა, რომ გაციფრულებისთვის – ძლიერი მიზნობრივი საფუძველია  საჭირო.

*მიზანმიმართული მოქმედებით, ჩვენ გვაქვს რეალური შესაძლებლობა გავხადოთ დედამიწა უკეთესი*

**TOGETHER, WE HAVE A REAL OPPORTUNITY TO HELP THE EARTH BE THE BEST PLACE IT CAN BE BY LEADING WITH PURPOSE**



Now more than ever, organizations are seeing the need for a higher calling – a purpose that animates their organization and guides their transformational journey. It's clear: All the technology must enable that purpose.

We see that organizations can go through a transformation when the people inside it are unified and working with shared values and ideas. They have a Culture that keeps their team connected and an organizational mindset rooted in flexibility and openness: Openness to new ideas, processes, and technologies – that's what it takes to build resilience. We notice that organizations whose culture accepts the diversity of personalities, abilities, ideas, and approaches required to drive an organization forward are those that do best with transformation.

We all understand that the world we're living in now is fundamentally different from the world we were living in yesterday, and it will almost certainly look different one year from now. Together, we have a real opportunity to help it be the best place it can be by leading with purpose.  Digital transformation isn't an end in itself – each step on the journey unlocks new levels of resilience, putting organizations in a position to recover from these uncertain times and come out stronger.

Now more than ever, we believe that helping Georgian companies become digital to build that resilience is critically important. But the past several months have made it clear: becoming digital must be rooted in a strong sense of purpose.

# HG

დღეს, როცა მსოფლიოს საერთო გამოწვევა - პანდემიასთან ბრძოლა აერთიანებს, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა საზოგადოებისა და გარემოს დაცვისთვის ერთიანი ბრძოლის საჭიროება. ბიზნეს სექტორმა, კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო ცხადად დაინახა, რომ საერთო საქმის კეთებაში მათი როლი გადამწყვეტია.

TODAY, WHEN THE WHOLE WORLD FACES A SINGLE, MOST IMPORTANT CHALLENGE - WINNING THE WAR AGAINST THE CORONAVIRUS PANDEMIC - THE NEED TO PROTECT SOCIETY AND THE ENVIRONMENT, WITH A UNIFIED FORCE, HAS BECOME EVEN CLEARER. ONCE AGAIN, THE BUSINESS SECTOR HAS BEEN REASSURED THAT THEIR ACTIVE COOPERATION AND INVOLVEMENT IN BUILDING 'COMMON GOOD' IS CRUCIAL.

*„ინკლუზიური საზოგადოება - საქართველოსთან“ ერთად კომპანიამ შექმნა კამპანია „დაინახე უსინათლო თანამოქალაქე,“ რაც პლასტმასის ჭიქების ხალხმრავალ სივრცეებში ეკომეგობრული ჭიქებით ჩანაცვლებას მოიცავდა*

*TOGETHER WITH THE ORGANIZATION, INCLUSIVE SOCIETY - GEORGIA, THE COMPANY LAUNCHED THE "SEE A FELLOW VISUALLY IMPAIRED CITIZEN" CAMPAIGN, WHICH AIMS TO REPLACE PLASTIC CUPS WITH ECO-FRIENDLY CUPS IN CROWDED SPACES*

წლების წინ, სანამ მსოფლიოსა და საქართველოს პრობლემათა სიის სათავეში პანდემია მოექცეოდა, ქართულ ბაზარზე გარემოს მეგობარი სარეკლამო კომპანია HG გამოჩნდა. კომპანია HG ერთ-ერთი პირველია საქართველოში, ვინც პლასტმასთან ბრძოლის ალტერნატივა მოძებნა და პლასტმასი ქაღალდით ჩაანაცვლა.

პანდემიის დაწყებიდან მალევე კომპანია ბაზრის საჭიროებებს მოერგო, პირბადეების წარმოება დაიწყო და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობის პრეცენდენტიც შექმნა. ორგანიზაციების „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ და „უკეთესი მომავლისთვის“ დახმარებით, კომპანიამ წეროვნის დევნილთა დასახლებაში სამკერვალო სალონის ფილიალი გახსნა და 30-მდე იძულებით გადაადგილებული ქალი დაასაქმა.

ლუგარის ლაბორატორიიდან დასკვნის მიღების შემდეგ კომპანიამ მთავრობისაგან და რამდენიმე მსხვილი დამკვეთისგან შეკვეთები მიიღო - დღეს კი მის მიერ წარმოებული რამდენიმე სახეობის პროდუქცია წარმატებით იყიდება სხვადასხვა ქსელურ მაღაზიაში.

Years ago, before the pandemic topped the list of global (and, therefore, Georgian) issues, the environmentally friendly advertising company – HG, appeared on the Georgian market. HG is one of the first companies in Georgia to implement a broadly useful mechanism in the fight against plastic, by replacing it with paper.

Shortly after the pandemic started, the company adapted to the market's needs and started producing face masks. With the support of Global Compact Network Georgia, the company has set a precedent for successful cooperation with non-governmental organizations. With the help of organizations like Welfare and Development Center and For a Better Future, the company opened a sewing salon in the Tserovani Internally Displaced Persons (IDP) settlement and employed around 30 IDP women.

After getting a report of approval from the Lugar Research Center, HG received orders from the government, as well as several major clients. Today, several of its products are successfully sold in various stores. Most of the reusable face masks were distributed by the aforementioned organizations to socially vulnerable families.






*HG IS ONE OF THE FIRST COMPANIES IN GEORGIA TO IMPLEMENT A BROADLY USEFUL MECHANISM IN THE FIGHT AGAINST PLASTIC, BY REPLACING IT WITH PAPER*

*კომპანია HG ერთ-ერთი პირველია საქართველოში, ვინც პლასტმასთან ბრძოლის ალტერნატივა მოძებნა და პლასტმასი ქაღალდით ჩაანაცვლა*

მრავალჯერადი პირბადეების დიდი ნაწილი კი ორგანიზაციებმა სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაურიგეს.

„ინკლუზიური საზოგადოება – საქართველოსთან“ ერთად კომპანიამ შექმნა კამპანია „დაინახე უსინათლო თანამოქალაქე,“ რაც პლასტმასის ჭიქების ხალხმრავალ სივრცეებში ეკომეგობრული ჭიქებით ჩანაცვლებას მოიცავდა. გარემოზე პირდაპირ ზრუნვასთან ერთად, მათ ჭიქებზე დაიტანეს შემდეგი გზავნილი – დაინახე უსინათლო თანამოქალაქე. კამპანიაში არაერთი ორგანიზაცია ჩაერთო, რის შედეგადაც შემოსული თანხის ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებს ხელჯოხების შესაძენად გადაეცათ.

მიუხედავად იმისა, რომ HG Company ამ ეტაპზე პატარა კომპანიაა, ის საკმაოდ ინტენსიურადაა ჩართული კორპორაციული პასუხისმგებლობისკენ მიმართულ აქტივობებში, რადგან, როგორც კომპანიაში ამბობენ, მათი კორპორაციული იდეოლოგიის საყრდენი – გლობალური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა.

Together with the organization, Inclusive Society - Georgia, the company launched the "See a Fellow Visually Impaired Citizen" campaign, which aims to replace plastic cups with eco-friendly cups in crowded spaces. Another purpose of this campaign is to spread the message, put on the cups - "See a Fellow Visually Impaired Citizen." Numerous organizations were involved in the campaign, due to which, part of the proceeds were donated to non-governmental organizations to purchase canes.

Although HG is a small company, it is quite intensively involved in corporate responsibility activities. As the company believes, the cornerstone of its corporate ideology is to solve social and environmental issues globally.

Wolt

# WOLT

გლობალური პანდემიის დაწყებისთანავე, საკვების მიწოდება პირველადი საჭიროების მომსახურებად იქცა. საქართველოში მკაცრი კარანტინის პერიოდში, მიტანის სერვისი „ვოლტი“ იმ ერთეულ კომპანიებს შორის აღმოჩნდა, რომელსაც ოპერირების უფლება შეუნარჩუნდა. არსებულმა კრიზისმა კომპანიას დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა და ორი უმთავრესი გამოწვევის წინაშე დააყენა - კომპანიას შეძლებოდა უსწრაფესად მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება ისე, რომ შეენარჩუნებინა მომსახურების მაღალი ხარისხი, და, ამავდროულად, შეენარჩუნებინა პროცესში ჩართული თითოეული რგოლის - გუნდის, პარტნიორების, მერჩანტებისა და, რაც მთავარია, მომხმარებლების უსაფრთხოება.

**WITH THE ONSET OF THE GLOBAL PANDEMIC, FOOD DELIVERY HAS BECOME AN ESSENTIAL SERVICE. DURING THE STRICT QUARANTINE PERIOD IN GEORGIA, THE DELIVERY SERVICE WOLT WAS AMONG THE FEW COMPANIES THAT RETAINED THE RIGHT TO OPERATE. THE CURRENT CRISIS HAS PLACED GREAT RESPONSIBILITY ON THE COMPANY AND POSED TWO MAJOR CHALLENGES: 1) THE COMPANY HAD TO MEET A FAST GROWING DEMAND, WHILE MAINTAINING A HIGH QUALITY OF SERVICE AND 2) MAINTAIN THE SAFETY OF EVERY PERSON INVOLVED - STAFF, PARTNERS, MERCHANTS, AND CUSTOMERS.**

*დაძლეული სიძნელეებისა და გამოჩენილი პასუხისმგებლობის ფონზე, „ვოლტი” აგრძელებს საზოგადოებისთვის საკეთილდღეო საქმის კეთებაში აქტიურ ჩართულობას*

*APART FROM OVERCOMING DIFFICULTIES AND TACKLING AN OUTSTANDING RANGE OF RESPONSIBILITIES, WOLT CONTINUES TO BE ACTIVELY INVOLVED IN DOING GOOD FOR THE SOCIETY*

მკაცრი კარანტინის პერიოდში, „ვოლტის“ მთელი გუნდი გაერთიანდა. „როდესაც ევროპის ქვეყნებში ქალაქები ერთი მეორის მიყოლებით იკეტებოდა, ჩვენ საშუალება გვქონდა ერთმანეთისთვის გამოცდილებები გაგვეზიარებინა, ამოცანები გაგვენაწილებინა და, შედეგად, ცვლილებებს უფრო მომზადებულები შევხვედროდით“, – ამბობს კომპანიის გენერალური მენეჯერი, ნატალია ხიზანიშვილი.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნა გაიზარდა არა მხოლოდ მომხმარებლების, არამედ რესტორნების მხრიდანაც – თუკი ადრე ზოგი რესტორანი თავს არიდებდა მიტანის სერვისის კომპანიებთან თანამშრომლობას, პანდემიის დროს ეს პრაქტიკულად მათი შემოსავლების ერთადერთ წყაროდ იქცა. შესაბამისად, კომპანია იმატებდა რესტორნებს, კურიერებს, თანამშრომლებს. გუნდის წვრთნა და მომზადება კი ონლაინ რეჟიმში ხორციელდებოდა, რაც თითოეული წევრის სამუშაო პროცესში უწყვეტ ჩართულობას მოითხოვდა.

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, კომპანიამ საგანგებო რეჟიმში სუპერმარკეტებიდან მიტანის სერვისის დამატებაც შეძლო, რადგან ეს მომსახურება მომხმარებელს იმ პერიოდში განსაკუთრებულად სჭირდებოდა.

„ვოლტი“ ითვალისწინებდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თითოეულ მოთხოვნასა და რეგულაციას. თუმცა, დამატებითი ზომების საჭიროებაც გამოიკვეთა, რადგან პარტნიორი კურიერები ყოველდღიურად ასობით ადამიანს ხვდებოდნენ და კომპანიის ამოცანა ამ კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანა იყო. შესაბამისად, შემუშავდა რეკომენდაციები პარტნიორი რესტორნებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, კურიერიებისთვის საკვების უკონტაქტო გადაცემის კუთხის მოწყობა.

*IN 2019, THE COMPANY STARTED A PARTNERSHIP WITH THE LEADING ORGANIZATION IN THE CLIMATE INDUSTRY SOUTH POLE. WITH THEIR HELP, WOLT WILL COMPENSATE 100% OF THE DAMAGES CAUSED TO THE ENVIRONMENT BY THEIR HARMFUL EMISSIONS DURING THE DELIVERY PROCESSES*

During the period of strict quarantine, the whole team of Wolt united. "When cities in European countries went into lockdown, one after another, we had the opportunity to share experiences and tasks. As a result, we were able to adapt to change in a more prepared manner," said Natalia Khizanishvili, the company's general manager.

A noteworthy detail from Wolt's pandemic experience was the increase in demand from customers and restaurants. If some restaurants avoided cooperating with delivery service companies in the past, now there cooperation became their only income source during the pandemic. Accordingly, Wolt had to add more restaurants, couriers, and employees. The team was prepared though and trained online. Each member's continuous involvement was needed in the work process.

Despite the setbacks, the company was also able to add a delivery service from the supermarkets in emergency mode, as the customers needed this service the most.

*2019 წელს კომპანიამ თანამშრომლობა დაიწყო კლიმატის ინდუსტრიის ლიდერ ორგანიზაცია South Pole-თან, რომლის დახმარებითაც „ვოლტი“ 100%-ით აკომპენსირებს შეკვეთების მიტანისას გამოყოფილი მავნე გამონაბოლქვით გარემოსთვის მიყენებულ ზიანს*

*ბიზნესის მდგრადობა კი დღეს გარემოზე პოზიტიური გავლენის მოხდენას გულისხმობს იმისათვის, რომ საქმიანობის გაგრძელება შეძლოს ხვალ*

მომხმარებელთა უსაფრთხოებისთვის „ვოლტმა“ უკონტაქტო მიტანის სერვისი დანერგა, რომელიც დღემდე გრძელდება და ყველა შეკვეთის მიტანა ავტომატურად ამ რეჟიმში ხორციელდება, თუ არ არსებობს კონტაქტური მიწოდების განსაკუთრებული საჭიროება ან მოთხოვნა მომხმარებლის მხრიდან.

დაძლეული სიძნელეებისა და გამოჩენილი პასუხისმგებლობის ფონზე, „ვოლტი“ აგრძელებს საზოგადოებისთვის საკეთილდღეო საქმის კეთებაში აქტიურ ჩართულობას. „ვოლტის“ დადებით ზეგავლენას გარემოზე, კომპანიის ბიზნეს მოდელი უზრუნველყოფს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს მცირე, საოჯახო რესტორნების განვითარებაში.

კომპანია აღიარებს, რომ მიუხედავად არაერთი პოზიტიური ზეგავლენისა საზოგადოებასა თუ ეკონომიკაზე, „ვოლტის“ საქმიანობა ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოზე. სწორედ ამიტომ, 2019 წელს კომპანიამ თანამშრომლობა დაიწყო კლიმატის ინდუსტრიის ლიდერ ორგანიზაცია, South Pole-თან, რომლის დახმარებითაც „ვოლტი“ 100%-ით აკომპენსირებს შეკვეთების მიტანისას გამოყოფილი მავნე გამონაბოლქვით გარემოსთვის მიყენებულ ზიანს.

პასუხისმგებლობა „ვოლტის“ კორპორაციულ ფილოსოფიაში ნათლად იკითხება. კომპანიას სწამს, რომ ბიზნეს-პრაქტიკა გარკვეულწილად ფილოსოფიაა, რომელსაც ბიზნესი ან იზიარებს, ან არა. ბიზნესის მდგრადობა კი დღეს გარემოზე პოზიტიური გავლენის მოხდენას გულისხმობს იმისათვის, რომ საქმიანობის გაგრძელება შეძლოს ხვალ.

Wolt put in practice each requirement and regulation of the World Health Organization and the Ministry of Health of Georgia. However, the need for additional measures emerged as partner couriers met with hundreds of people daily. The company's main task was to minimize face-to-face contact.
Accordingly, partner restaurants have developed certain advancements, such as setting up contactless food delivery corners for couriers.

For customer's safety, Wolt introduced a contactless delivery service, which continues to this day. All orders are delivered automatically in the aforementioned mode unless there is a special need or demand for contact delivery from the customer's side.

Apart from overcoming difficulties and tackling an outstanding range of responsibilities, Wolt continues to be actively involved in doing good for the society. Wolt's positive impact on the society is deeply embedded in its business model and plays an important role in developing small, family-run restaurants.

The company recognizes that despite numerous positive effects on society and the economy, Wolt's service harms the environment. That is why in 2019, the company started a partnership with the leading organization in the climate industry, South Pole. With their help, Wolt will compensate 100% of the damages caused to the environment by their harmful emissions during the delivery processes.

Responsibility is a cornerstone of Wolt's corporate philosophy. The company believes that responsible business practice is, to some extent, a philosophy that the business either acknowledges or doesn't. Business sustainability entails having a positive impact on the environment today - to continue to operate tomorrow.

**BUSINESS SUSTAINABILITY ENTAILS HAVING A POSITIVE IMPACT ON THE ENVIRONMENT TODAY - TO CONTINUE TO OPERATE TOMORROW**



ISSUE N.2

## A TIME FOR GOALS-DRIVEN PARTNERSHIPS

Coming soon...